F 46/1920

ᲕᲘᲚᲥᲠᲝᲬᲧᲔᲚᲘ

№ 10 სექტემბერი 1920 წ. № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია:

ს. აბაშელი—მე და შენ

ხარიტონ ვარდოშვილი—ფიქრები ჩემს თავზე

დ. მეჩონგურე—საშემოდგომო

დუტუ მეგრელი—სამი სიხარული

ობოლი მუშა—უპასუხო ალერსი

ვ. რუხაძე { 1. ან კი რად მოვიწყინო
2. შრომის სამყაროში

ქნარი—ენკენისთვეში

ბელეტრისტიკა

ნ. ლორთქიფანიძე—ჟამთა სიავე

შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული

დრამა:

ლადო ახობაძე—სოფლად

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

6653/ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

F5806

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 10
სექტემბერი
1920

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. აბაშელი

მე და შენ

„იყო მაისი, და ორ ყვავილს
ვგავდით მე და შენ“...

შენს დაღლილ სახეს როგორ უხდება
სნეულ სექტემბრის ქარვათა ხაზი!
შენს მუქ თვალებში დღე შეწუხდება
და ფოთლებს დაჰყრის ოცნება ნაზი.
ოქროს ტყეები დაიბინდება.
უცებ შესწყდება ფიქრთა თარეში.
და შენი სული გადაფრინდება
მოგონებათა უცხო მხარეში.
შენ მიადგები იქ ნაცნობ კარებს,
და დაგიხვდება კარები ღია.
ნაღვლიან განცდით კვლავ გაგამწარებს
ცრემლი, ორივეს რომ დაგვიღვრია.
ჩემო ძვირფასო! დიდი ხანია,
ღამის დუმილში და სიწყნარეში,
მეც ჩემი სევდა მომიტანია
მოგონებათა უცხო მხარეში.
ახ, ჩემო კარგო! გრძნობათა მცველი
მხოლოდ ფიქრია, ცრემლში ნალესი!
ისევ ავანთე მაისი ძველი,
და დავწვი გული უმხურვალესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლმა დაჰტვირთა ჩემი სიტყვები
დაუსრულებელ სიმწუხარეში.
და დამრჩა მხოლოდ ძვირფასი ქვები
მოგონებათა უცხო მხარეში.
ამიტომ მიყვარს, შენს სახეს დაღლილს
რომ სექტემბერი ასე უხდება.
მზე გაანათებს ქარვას, ძირს დაღვრილს,
და შენს თვალებში დღე შეწუხდება.
დაჰხრის წამწამებს სხივთ ბრწყინვალება,
და ტყე, ლალით და ქარვით ნაშენი,
ცისფერ ბურუსში დაიმალება,
და ფოთლებს დაჰყრის ოცნება შენი.
ცეცხლის დანთება კვლავ მოგინდება
ყვითელ ფოთლების ცივ სამარეში.
და შენი სული გადაფრინდება
მოგონებათა უცხო მხარეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარიტონ ვარდოშვილი

ფიქრები ჩემს თავზე

1

ამღვრეულ ჰაერს ეალერსება
თებერვლის თოვლი თეთრი ხელებით.
ზეცას თვალები შიშით ევსება.
გარეთ ქარია განახელები.

მე ისევ ვფიქრობ უბედურ თავზე:
მივდივარ საით, მოველ საიდან.
თოვლები ცივი ამბორით მავსებს...
ამ გრძელ ღამეებს ვინ გადაიტანს?

2

შუალამეში მივყვები ღმერთებს
თუ კუდიანებს—არ ვიცი კარგად.
ჩვენ არაფერი აღარ გვაერთებს
და სიყვარული ვგრძნობ დამეკარგა.

მე მაშინ სული ქარული მქონდა
და გიმღეროდი ცეცხლ დაცემული.
დღეს მაგონდები: ვით ჯიოკონდა
ბოროტი ხელით გატაცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

გადამემტერა ქარიშხალები.
ფიქრებმა შავად იწყეს შეფერვა.
შევალ ღამეში, დავიმალები
და ვეომები მღელვარ თებერვალს.

მე მიხარია, რომ ჩემი სული
მიწვდა ელვების ცეცხლებს—უმაღლეს.
ზვავიან ნამქერს მივეც წარსული
და გზას გავუევი ძველს და უახლესს.

4

კვიმატი ღამის ვეწვიე ვარსკვლავს.
ჯერაც არ ვიცი რა მემართება.
მე ვიცი მხოლოდ, რომ ვინმე დამკლავს
ან გადამიტანს ცეცხლის ანთება.

გული დავაგე ელვის დანაზე,
მაგრამ ვარ ისევ ნაზი მგოსანი.
ჩემთვის ერთია ამ ქვეყანაზე
ავაზაკი თუ პატიოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

ირღვევა ფიქრი და ვარდებიან
მოგონებების შავი ღერები.
არც სიხარული, არც ვარდებია
ჩემს ბაღში ეხლა – ლამაზ ფერებით.

და აღარ მინდა... ვინ მომაგონა –
ღალატზე ცრემლი და მწუხარება.
ო, დამღუპველო ჩემო მადონნა,
შენი სახელი სულ მეყვარება.

6

ჩემი ოცნება დავაბინავე
მაღალ ღრუბლებში, ვით ღმერთის ნება.
აქ ვერ მომწვდება დღეთა სიავე
და ადამეების შური და თნება.

შენი ალერსი ო, როგორ მინდა,
მაგრამ სიცხადე მაშინებს კვალად.
სადა ხარ, სადა, ო სულო წმინდა,
მე ისევ აქ ვარ, ისევ ვარ ცალად.

ზამთარი.
ერთი ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. მეჩოლნგბურე

საშემოდგომო

კვნესა ობლების და მათხოვრების
აქრობს სინათლეს ჩემის ცხოვრების.
    დავდივარ ისევ ობოლი სულით
    ჩემის ვაებით და ჩემის წყლულით.
დიდხანს ვეძებდი ბედნიერებას,
სიცოცხლის ბალნარს, მშვენიერებას.
    თითქოს ვიპოვე შვების აკვანი,
    ვით წმიდათ-წმიდას ვეცი თაყვანი.
მაგრამ სიცხადემ არ დამანება,—
გაჰქრა ვით ლანდი, როგორც ზმანება.

—

არ დასცხრა სული, სხვას ეძებს, სხვასა!
მივენდე ღრუბელს, გავყევი ზღვასა.
    სხვა მიზანს ვეძებ და სხვა სიხარულს
    და ვებრძვი აჩრდილს ცით შემოპარულს.
ქვითინებს გული... ფოთოლი ცვივა...
ჩემს ობოლს სულსაც ათრთოლებს, სცივა...
    ვით გამახარებს ზამთარი ცივი?
    დაობლდა სული, ჩამიქრა სხივი...
ნეტავ, დასრულდეს ეს ბედი კრული,
დამშვიდდეს მალე, დაწყნარდეს გული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუტუ მეგრელი

სამი სიხარული

ვინ არ დამტკბარა გაზაფხულის მზის
ცხოველ სხივებით,
გამთბარ ბუნების ზამთრის ძილისგან
გამოფხიზლებით,
როს დედა-მიწა იხსნის ბორკილებს
და იკრებს ძალას,
რომ ტურფა ხალად კვლავ აყვავილდეს
და გაიშალოს,
და ზეცაც, პირველ ქუხილის შემდეგ
დამშვიდებული,
ბრწყინავს ფირუზის ლაჟვარდ კამარად
დაკიდებული?..
განვლო ზამთარმა და მოზეიმობს
კვლავ გაზაფხული;
ხარობს ბუნება და ეფინება
გულს სიხარული!..

*
* *

ვინ არ დამტკბარა ძვირფას არსების,
სიკვდილის პირად რომ იყო მდგარი,
გამობრუნებით, როცა სავსებით
დაძლეულია სენი საზარი,
და, თუმც ჯერ კიდევ ფერ-მიხდილია,
ჩონჩხად ქცეული კვლავ სუსტად არი,
იცის, გადარჩა,—კმაყოფილია,
უცინის სახე, უბრწყინავს თვალი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშა სიცოცხლეს! გაქრა სიკვდილის
თავზარდამცემი შავი აჩრდილი;
დასრულდა ჟამი ოხვრა-ტირილის;
სევდამ დაუთმო ლხენას ადგილი!..

*
* *

ვტკბები, როდესაც გამოფხიზლებულს
ზამთრის ძილისგან ვუმზერ ბუნებას;
ვნეტარებ, როს ვჭვრეტ ძვირფას ქმნილების
მძიმე სენისგან გამობრუნებას;
მაგრამ ვერა-რა ვერ შეედრება
ჩემს ახლანდელსა მხიარულებას,
როს საძირკველი, ვხედავ, ეყრება,
ჩემი ქვეყნისა თავისუფლებას;
როცა ვუყურებ, მშობელი ერი
ამსხვრევს ტყვეობის საზარ ბორკილებს,
გუშინ სუსტი, დღეს გმირი ძლიერი
არც ძველ მტარვალებს აღარ მორჩილებს
და ახალ მტრებსაც მედგრად უხვდება
და არის მუდამ გამარჯვებული!..
მრწამს, მოვიპოვეთ თავისუფლება
და ვარ ამ რწმენით აღფრთოვნებული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგოლი მუშა

უპასუხო ალერსი

მწუხარების ღიმილით მისი ნაზი თვალები
უხილავი ქვეყნიდან ისე გამობრწყინდება,
რომ ოცნება დაჭრილი მისკენ გადაფრინდება...
და ალერსის წყურვილით ისე გავიმსჭვალები,—
რომ საფლავის ქვებიც კი იგრძნობს—შევებრალები.
მიწა ცას შეიერთებს... გული გადიწმინდება,
სულში შლილი ღრუბლები ცრემლად გადმოწვიმდება,
და დაკარგულ სიხარულს ვუხმობ, არ ვეკრძალები.
და შევსჩივლებ მთრთოლვარ ხმით, თუ მას ვით ველოდები,
როგორ დამაქვს უბითა მისი ჯვარი პატარა.
დედა-მისის ლოყები სევდამ როგორ დაჭღარა...
მაგრამ იგი გაჰქრება... და სდუმს ცივი ლოდები.
ისევ ცრემლში დაიწვის გრძნობა უმხურვალესი
გულში შხამად ჩარჩება უპასუხო ალერსი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ რუხაძე

ან კი რად მოვიწყინო?

დღეს ყოფნის შემოდგომამ
ჩემს კარებზეც დარეკა,
ჩემს ბალჩაში ისურვა
თავის შემოფარება;
სიჭაბუკის ფოთლები
დასწყვიტა, შორს გარეკა...
მაგრამ გული კვლავ მღერის,
სევდა ვერ ეკარება.
ან კი რად მოვიწყინო?
რაღა მაქვს სანანური?
განთიადი ვიხილე
ათასფერად ციალა,
მის საქებ-სადიდებლათ
ვაკვნესე სალამური,
და ძირამდე დავსცალე
ალმაფრენის ფიალა.
მაშ, დე თავსა მიმკობდეს
ჭაღარის ბილიკები,—
გული მაინც იგულებს,
მღერა არ მომწყინდება:
მტერს შხამს ვუძღვნი, მოყვარეს
დავატკბობ ტკბილი ხმებით,
ვიდრე შრომის კვარცხლბეკზე
მზე არ ამობრწყინდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის სამყაროში

ცა იქუშება სახე-მტირალი
დასცქერს მიდამოს. მზე არ ციალებს.
ქარი ხეთ ძარცვავს, როგორც ფირალი,
და ყვითელ ფოთლებს დააფრიალებს.
ჰყვირის საყვირი. მუშათა ჯარი
ქარხნისკენ მიდის, მიეშურება,
მაგრამ თან მისდევს ოჯახის ჯავრი,
მწარე ნაღველათ გულს ეპკურება.
„არა გვაქვს შეშა, არა გვაქვს პური,
ვყრივართ უმწეოთ ბედის ამარა...
როდემდე ვზიდოთ სიცოცხლე კრული?!
როდის შეგვშრება ცრემლთა კამარა?!
ჩვენ მოველოდით ახალ ქვეყანას,
ჩვენ მოველოდით ახალ ცხოვრებას,—
ორივე ვნახეთ, მაგრამ ჯერ ხანათ
მაინც ვერ მიწვდა სული ცხონებას;
მხოლოდ გაიღო იმედის კარი:
ავალთ კვარცხლბეკზე მზის სამყაროში!
დღეს ამით სცოცხლობს მუშათა ჯარი,
დღეს ეს განძი ძევს ჩვენს სალაროში.“
და წინ მიდიან... სახე-მტირალი
ცა იქუშება. მზე არ ციალებს.
ქარი ხეთ ძარცვავს, როგორც ფირალი,
და ყვითელ ფოთლებს დააფრიალებს.
საყვირი ჰყვირის. გრგვინავს ქარხანა
და თავს ეხვევა კომლთა ღრუბელი
ჰა, ამოძრავდა აგერ მანქანაც
და გაიძაბა შრომის უღელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნარი

ენკენისთვეში

ენკენისთვეში სული მარად წარსულს მისტირის,
გამქრალი ჟამი ყმაწვილობის კვლავ მენანება;
მაგრამ საწუთრო ყურს არ უგდებს ჩემს მოთქმა-ჩივილს,
და საფლავისკენ ყველას ცივად მიელალება.

—

ვიცი გაირბენს უმნიშვნელოდ ბევრი დრო-ჟამი,
ჩემს წარსულ დღეებს მეგობრები მოიგონებენ,
შემდეგ ისინიც გაჰქრებიან, ვით ტრფობის წამი,
ვიდრე ქვეყნის ვალს სამუდამოთ მოიშორებენ.

—

ო, რა ძნელია უმღეროდე ამაოებას!
მე ყველას ვუმზერ ვით გაცრეცილ მიმავალ ღრუბელს;
შავი არშია გარს უვლია საწუთროებას,
და ჯოჯოხეთის ცეცხლის ალი ქაჯივით ურბენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელეტრისტიკა

საბჭოთა მეცნ. აკადემიის
თბილისი
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ლოლთქიფანიძე

ყამთა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქონილი ულვაშები;

მათხოვრების ურიგო სიტყვები, ჩხუბი ულუფაზე და იულონის მკაცრი ბძანება ფარეშებისადმი:

— თქვენ თითონ დოურიგეთ და ყველა გაყარეთ ეზოდან!..

ნახევრათ ტიტველა ბავშვების სირბილი, მათი ჟივილ-ყივილი და საჭმლით გამოტენილი ლოყები...

ძაღლების ლაქუცი, კუდის ქნევა, საჭმლის მოტაცება და გალახულების წავწკავი...

. . . . . .

ყველა შეზარხოშდა.

მთავარი სმა უნდა დაწყებულიყო.

— აბა მიართვით გლახუას კათხა,—ბრძანა დიდმა ქალბატონმა—მაგ არის ყველაზე უხუცესი ჩვენს საბატონოში.

— მიბოძე, შენი ჭირიმე ბატონო, მიბოძე! ვინ იცის იქნებ ეს უკანასკნელი იყოს ჩემს სიცოცხლეში და ერთი გულიანათ დაგლოცოთ ოჯახ-ბუდიანათ. .

მოხუცი გლახუა წელში გასწორდა, წელზე ჩამოკიდულ გრძელ ხანჯალს ქვევით დასწია, თითქოს უნდა სარტყველი დაისრულოსო და ფეხზე წამოდგა.

მერიქიფეები სირბილით მიეჭრენ მოხუცთან, გაუვსეს და მიართვეს კათხა...

— ვერ დალევს, შეგარცხვენს,—წამოცდა ერთ ახალგაზრდას...

— ისე დალევს როგორც დაგიბარებია.

— კაცო, ორი დოქი ჩევიდა თითქმის...

— არაფერია...

— ღმერთმა გადღეგრძელოსთ, ბატონო, ქალბატონებო, სტუმარნო და მასპინძელნო, დიდებულნო და მდაბალნო ამ ოჯახის მოკეთენო და ნათესავ-მირონნო! ნუ მოგაკლდესთ ღვთის შენდობა და მეფის წყალობა, ბატონო, ყოფილიყო, როგორც შეჰფერის შენს ოჯახსა და შენს ვაჟკაცობას,—ხალხი ფეხზე ადგა—ქვეშევრდომთა შემბრალე და ამაღლებულთა მოსამართლე .. ჭირში გონება გამაგრებდეს და ლხინში თავაზიანობა თან გახლდეს. მტერთან მკლავმა არ გიღალატოს და მოყვასთან სიუხვე გულისა არ შეგმცირებოდეს... წარმატებით მიდის შენი ოჯახის საქმე და გადაგეცეს შენი მემკვიდრისათვის სახელოვანი გვარი, ციხე მაგარი და საყმო მადლიერი.

ჩვენ დარჯაკში გამოვლილი ვართ, მაგრამ ვამჩნევდით მაინც, რა გაჭირვება გადიტანა შენმა ოჯახმა განსვენებული ბაბუა შენის დროს, მაგრამ მუყაითობამ, ღვთის შიშმა და გამრჯელობამ დღეისამდე მოგვიყვანა... მადლი დიდ ქალბატონს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლი დიდ ქალბატონს...—ჩაილუღლუღა ხალხმა...

დიდ-ხანს, დიდ-ხანს ჩვენდა სანუგეშოთ და ოჯახის დასამშვენებლად იცოცხლე, დიდო ქალბატონო.

— ადღეგრძელე, უფალო, დიდი ქალბატონი.— დაიზუზუნა კიდევ ხალხმა...

პატარა არწივების დედა, ახალგაზრდა ქალბატონი ბედნიერის ფეხით შემოსული ამ დიდებულ ოჯახში ღმერთმა მთვარესავით შეაბეროს ჩვენს მზესე და ჩვენს მნათობს ბატონს... და ჩემი დღე მისცეს და სახელი დავით აღმაშენებლისა ბატონის პატარა ლომებს...

— ამინ. დაიღრიალა ხალხმა...

— მაკურთხე, მამაო.— მიმართა გლახუამ მღვდელს.

— გაკურთხოს და გისმინოს უფალმა.— მიუგო და პირს ჯვარი გადასახა მღვდელმა.

— მიბრძანეთ, ბატონებო!

— მიირთვი, ჩემო გლახუა! შეგარგოს ღმერთმა! ტკბილი ენა გქონია, დალიე და შეგერგება!—სხვა და სხვა კილოთი, ზოგმა ხუმრობით, ზოგმა დინჯათ თვისი სიტყვის ფასდადებით უპასუხეს ბატონმა და ქალბატონებმა.

გლახუამ ერთი ჩაახველა, ორის ხელით კათხა პირს მიიდგა და სულის მოუთქმელათ გამოსცალა... ბატონებთან მივიდა, კათხა გადააბრუნა და სუფრაზე მოწიწებით დადვა...

— ასე დაგილიოს და დაამხოს შენი მტერი ღმერთმა!

— გმადლობ!., აი აქ, გვერდში, ამომიჯექი.

მოხუცი კრძალვით ბატონების სუფრას მიუჯდა.

— აბა ერთი მრავალ-ჟამიერი!—და აგუგუნდა მომღერალთა სუფრა.

გაჩაღდა სმა.

— ძაან ჩაჯიკვინებული ბიჭი კია...—გამოესარჩლა მეორე.

— რა ჩოჩქოლია მანდ? — იკითხა იულონმა.

— არაფერი, ბატონო...

— რავა არაფერი?

— ერთი პატარა ბიჭია და თქვენს თავს ფიცულობს, ვინც უნდა მეჭიდოს, წავაქცევო.

— რომელია?

— გოგიელა, ბატონო.

— ვინ გოგიელაა?

— ჯიმშელეიშვილი, თქვენ ვერ იცნობთ, ბატონო, ყმაწვილია.

— თუ ტყულა არ მიფიცებს, ერთ კაი ხანჯალს ვაჩუქებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანჯლის გაგონებაზე გოგიელა ჯიმშილეიშვილი კიდევ უფრო გაწითლდა.

— წამოდექი, ბატონს ეჩვენე, — შენიშნა ვილამაც და გოგიელა ადგა.

ყველამ დაკვირვებით დაუწყო ცქერა. დაბალი კისერი; მოკლე ცხვირი; ფეროვანი სახე; ქერა თმა; ბეჭი და წელი თითქმის ერთის სისხოსი და არა ჩვეულებრივათ მსხვილი ხელ-მკლავი და წვივ-ფეხი... განირჩეოდა მთელი ხალხიდან— ამ შაგვრიმან, წერწეტა ადამიანებისაგან...

— სვანი ხომ არ ხარ, ბიჭო?

— სვანი რათ ვიქნები, ქრისტიანი ვარ!..—ჯმუხათ მიუგო გოგიელამ, როცა სხვები ილიმებოდენ და ზოგიერთი გოგიელას სოფლელი კი თავდაჭერილათ ეუბნებოდა მეორეს:

— ღმერთო შეგცოდე და მგონი მართალს ამბობს ბატონი, მაგის დედაზე რაცხა-რაცხა გამიგონია... სვანებს უმასპინძლდებოდაო...

— აბა ვინ გამოდიხართ?—დაეკითხა იულონი ხალხს...

ხმას არავინ ილებდა.

ზოგიერთი თავს იმართლებდა:

— უწვერ-ულვაშო ბიჭს როგორ შევებაო?..

ზოგი კი გულში ფიქრობდა:

— რომ წამაქციოს, ვინ იცის მართლა დათვსა ჰგავს, ხომ მომეჭრა თავი.

— ფირანა, შენც უარს ამბობ? შერჩა ხანჯალი ამ პატარას...

— თქვენი ნება იყოს, ბატონო! როცა ყმაწვილები დაგლახაკდენ, ისევ ბებერმა უნდა იფალავნოს...

სუფრიდან გადმოხტა ჭაღარა გარეული, მაღალი, მხარ-ბეჭიანი კაცი.

ხალხი შემობრუნდა.

ზოგი ფეხზე დადგა:

— გაწიე, კაცო, თავი!

— მეც დამანახვე!

მერიქიფეები, ფარეშები თავ-თავის ადგილს შეჩერდენ.

ზლაზვნით მოდიოდა გოგიელა, თითქოს მიწაშია ჩაჭედილი და ფეხების ამოღება უჭირსო.

ფირანამ სწრაფად გაიხადა ჩოხა და მიაგდო, ახალოხი გადიკაპიწა.

— შენც გეიხადე, ბიჭო!

— გეიხადე, შე სულელო, თვარა უფრო ადვილათ ჩაგჭიდებს ხელს.

— რა გევიხადო, რომ მეტი არაფერი მაცვია?—რაღაც ძაღლურათ შეყეფა გოგიელამ მრჩეველს.

ფალავნებმა ბატონების სუფრას თავი დაუკრეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთისკენ მიიწიენ.

ფირანა შეჩერდა და ზომვა დაიწყო, უფრო მოხერხებულათ რომ ჩაეკიდა ხელი; გოგიელას არაფერი გამოუანგარიშებია ისე პირდაპირ მივიდა და წელებში შეუვარდა... დასწურა და უნდოდა მუხლებზე ჩაეკეცა მოპირდაპირე, მაგრამ ფირანა გადაიხარა, სწრაფად გადასრიალდა მხრებზე, ხელი ჩააყოლა ბეჭებს, ბარძაყს და ჩაეჭიდა გოგიელას ფეხებს, გოგიელას წონასწორობა დაეკარგა და ფირანას ფეხებში ხელ ჩაკიდებული პირქვე დაეცა. ფირანა ზევით მოხვდა, მაგრამ ეტყობოდა ახალგაზდა ბიჭს ზღაპრული ძალა ჰქონდა, ისე ადვილათ გადატრიალდა და ფირანას ისევ ზევით მოექცა.

ასე იყვნენ თავ-უკულმა შებრუნებული და ფირანამ ველარ ასწია წელი, თუმცა მხოლოდ ფეხის ქვედა ნაწილი აკავებდა. მაგიერათ ვერც გოგიელა შებრუნდა, რომ ზურგის მაგიერათ მკერდით დასწოლოდა მოწინააღმდეგეს.

ვერავინ გააშველა.

— ვინაა წაქცეული? — იკითხა იულონმა.

— მე ვარ, ბატონო, მე, ოღონდ უბრძანეთ ამ დათვის ბელს ამიშვას.

იულონმა ბიჭს ღვედში სტაცა ხელი და ორივე მოჭიდავე ზევით ასწია. გოგიელამ გაუშვა წაქცეული და გაკვირვებით მიაპყრო თვალები, დასისხლიანებული თვალები იულონს.

— მჯობნის მჯობნი არ დაილევაო — წაიბუტბუტა იქ მდგომმა გლეხმა.

— კაცო, რავა წიწილებივით აწია ორი კაცი — დაუმატა მეორემ.

— მეც მაჭამე მაგასავით და, ვინ იცის, იქნებ მე სამივე ევიყვანო — მწუხარე ღიმილით სთქვა იქვე მდგომმა ძლიერ მაღალმა, კონკებში გამოხვეულმა ახალგაზდამ, რომლის მოწყენილი, უსიცოცხლო სახე და მაგარი მსხვილი ნაკვთები მოწმობდენ შიმშილით შესუსტებულს ბუნებრივ ბუმბერაზობას.

— ხერხი არ იცი, შვილო, თვარა შენი მომრევი სპარსეთის ყაენს არ ეყოლება — გულნატკენათ უთხრა ფირანამ გოგიელას.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!

— რა ძალა ჰქონია... პირუკულმა წააქცია.

— ჯერ კიდევ არ არის დავაჟკაცებული.

შავი ხანჯალი მიართვეს გოგიელას.

იქვე დაიკიდა. მას მერმე არც უჭამია და არც უსვამს... მთვრალი იყო სიხარულით... საკუთარი ხანჯალი... აწი კი წავა დათვზე... ხელს უსობდა... ცოტაზე ამოიღებდა, გაუშინჯავდა პირს, ისევ ჩააგებდა... ვერ ითმენდა — ერთი მთლად დაენახა და გაესინჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე მჯდომი დედაც ბედნიერი იყო. გოგიელა შეიქნებოდა ახალგაზდა ბიჭების მეთაური და არა ერთი ნაპარევი თუ წანართმევი შეემატებოდა ღარიბ ოჯახს.

. . . . . .

ქალები ადგენ.

ხალხიც აიშალა... დარჩა მხოლოდ ერთი სუფრა, რომელსაც მთავარი მსმელები გარს შემოხვეოდენ და იმდენს არ სვამდენ, რამდენსაც იმღეროდენ, ოხუნჯობდენ და ძველ ამბებს მოუთხრობდენ ერთმანეთს...

— ეჰ დავბერდი, დავბერდი, სუფრა უნდა დავტოვო, მეტი აღარ შემიძლია — სთქვა გლახუამ, დაუძახა თავის დისწულს, დაებჯინა მხარზე და ბანცალ-ბანცალით ტევრისკენ წავიდა, რომ იქ ხის ძირში მოესვენებინა...

სუფრიდან ხალხი მალე დაიშალა.

შორიდან მოსულთ ეჩქარებოდათ დროზე წასულიყვნენ სახლში, რომ ღამის წყვდიადში სახიფათო გზებზე არ ეხეტიალნათ; მოხუცნი და ოჯახის უფროსები უჩვეულო მასპინძლობით ზედმეტათ დაკმაყოფილებულნი მოდუნებულიყვნენ.

ახალგაზრდა გოგო-ბიჭებმა გამართეს დაირაზე ცეკვა, გააბეს ფერხული, მაგრამ უფროსებმა ქალიშვილები ასეთს არეულ ხალხში არ დასტოვეს.

ერთხანს სამზარეულოს წინ, დერეფანში კიდევ ისმოდა ჟრიამული და ჩუმი „ალავერდი“ შინაყმებისა, რომელნიც თავი სადილის დროს საკმაოთ დანაყრდნენ „წაცუცქნა-მოწრუპვაში“, მაგრამ საკუთარ სადილს მაინც არ იკლებდენ.

მათაც გაათავეს სადილი და

დაცარიელდა ეზო, მიყუჩდა ციხე და არე-მარე.

სუფრიდან ყველა ნასიამოვნები ადგა

მხოლოდ თინათინი უგუნებოთ მიუახლოვდა სუფრას, მწუხარებით გაატარა მთელი ნადიმი და თვალ-ცრემლიანი წავიდა თავის ოთახში, სადაც ბავშვების ნაზმა ალერსმა, მათმა ტიტინმა სრულიად მიასუსტა, გული აუჩვილა, ლოგინზე მიაწვინა და მწარეთ აატირა...

ნახევარი წელიწადია — ფიქრობდა ქალი — სახლში არ ყოფილა და აბა თუ შემოიხედა დღეს ჩემს ოთახში, აბა თუ შემომხედა ერთი სურვილით სუფრაზე.. და ან კი რისთვის უნდა მომვარდეს... მცირე აზნაურის ქალი ვარ, ჩემთან არ სჭირდება თვალთმაქცობა, მეტყვის და სახლისკენ უნდა წავიდე... სახეც რას მიგავს? რას? და ეს ოხერი მუცელი რაღა ეხლა გამომებერა? — და ქალმა ღონივრათ დაიკრა მუცელზე ხელი, მაგრამ თითქოს ეტკინაო, თითქოს შერცხვა და თითქოს ვინმე შეეცოდაო, თვითონვე დაიწყო ტირილი... იმ გოგოს, იმ გომბიოს, ვინ იცის იქნებ ეხლა ეხვევა? აბა უარს ვინ ეტყვის? რატომ ეტყვის? ლამაზია! ვაჟკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია! მდიდარია და უარიც რომ არ გაუვა!.. მთელ სოფელს ფეხზე დააყენებს. რითი მჯობია? ყმაწვილია! მე რა მათუსალას ხნისა ვარ .. მაგის ხელა არ ვიყავი, გიორგი რომ მეყოლა?!. მაინც რას დაეთრევიან ეს გაუთხოვარი ქალები? ქმარს ეძებენ!.. ნამუსი აღარ აქვთ... კარგი, ქმარი ეძებონ. მაგრამ ცოლიან კაცებთან რა ხელი აქვთ?!. რა მშვენიერი თვალ-წარბი აქვს .. არაფერი თვალ-წარბიც არ აქვს .. უკეთესიც მქონდა! ღმერთმანი მქონდა! განა ტყუილა მღეროდენ:

თინათინის თვალებიო
მომაშუქებს — დავდნებიო;
ერთი მათში ჩამახედა —
მოვკვდები და ვცხონდებიო ..

ეყოლოს ორი შვილი, მესამეზე დაორსულდეს და მაშინ ვნახავთ, რაცხა თვალები აქვს .. გლახუამაც რომ ჩემზე თითქმის არაფერი თქვა — ისე თითქოს შემოხიზნული ვიყო... დიდი გვარის შვილი არც მაგი არის .. რას მაქადის? ბაგრატოვანია თუ ქსნის ერისთავი?.. ერთი ღარიბი აზნაურის ქალი მე ვარ, და მომძლავრებული აზნაური მაგია .. — მაგრამ თვითვე ეწყინა ქმართან მტრული დაპირისპირება, და სათუთად მიიკრა გვერდში მიძინებული ბავშვი.

ღვინის ამოღების დროს საჭურეზე ყოფნამ, ბევრი ბოღლიწოს ჭამამ, ხრიალ-ხრუალმა და საერთო შეზარხოშებამ ბავშვი დააღრო და დაჰქანცა... მარა... ეჰ, გაინავარდოს ერთი ორი: ჩემგან მაინც ვერ წავა; რჯულსა და კანონს ვერ დაივიწყებს — ინუგეშებდა თავს ქალი, მაგრამ სანუგეშო სიტყვები უფრო მწარე, შავნაღვლიანი გამოდიოდა.

. . . . . .

დიდი ქალბატონი ძლიერ გულ-ჩათხრობილი ადამიანი იყო: როგორც მწუხარებას, ისე სიამოვნებას არვის უზიარებდა. ათას წილ ერჩია თვისი წყლულების ექიმი თითონვე ყოფილიყო და ნეტარებისთვის მარტო საკუთარი გულის კარი გაეღო, რომ იქ სამუდამოთ ჩაემწყვდია, ვიდრე სხვისგან მიეღო რჩევა ან თვისი სიხარული გაემჟღავნებინა

აი ეხლაც სუფრიდან ადგომას ძლიერ ჩქარობდა და დარჩა სწორედ იმდენს ხანს, რამდენიც საჭირო იყო, რომ ენა-ჭრელ ადამიანს მის ზვიადობაზე, მიუკარებლობაზე და ამაყობაზე ზედმეტი არაფერი ეთქვა.

როცა გადახედა ოქრო-ვერცხლის სასმურებს, სუფრის დაფერილ მრავალს სამკაულს, უხვ მასპინძლობას, გამხიარულებულ შვილსა და შვილი-შვილებს, მსახურთ და ყმა-მოახლეებს მოვლილთ და საკადრისათ ჩაცმულთ უნებურათ შეადარა იმ სურათს, რაც დახვდა მოყვანის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც ეწერში მივარდნილი ფაცხები; როკაპს დამზგავსებული ბებერი დეკა-მთილი; მუდამ მოწყენილი, თმა-წვერულვაშ გაბურძგნული ქმარი და..

სუფრიდან ადგომის თანავე გაიანე თავის ოთახში შევიდა, ატამი და გარჩეული ახალი ნიგოზი მოატანინა, ჭინჭილათი ღვინო წინ დაიდგა, მიწვა ლოგინზე და დაიწყო ზმანება.

ყველაფერი კარგი იყო .. ყველაფერი... მეტს ვერც ინატრებდა ამ ოჯახის ჩვეულებრივი მოკეთე, მაგრამ ხომ საფეხურია,—შემდეგ უკეთესი უნდა იქნეს... თვალს მხოლოდ ერთი ვინმე აკლდა, და ის ერთიც რომ აქ იყოს... იქნებ მოვიდეს, ამ დღეებში უნდა გამოიაროს... ვერაგია, გაუტანელია, მაგრამ ეხლა საკუთარი ქმრები აღარ რჩებიან ერთგულნი, თორემ რა მოეთხოვება... არა, კი მოეთხოვება, მე დავასახლე, კაცად გამოვიყვანე...

ქალს გაეცინა:

ნუ თუ ჩემი დანიშნულებაა წაქცეულ ოჯახთა ფეხზე წამოყენება, დაუძლურებულთა გამაგრება... არა, მანაც ბევრი ამაგი დასდო ჩვენს ოჯახს... ზღაპრულათ მოხდა ყოველივე...

ქალმა მოწრუპა ღვინო, მოიხადა თავსაკრი, მოიხსნა გულის-პირი, გაიხსნა სამაჯურები, ვნებით გაიზმორა, განცხრომით მიწვა, დახუჭა თვალი, და წუთები წარსული სიამოვნებისა რომ უფრო ნათლათ წარმოსდგომოდა და მოგონებით უფრო დიდხანს დამტკბარიყო, ნელ-ნელა ნაბიჯ-ნაბიჯ, თითქოს ყოველივეს სწერს ქალალდზე, ხატავს ტილოზე ან უამბობს გულის ფანცქალით მსმენელ ქალწულსო მარცვლავდა სურათებს.

სწორეთ ასეთივე საღამო იყო. ნაბადზე, ხის ძირში ვიჯექ ჩრდილით დაფარული... მსურდა ალერსი, ხვევნა-ნიავი ისე ნაზათ არხევდა შტოებს. დღის სიცხისგან მოთენთილს გულს ისე ახარებდა წყალ-ნარევი ღვინო... იქვე იჯდა ჩემი ქმარიც. . რა ერთგული, რა თავისებური სიყვარულით იყო ჩემდამი გამსჭვალული .. მაგრამ იყო გლურჯი რამე, მოუხეშავი. ჭრილობებისგან დასახიჩრებული და სილარიბისგან დაჩაგრული... მეტათ სავსე ატოკებული გული მისკენაც კი იწევდა: განგებ გადავაგდე ფოსტალი, განგებ გავიშალე და გაცრცვილი ხელმკლავით დაუწყე თმას წვნა... მოულოდნელათ ჭიშკარს მოადგა... დედას გამოეგზავნა... სქელ-გრძელ ხუჭუჭ თმას არ ეკადრებია დაგლეჯილი ფაფანაკი და სადღაც ზურგზე გადავარდნოდა; ნასიცხარ სახეს მარგალიტივით ჩამოკიდებოდა ოფლის წვეთები; შავ თვალებიდან განცხრომა მოკრთოდა და კოკბა ულვაში, წითელი ტუჩი, თეთრი კბილები ნეტარებას აფრქვევდა; დაკრაკნილ მოკლე წვერს არ შეხებოდა არც დანა და არც სავარცხელი; ყელს ამ ცეცხლ მოკიდებულ გზაზედაც კი შერჩენოდა ყირმიზის ფერი... თვალს ვეღარ უჭერდი... სალამი გადმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცა .. სადილი მოვატანინეთ ღარიბული და საწყალი იესე, სტუმრისთვის რომ არ შეემჩნევინებინა ჩვენი გაჭირვება ღვინოს აძალებდა და თვითონვე შექეიფიანდა. მე ჩემი ოჯახის ამბავიც კი არ მიკითხავს კარგათ, სულ თავის თავზე ვკითხავდი... „თქვენ მოგეხსენებაო, ქალბატონო, მამა ჩემი მამათქვენთან ერთად ტყვეთ იყო წაყვანილიო“ — მიპასუხა. „მის გამოსახსნელათ რომ ვალი ავიღეთ, მას გადაყვა ყველაფერი, არც ეყო; ეხლა მე წამომიპოტინა ხელი, მგონი უნდივარ ყმათაც წამიყვანოს... შინ მაინც არაფერი მრჩებოდა სახარბიელო და გამოვსწიე ბედის საძებრათ“... — „აი, როგორ არა, როგორ არა“ — სიტყვის დაბოლავება არ აცალა ჩემმა ქმარმა — „აი, ჩვენთან დარჩი, მამული მაქვს, ოღონდ ერთად მოუაროთ, მერე ღმერთია მოწყალე... მიჩუქნია შენთვის ერთი ცხენი შეკაზმული და რა გადასადებია, ჩემო გაიანე, მიართვი ერთი ხელი ტანთ-საცმელი... მეზობლებიც ნუ ნახვენ ჩემი გაიანეს დედულეთიდან მოსულ კაცს შევიწროებულს“... — ამ სიტყვებმა დაღუპეს იესე... წავიყვანე საკუჭნაოში, ორივე ფეხ-შიშველა ვიყავით... ტანთსაცმელის ძებნაში ფეხი-ფეხს მოხვდა... მოიბოდიშა, მაგრამ მე შევცქეროდი ხარბათ, აღტაცებით .. ხმის თრთოლით უთხარ „არაფერია“... ტანთსაცმელი მივეცი და გამოვბრუნდი .. იესეს ეთვლიმებოდა. ძლიერ მომინდა დასძინებოდა... როცა არჩილი გამოვიდა ჩაცმული, მე სიცილი მომერია: წაღა სისრულისგან თითქმის ვარდებოდა, ჩოხა მოკლე იყო და ბეჭებში ძლივს ეტეოდა... ხის ძირში აღარ დავბრუნებულვართ – ეზოში მობალახე ცხენი ვაჩვენე .. გავიარეთ ვენახისკენ და როგორ მოხდა

ქალმა აღზნებით გაიზმორა...

ის ზევიდან დამყურებდა და მე ქვევით მწვავდა ვნება... სად არის ეხლაც ნეტავი კიდევ გადაგეხლართო ვით სურო კოპიტს... მაგრამ რომ არ შემოუშვას იულონმა?.. როგორ გამიბედავს?..

ამ ტკბილი მოგონებით, ამ წარმტაცი გრძნობით სურდა გაიანეს მიძინება, მაგრამ ერთი მწარე ჩვენება არ შორდებოდა.

რომ გართულიყო, მაბეზარი სურათი რომ წაეშალა, წამოდგა ფეხზე... გაიარ-გამოიარა... ტანთ გაიხადა, ისევ მიწვა, მაგრამ სურათი იგი, ვით აჩრდილი უძლეველი რჩებოდა.

... ერთმანეთს ჩაბღაუჭებული და შემდეგ გავარვალებული ხანჯლებით ერთმანეთზე შეტეული მიჯნური და ქმარი . მტირალა სამი-ოთხი წლის შვილი და პერანგ სამარა თვით... სირცხვილი... სირცხვილი... მადლობა ღმერთს არვის დაუნახავს... დღემდი არვინ იცის, თუ რად იწვა ორი თვე ლოგინში იესე და რათ დარჩა სამუდამოთ დაავათმყოფებული... ბავშვს ხომ ყოველივე დაავიწყდებოდა...

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე შეზარხოშებული იულონის წინ იდგა მესაიდუმლე და საკმაოთ გაიძვერა თედო:

— ერთი მითხარი, სად შეიძლება ახლა თავისუფლად დაწვეს კაცი...

— თქვენს ოთახში, ბატონო...—თითქო ვერაფერი გაიგოვო გულუბრყვილოთ უპასუხა თედომ, მაგრამ იულონმა ისე შეხედა, რომ თედომ გულუბრყვილობა სწრაფად უკუაგდო და რჩევა დაიწყო; სამეჯინიბო, თავლა, ნალია, საქალებო, სასტუმრო.

— ჰო ახლა წილადობილას ნუ დაიწყებ,—გააწყვეტინა სიტყვა იულონმა...

— . . . დარჩა, ბატონო, ბაღჩაში...

— იქ არავინ გადასულა?

— იქედან გამოვრეკ შენი ჭირიმე—ვიტყვი აქ ბატონს უნდა ძილითქო.

— არა კოშკში შევალ... იქ მომიყვანე ახლავე.

— ბატონო, იქ მზვერავი სდგას...

— არაფერია... გავაგდებ, ოღონდ ჩქარა...

— ბატონო შენი ჭირიმე—გულწრფელად შეეშინდა თედოს—ახლავე არ შეიძლება, იმ გოგოს ძმები და მამა ახლავენ

— ნუ სულელობ, იმ ძმებმა და მამამ განგებ მოიყვანეს... შენ ჯავრი ნუ გაქვს... ოღონდ თუ წევს, გაახვიე ნაბადში და ისე მომიყვანე...

. . . . . .

განმარტოებულ ხის ძირში იწვა ოთხი ადამიანი; ერთს სასთუმლათ ხის ძირი ჰქონდა და ჩოხით იყო დაფარული; დანარჩენი სამი ხის მოშორებით, მაგრამ ერთმანეთთან ძლიერ ახლო-ახლო მიყრილიყვნენ.

— ვიღაცა მოდის—წასჩურჩულა ერთმა ცალკე მწოლარეს—არ დაგავიწყდეს, რაც გასწავლე: ყველაფერში დაეთანხმე და ხვალაც არ გაგიწყრეს ღმერთი არაფერი სთხოვო... ისე აჩვენე მხოლოდ თავი, რომ ჩვენი გეშინია და ღამით დაბრუნდი უკანვე, რომ ქვეყანამ ვერაფერი შეგნიშნოს...—თქვა ეს და ხვრინვა ამოუშვა...

უცნობი ლანდივით მოიპარებოდა:

— ვინ ხარ?— იკითხა ქალმა.

— ჩუმათ, ჩუმათ—უპასუხა მოსულმა—ბატონი გიბარებს...

— რას ამბობ, რა უნდა ჩემგან ბატონს – უპასუხა ჩურჩულითვე ქალმა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ დიდხანს უარზე არ დარჩებოდა...

— ნუ ჯიუტობ, ბედი გეწვია და ისარგებლე, ბატონი ღორის მწყესი ხომ არ გგონია ..

– მთვარეა მოკაშკაშებული, ქვეყანა დაგვინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგის ნუ გეშინია, აი ნაბადზე გადმოკოტრიალდი, გაგხვევ და წაგიღებ. ეშმაკიც კი ვერ მიხვდება თუ რა მიმაქვს... მერე მთვარე ჩავა და დაბრუნდები...

— სირცხვილია, თავი მომეჭრება — ამბობდა ქალი და თვითვე ეხვეოდა თედოს მიერ გაფენილ ნაბადში.

. . . . . .

კოშკის კიდესთან იულონმა აღელვებით მიიკრა გულზე შავი ნაბადი, რომლიდანაც ქვე-ვარდებოდა ორი ოდნავ გაშლილი ნაწნავი თმისა.

იულონმა ტვირთი კოშკის ბანზე დადვა, გაშალა ნაბადი და აღტაცებაში მოვიდა. ქალს ყელის საბმელი გაშლოდა, ლოყა შეწითლებოდა, თმა აბურდვოდა, თვალები გაფართოებოდა, გული ძალზე უცემდა, და ოდნავ თრთოდა.

— რათ თრთი, რა დაგემართა?..

ქალი არ იძლეოდა პასუხს..

— გეშინია განა ჩემი?

— არა, ბატონო...

— მაშ, რა იყო? ჩვენ აქ მარტო ვართ... და მთელი ქვეყანაც რომ მოვიდეს, აბა ვის დავანებებ შენს თავს...— და იულონმა ნაზათ მოხვია ხელი...

— მაკოცე ერთი, ჩემო კარგო ..

ქალი თავს უფრო და უფრო ღუნავდა ქვევით და კანკალმა სრულიათ აიტანა. თავს ველარ იმაგრებდა.

იულონმა ისევ შემოახვია ქალს ნაბადი.

— მოიცა ჩათბი პატარა — და მოხვია ხელი.

ქალმა უცბათ ყურები დაცქვიტა:

— ბატონო, რალაც ხმები ისმის ქვევიდან.

იულონიც დაუკვირდა:

— ბიჭოს! ვის მოძულდა აწი თავი? — იულონი კიბისკენ გაიწია და ჭვრიტიმალში ჩასძახა:

— ვინ არის მანდ?

— მე ვარ, ბატონო შენი ჭირიმე, თედო ..

— რა ღვთის რისხვა გინდა?

— სტუმარია, ბატონო, არჩილი.

— ვინოო? რა უნდა?

— არჩილი, ბატონო, არჩილი. ხიდი გაუგდეს და ახლა ამოღმართში ამოდის...

გოგომ ერთის თვალის დახამხამებაზე კიბე ჩაირბინა და სადღაც გაჰქრა.

გაბრაზებული იულონი ვეფხვივით ჩამოვარდა ქვევით...

— რამდენჯერ მითქვამს ღამე უჩემოთ არვინ შემოუშვათ ხიდზე თქო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო, არჩილზე სხვა ბრძანება იყო, ყოველთვის უშვებთ.

— ნუ როტავ ბევრს... არჩილი .. არჩილი... ძველი არჩილი ახალი არჩილი არ არის... ვერ გაიგე ეშმაკის ფეხო?..

— გამარჯობა, იულონ, რას ცხარობ, ვინ მოგაყვანია გული—დაუძახა შორიდან ცხენზე მჯდომმა, რომელმაც ალმართი ამოათავა და კოშკს უახლოვდებოდა.

— ვინ მომაყვანია გული შენი საქმე არ არის და ჩემს სახლშიაც რომ არ დახვიდოდე ასე გაურჩევლათ, ძლიერ კარგს იზამდი.

— რა ამბავია? რა მოხდა? —შეეკითხა ასეთის შეხვედრით სრულიად გაოცებული არჩილი.

— ის ამბავია, რომ მეფის და ქვეყნის მოღალატეს არ მინდა ჩემს სახლში ადგილი ჰქონდეს...

— სტუმრის კაი მიღება გცოდნია, კაი მოგცეს ღმერთმა – გაცხარდა არჩილიც.

— სტუმარი არ იყო, მე ვიცი რა ეკადრება ღამით მოხეტიალე ქვეყნის გამცემს.—მიაყვირა იულონმა არჩილს, რომელმაც ცხენი უკანვე გააბრუნა და გზას გაუდგა.

— მიფრთხილდი, იულონ, ენას ნუ აუტანიხარ.

— შენივე სიტყვები არ დაგავიწყდეს—კიდევ მიაძახა იულონმა და ათასგვარათ გაჯავრებული ოდისკენ წავიდა: დაეკარგა ტკბილი წუთები ახალგაზრდა „გვრიტთან“, გადიკიდა მარადის სამტროდ არჩილი...

— რა მოხდა იულონ?—შემოხვდა დიდი ქალბატონი შვილს.

— არჩილი გავაგდე სახლიდან...

— რას ამბობ? ეხლავე დააბრუნე... არჩილი.

— არჩილს ვერვინ ნახავს აქ, სანამ მე ვარ ბატონი და პატრონი, და იულონი აივანზე ავიდა, მაგრამ სახლში შესვლის მაგიერ ქვის ვიწრო, უნაგირ-აღვირმათრახებით მოფენილ აივნისკენ, რომელიც წკვარამს გადაყურებდა, შეუხვია და მივარდნილ ადგილს ფართო მოაჯირზე ჩამოჯდა.

— ... და გინდა წამართვა ერთად-ერთი სიამე ქვეყნისა? ოც-და-ხუთი წელიწადი მაჯლაჯუნათ გულზე მაჯდა ცხოვრება, და ეს ადამიანი მიმსუბუქებდა ტვირთს.

— გაჩუმდი.

— როგორ გავჩუმდე?.. იმიტომ ვიტანდი ყოველივეს, ვითმენდი საზიზღარ ლეზვს მამი შენისას, რომ ბოლოს ჩემ-მიერ ფეხზე დაყენებულ ოჯახში ჩემს საყვარელ არსებას არ გაევლებოდეს?..

— გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს.

— ყურიც მოკრან და თავიც...

— ნუ მჭრი თავს, ნუ მარცხვენ ქვეყანაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მენაღვლება თავი მოგეჭრება თუ არა, თუ ჩემი ურგები იქნება სახელიც და პატივიც?..

— გაკმინდე ხმა თუ არა—ველარ მოითმინა იულონმა და ქადილით წინ წაიწია.

— აი, შე ბუშო, შენ—მიაქაქანა ქალმა და უეცრათ აღვირს სტაცა ხელი და მთელი ძალ-ღონით გადაჰკრა.

სიმხეცემ აღმოხეთქა. არც ერთს აღარ ახსოვდა რას სჩადიოდა.

იულონს თვითონ გაუკვირდა, როცა მოაჯირიდან გადაწოლილმა შეხედა, თუ როგორ დავარდა სიპ-ქვაზე, წკვარამში დედა მისი.

თავ დავიწყება სწრაფათ გაქრა და სურვილმა—თავი უდანაშაულოთ გამოეყვანა სძლია

საჩქაროთ ვერაფერი მოიგონა.

იულონს უეცრათ მოესმა აძიგძიგებული კაცის ამოხვნეშა.

— შენ ვინ ხარ?

— მე ვარ, ბატონო...—თრთოლით და კანკალით უპასუხა უცნობმა.

— ვინ შენ?.

— დღეს რომ გეახელი... დასახლება ..—გთხოვე...—ძლივს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მიუგო.

— მერე აქ რა გინდა?

— დაღალული ვიყავი.. შემეშინა ციებას არ შეებრუნებია...

— გაიგონე რამე?

— კი—კი—კი.

— დაინახე კიდევაც?

— დდდიახ—ძლივს ამოგლიჯა კბილებს სიტყვა.

— შენ, ჩემო ძმაო, ნამეტარი ბევრი გინახავს და გაგიგონია საკვირველის ტკბილის და თან გველურის ხმით უთხრა იულონმა—ააა, ამოიღე ეს შენი ხანჯალი

უცნობმა გაკვირვებით და ჭოჭმანით ამოზიდა დანჟღეღლი ქარქაშიდან დაჟანგული ხანჯალი.

მაგრამ ამ დროს შიგ სახეში მოხვდა ტამბაჩის ტყვია, რაღაც ამოილულლულა და დაეცა.

კივილი.

ჩირაღდნები.

— რა ამბავია? რა მოხდა? ვინ გაბედა? შემოჩენილია უსათუოთ.

მტერი ვის არ ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულონი კი ხელოვნურათ ვითომც გაბრაზებული დორბლებს ჰყრიდა. ქვაზე ვიჯექი, დედა მოაჯირზე ბრძანდებოდა. . უეცრათ დავინახე, რომ დედა თავდაყირა მიექანება. შველით ველარ უშველე, გამიწყრა ღმერთი... უკან რომ ვოვიხედე, ეს კაცი დავინახე, ხანჯლით მოდიოდა ჩემკენ; ვკარი გულში ხელი... და ტამბაჩა ვიძვრე ..

— ვისი მოგზავნილი უნდა იყოს?

— რა ვიცი ახლა ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე?

— მაინც?

— ვერაფერს ვიტყვი... რამდენი კაცია, რომ ჩემ ციხეზე თვალი უჭირავს?.. ვიცოდე მის ჯავრს კი ამევიღებ, მარა არაფერია, მიწაში ვერ ჩაძვრება და ცას ვერ გამოეკერება—საცხოვრებელიდან გავდგები და კი გევიგებ, ვინ დამღუპა!

ნაწილი მესამე

1

იულონმა ღირსეულათ მოუარა ოჯახის გამგეს, ოჯახის აღმშენებელს, ოჯახის ბურჯს დიდი ოჯახის შვილს საყოველთაო პატივისცემით აღჭურვილს გადაცვალებულ დედას.

თავ ტირილზე ბრძანდებოდა კათალიკოსი თავის გუნდით და ამალით; ცხრა ზარი იყო აშვებული და მას მიემატა მრავალი მოსული. სიგძე გაუზომელ სეფაში გაშლილ სუფრებზე ძლივს ეტყოდენ მოტირალნი... გამრიგენი ცხენებით დადიოდენ, რომ ყოველგან დროზე მოესწროთ და უხვათ მოტანილი თევზი, ზეთის ხილი, ჩამიჩიანი ფლავი და შავი მაღლარი ღვინო არავის დაკლებოდა.

გელათს, მცხეთას და მარტყოფს ოროლი კომლი გლეხი შესწირა გადაცვლილის სულის საოხათ, რომ კარ-გაღებული აღაპი დაეწესებინა დედისათვის.

ორმოცის შეტირილზედაც დაიკლა ხუთი ხარი მისი შესაფერი გოჭ-კრავ-ქათმით, თავ-ტირილზე დიდი შთაბეჭდილება არჩილმაც მოახდინა.

წინა დღით მოვიდა იგი ამალითა და უფროსი ვაჟიშვილის თანხლებით და საკუთარის საგზლით. ცალკე კარავი დადგა ციხის გალავნის გარეთ.

როცა დილას ყველა ჭირის-უფალი შეიკრიბა, კათალიკოსი და მიტროპოლიტი შეიმოსენ და წესის აგებას უპირებდენ, მაშინ ჩამოვიდა ეზოში; თალხში ჩაცმული იყო, ჭიშკარში ჩამოსულთ მეზარეები შეხვდენ. გრძელი გზა მან ცრემლიანი ხმა-მაღლა ტირილით განვლო, ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა შუა ეზოს, სადაც კუბო იდგა, ზარი შეაჩერა და მშვიდათ წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტირილი გმართებსთ ჭირისუფალნო, მწუხარებას მიეცით ყველა, დავაკარგეთ დიდი მოამაგე მოყვარე—ნათესავებისა და გამკითხველი ქვრივ-ობოლთა. კიდევ იყო საჭირო თქვენთვის, ახალგაზდა ბატონო იულონ, ბრძნული დარიგება ცხოვრებაში გამოცდილი დედი თქვენისა... როგორც ამ ოჯახის მიერ ღრმად დავალებულმა მოვალეთ ჩათვალე ჩემი თავი ამ წმინდა ხატით შემემკო ვანსვენებულის კუბო და სულის საოხად გადაცვალებულისა და მისი ნეტარ-ხსენებულის მეუღლისა შემიწირავს ორი გლეხი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიისთვის; ბატონი იულონი თვით გასცემდა უხვ საბოძვარს, მაგრამ მსურს ჩემის მეოხებითაც ისმოდეს ღაღადისი ჩემის სიყრმიდან მწყალობელი ცოლ-ქმარისა...—არჩილმა ჩამოართვა ერთ მოხუცს, რომელიც გვერდში მიჰყვებოდა, ვერცხლისა და თვლებით მოჭედილი ხატი და კუბოზე დაასვენა; არჩილის უფროსმა ვაჟმა ხელში დახვეული სიგელი ხატის გვერდით დადვა. ორივე მოწიწებით ემთხვია ჯვარს, და სანამ დანარჩენი ამალა კუბოსთან უძრავათ იდგა მამა-შვილი ჭირისუფალთან მიდიოდა, ჩუმათ და დაბლა თავს უკრავდა და ბოლოს იმავე ამალის თანხლებით განზე გადგა.

— კიდევაც ემართლება ამ ოჯახს, მათი უდგას სული და კიდევაც უხვად დაუფასა ამაგი—ლაპარაკობდენ ხალხში.

— ჭეშმარიტათ, კაი ქენი გზას დადევი, გაიარე წინ დაგხვდებაო—უმატებდენ მეორენი.

2

იულონს ნიშნათ გლოვისა ძაძა ეცვა და სახლიდან არ გამოდიოდა, დანა არ შეხებია მის წვერ-თმა-ულაშს. მისი მეუღლე გულში სიხარულით ცას ეწეოდა: ქმარიც მუდამ გვერდში ყავდა და მთელი ოჯახის ბატონ-პატრონ-მომვლელი გახთა.

შესახედავათ იულონი იგივე იულონი დარჩა, გულში კი ვერ დამშვიდებულიყო. დედის მიერ მოვლილ ოჯახს და მამულს უმაღლესი ზედამხედველობა დასჭირდებოდა. დრო ბევრი რჩებოდა, კითხვა, თუმცა ძალას ატანდა თავს, მაგრამ მთელი დღეობით არ უხერხდებოდა და თვით კითხვის დროსაც ათასი ფიქრი გაუვლიდა თავში.

გლოვის გათავების დრო მოახლოვებულიყო. ოტია მწიგნობარის ნათქვამი ათასჯერ გაარჩია, ნათქვამი დაამუშავა და როგორც სჩვევია ძლიერი ბუნების ადამიანს, მთელი არსება სამოქმედოთ აღეძრა.

კითხვაც მიატოვა და ერთს აკვიატებულს აზრს სავსებით მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა მოვკალი ამ ოჯახისთვის. ღმერთი არ შემინდობს ადვილად და ხალ-ხი არ შემარჩენს, როცა იქნება გადამახდევინებს და დამსჯის, მაგრამ ამასაც მო-ვესწრები... ცოტა კიდევ მოვაწყობ ოჯახის საქმეს, თავს დავდებ ერთობილ სა-ქართველოსთვის და მხოლოდ შემდეგ წავალ მონასტერში. ქვეყანა ძლიერ აირია ჩემს საბატონოში. მადლობა ღმერთს, ჯერ არაფერია; ყმანი კმაყოფილნი არიან, აზნაურნი მემორჩილებიან, ატყობენ, რომ მე თუ არ ვეყოლე გვერდში, ცუდათ წაუვალ საქმე, მაგრამ სულ ვერ გასტანს აგრე ჩემი ციხე, სანადირო ტყეები, სა-წისქვილეები, დოვლათი გლეხებს მადას აღუძრავს ბევრს ამღვრევისა და აღშფო-თების დროს ხელი მოითფოს. „მაშინ რა? ვინ არის დამცველი?.. მეფეს მივენდო გულით და სულით? იგი ვერ მოუვლის ქვეყანას, მე ხომ ღორი არ ვარ, მარტო გაძღომით დავკმაყოფილდე, „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“. ამ ჩვენი სულელი მეფის ხელში სიკეთეს ვერ ველირსებით. ვინც კი მოდის ჩვენ-ში უცხოელი ფარჩა და აბრეშუმი აცვია, ვერცხლსა და ოქროში არის ჩამსხდა-რი, ფული აქვს და საქონელი... ჩვენ კი გაძვალტყავებული, განამწარები ველით სიკვდილის დღეს... სხვაგან თურმე ცხოველსა არ სტოვებენ უექიმოთ, უწამლოთ, ჩვენში კი დიდებულნი ვერ ღირსებიან ქინაქინას. მეფისთვის ვერ აგვიშენებია ხეირიანი სასახლე და იქ თურმე უბრალო მოქალაქეთაც კი ორ-სამ სართულიანი სახლები აქვთ.

წერა და კითხვა არ ვიცით, ღმერთს ვერ შეववედრებივართ წესიერათ! ორი პატრი ჩამოვიდა. ბაწარი აქვთ წელზე შემორტყმული და ქალამნები აცვიათ და ისე ასწავლიან ჩვენ კათალიკოზ-ეპისკოპოზებს, როგორც ოსტატი შეგირდს.

სხვაგან მდაბიონიც მეცნიერები ხდებიან, ჩვენში დიდებულები ხელის მოწე-რის მაგიერ საბუთებზე ჯვარს ძლივს სმენ და რატომაო? ბუნება არ გვაქვს მდი-დარი თუ? ჰავა შეზავებული; ნიადაგი ნოყიერი; ტყეში ნადირი და წყალში თევ-ზი; მიწაში ოქრო და ვერცხლი და ხალხი ნიჭიერი... მაშ რატომ ყველაზედ ჩა-მორჩენილი, ყველაზე უბადრუკი ჩვენ უნდა ვიყოთ?

სწავლა გვაკლია, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრება; ესაა ჩვენი უბედურე-ბა. ერთი სწავლული არის ჩვენში და ისიც გააძევეს სასახლიდან... ოდიშიდან გადმოვა თარეში თუ ოსეთიდან არ იცი. ქალაქში ნახშირი ვერ წაუღია კაცს, რომ გზაზე ორი მარჩილისთვის კაცი არ გამოკუჭონ საალდგომო გოჭივით... ეჰ, ვის მივეკედლო, რითი აღვასრულო კეთილი საქმე ქვეყნისა და ჩემთვისაც?.. გადავაგ-დოთ ჩვენი უნიათო მეფე და მოვიწვიოთ ახალი... ამბობენ კახთა ბატონიშვილი ძლიერ ნიჭიერი, გონიერი კაციაო და უებრო სარდალიო. რა გამოვა? გავახარებთ მხოლოთ რაჭის ერისთავს... რა გაუკეთდება ჩვენს მხარეს? იქნებ მოვიგერიოთ მთავარი ოდიშისა, ლაგამი ჩავკრათ წერეთელსა და აბაშიძეს, მაგრამ გაუმკლავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით განა ოსმალოს? და განა ქართლს არ აწიოკებდეს იქნება ლეკები და ცაბა-სელები? ამბობენ ქართლის მეფეა ჭკუიანიო, აი იმერეთი რომ მას დაუჭერდეს მხარს, მას რომ ნება ყოფლობით შეუერთდებოდეს, მაშინ ადვილათ დაიჭერს კახეთსაც, რომელზედაც მას მეტი უფლება აქვს ვიდრე, ეხლანდელ კახეთის მეფეს. მირონ ცხებულ მეფის წინაშე, რომელიც. დაამშვიდებს და ააყვავებს ქვეყანას, უნებურათ ქედს მოიხრის ოდიში და აფხაზეთი, გურია და სამცხე... მაშინ დაიბადება მეორე შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი. გადავდებ თავს და თუ ცოდვა ბევრი მიქნია, ეს მადლათ ჩამეთვალოს.

რომ მალე შედგომოდა საქმეს, იულონი წლის თავის შესრულებამდე ემზადებოდა გამოტირილისთვის და საიმედო პირებთან მიწერ-მოწერით ამზადებდა ნიადაგს.

3

ერთ დილას, როცა იულონს ჯერ კიდევ ხელზე უჯდა გასაწფავათ ღამენათევი მიმინო, შემოიჭრა ბიჭი და მოახსენა:

— ქალაქიდან სტუმრები გეახლენ.

— ვინ ბრძანდება?

— არ ვიცი, მხოლოთ სთქვეს—მეფისგან ვართ გამოგზავნილიო.

— სასტუმროში შეიყვანე.

— ძლიერ გვეჩქარება ბატონის ნახვაო.

— მაშ სთხოვე.—და იულონი უკანა კარებში გავიდა, რომ მიმინო ქანდარაზე დაეჯდინა.

რამ მოიყვანა ასე ადრე?—ფიქრობდა იულონი და თან ჩოხას ისკვნიდა; აივანზე შემოვიდა სტუმარი.

— მობრძანდი, მობრძანდი დარბაზში, ნაზო და ომის ველზე საზარო,—მხიარულათ მიესალმა მასპინძელი ახლად მოსულს და მიიხედა ოქრო-ვერცხლით სავსე თაროსკენ.

— სამწუხაროთ მე არც სტუმრათ მოვსულვარ და არც, წარმოიდგინე, მეგობრათ.

— ჯერ ჩემსას შევასრულებ და მერმე თუ გნებავს ხმალში გამიწვიე—უპასუხა მასპინძელმა, რომ დარდიმანდობა დაემტკიცებია, თუმცა ცოტა არ იყოს შეკრთა—აი მიირთვი ჩემდა სამახსოვროთ, ნუ დამიწუნებ! მსურს შენი გემოვნება მოვისყიდო და არა შენი გონება... იქნებ მან მიშველოს დანაქად განსაცდელში—იოხუნჯა კიდევ იულონმა, თუმცა მოსულს ეხლა უკვე შეატყო, რომ სახუმარო არაფერი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულმა ნელა აიღო პატარა თასი და ღიმილით წაიკითხა:

ამაოთ უცქერ მშვენიერ ასულს,
უკეთ გაართობს ღვინო ვაჟკაცთ გულს.

— ა, ლექსიც კარგია და სურათი ხომ ჭეშმარიტი მხატვრისაა.—მოსული ჩაჩერდა თასზე ამოჭრილ გაცრცვილი ქალის ნაკვთებს.

— ესეც ჩემგან იყოს,—და არჩილმა ხანჯლის ქარქაშიდან ამოიღო ვერცხლის ტარიანი ოქროთი დაფერილი წვერიანი დანა, რომელზედაც შავის ზაინშით ამოჭრილი იყო:

ნაჭედი ვარ ხილისთვის,
ნუ მაფუჭებთ ფრჩხილისთვის!..

— მანდილოსნებმა ეხლა შემოიღეს, გამოგართმევენ დანას და იწმენდენ ფრჩხილს; ამან თავი მომაბეზრა და ასეთი ზედ წარწერა გავაკეთებინე; იქნებ შენც გამოგადგეს

იულონმა თავისი დანა ამოიღო ხანჯლის ქარქაშიდან და მის მაგიერ ნაჩუქარი ჩადვა.

— ეხლა მიბრძანე რითაც მაშინებდი.

— არა, შიშით არა, მაგრამ უსიამოვნო ამბავი უნდა გითხრა; მეფე ძლიერ საჩქაროთ გიბარებს.

— რა ნებავს თუ იცი?

— დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ განრისხებული კი უნდა იყოს.

— რომ არ წამოვიდე?

— უნდა წაგიყვანო.

? !

— მომისმინე! ტყეულა ნუ აღელდები! ათი კაცი აი, აქ ვართ ეზოში, ხმა-მაღალი ლაპარაკიც რომ გაიგონონ, მაშინვე შემოვარდებიან... ეხლა ოჯახში შეიძლება მონახო იმდენივე, მაგრამ ტყის უკან ოცდა ათი კიდევ მყავს დამალული; ორი ჩემი მხლებელი შენს მეკარეს ელაზღანდარება და თუ ხმაურობა შეიქნა ბაწარს გასჭრიან, თხრილზე ხიდს გადებენ და იმ ოცდა ათ კაცს შემოუშვებენ... ვთქვათ ყველას მოგვერია, ხომ იცი შენი მეზობლები მშიერ მგლებივით დაგესევიან თუ მათ სიხარბეს დაემატა მეფის ბრძანება.

იულონი ერთხანს სახეში შესცქეროდა.

— შენ და შენი მხლებელნი ვერაფერს მიზამთ, ტყეში თუ ვინმე გყავს, მათაც მალე მოუსაგვავ გველის წიწილივით თავს, ოღონდ მერე რა ვქნა?..— ფიქრობდა იულონი,—დავხიზნო ცოლ-შვილი?.. ნაჭირნახულევი, ნაამაგევი ოჯახი ხომ გაპარტახდა, ხომ კარი კარს უნდა იაროს ჩემმა შვილმა და მომავალმა... მივენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობი მეც შეთქმულებს... მაგრამ მართლა გულით არიან შეთქმულ-ლებრივ ლაზღანდარობენ და ერთმანეთის გატეხას, ღალატს უთვალთვალებენ, რომ შემდეგში თვითონ დააბეზღონ და რასმე გამორჩენ... და უეცრათ იულონმა არჩილს მიმართა:

— ვინ იქნება ჩემ მსაჯულათ მოწვეული?

— სეხნია აბაშიძე, ედიშერ წულუკიძე, თეიმურაზ ჩიჯავაძე.

— ესე იგი, სწორეთ შეთქმულნი!—გაიფიქრა ისევ იულონმა.

— და იციან მათ ჩემი საქმე!

— რა თქმა უნდა იციან.

— ერთი მითხარი, ნუ დამამადლი, ვინ იჭერს ჩემ მხარეს?

— როგორც შევამჩნიე გულმხურვალეთ არვინ... მხოლოდ მიქელაძე და იოსელიანი თხოულობდენ მეტი მოწმეები გამოეწვიათ, საბუთები შეეკრიბათ, უფრო დინჯათ და წინდახედულათ მოქცეულიყვნენ, არ აყოლოდენ დედაბრულ ჭორს და ამ აღრევა უბედურობის დროს ქვეყნისთვის არ დაეკარგათ ორი კეთილ-შობილი ადამიანი და მათი ოჯახი.

— ეს მეორე ვინღაა?

— რაც ვთქვი ისიც მეტი იყო, იმისთვისაც გამირისხდებიან.. ნუ მიწყენ.

— ... წინათ მე მომანდვეს შენი სიკვდილი...

— ვიცი...

— ... და ახლა შენ მიგყავარ სასიკვდილოზე?

— როგორც მაშინ შენ ვერ დამიჭირე მხარი და ზურგი შემომაქციე? ისეა ეხლა ჩემი საქმე... მაგრამ ნუ გეშინია, მე უფრო სულგრძელი ვიქნები—შენთვის ვიმეცადინებ.—თავი ჩაღუნა და ჰკითხა:

— შენ რაღასთვის ჩაერიე ამ საქმეში?

— ღმერთი ხომ არის მოწამე, არც სურვილი მქონებოდეს აქ წამოსვლის და არც გუშინ დაღამებამდის მეფიქროს, მაგრამ ხომ იცი ჩემი მდგომარეობა... ისედაც ალმაცერათ მიყურებს ყველა.

— დედოფლის გარდა—მზაკრულათ ჩაურთო იულონმა.

— ეჰ, არ ღირს მაგაზე ლაპარაკი... ქალის შეურაცხყოფა ვერაა რაინდული ქცევა,—ზიზღით შეაწყვეტინა სიტყვა არჩილმა.

— რა უნდა ვქნა ახლა?—ისე... თავისთვის... გაიკითხა იულონმა და მოაგონდა დედა, რომელსაც სწორეთ ეხლა შეეძლო მარჯვე ხელით და მოხერხებული რჩევით დახმარებოდა.

— სჯობია ეხლავე შეაკაზმინო ცხენები და წამოხვიდე... ვითომც არაფერია, მერმე იქნებ მეფემაც შესცვალოს რისხვა წყალობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისი წყალობაც და მისი...

— ჰო, გეყოფა, მირონცხებული მეფე არც ისე პატარა კაცია, რომ ყოველმა ქვეშევრდომმა ცუდათ მოიხსენოს.

— შენც მაგას მეუბნები?!.. როდის გახდი მეფის უფლებისა და პატიოსნების ასეთი მედგარი დამცველი?!— დაცინვით შენიშნა იულონმა.

მცირე დუმილი.

— მაშ გამოვეთხოვები ცოლ-შვილს.

— შენი ნებაა, ოღონდ ჯერ მხლებლებს გადასძახე ცხენი შეგიკაზმონ.

— ორი კაცის წამოყვანა შეიძლება?

— ინებე, ოღონდა ჩქარა,—ოდნავ ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა არჩილმა.

იულონს უნდოდა ასეთ გასაჭირ დროს ყველაზე უფრო ერთგულნი ამოერჩია, მაგრამ ვერც ერთზე ვერ შეჩერდა, ბოლოს უიმედოთ, სასოწარკვეთილებით გაიფიქრა: ისევ ძიძი-შვილები სჯობიაო და გადასძახა ქვევით:—გოგია, დათუნა, ცხენი შემიკაზმეთ და თქვენც მოემზადეთ—ქუთაისს მივდივართ.

. . . . . .

— თინათინ, მე საჩქაროთ მეფეს გამოუწვევივარ—რაღაც არაჩვეულებრივი სინაზით და თითქოს დარცხვენილიაო, დაიწყო იულონმა.

— კეთილი იყოს თქვენი წაბრძანება—მორჩილათ უპასუხა ცოლმა.

— ბავშები ეხლავე ძიძეებთან გააგზავნე.

— რატომ? მე სრულიად მარტო დავრჩები—უფრო გრძნობის გამოსათქმელათ, ვიდრე საწინააღმდეგოთ უპასუხა ქალმა.

— ხომ იცი კარგია... ძლიერი გლეხებია... მათთან რომ გაიზრდებიან უფრო შეუყვარდებათ. გაჭივრების დროს არ დასტოვებენ.

— თქვენი ნებაა, ბატონო.

იულონმა ხელი ნაზათ მოხვია წელზე; ქალს ასეთი ალერსი იშვიათათ ხვდებოდა წილათ და ამიტომ მეტათ იამა, მოდუნდა, გული აუჩუყდა.

— აი გახსოვდეს, თუ მცირე რამ ფული დაგჭირდეს, დედას ოთახში ხატი ჩამოხსენ, იქ ნახავ პაწია კედელში შეჭრილ უჯრას, უჯრაში შესდევი ხანჯალი კარგა დიდზე და მარჯვნიდან მარცხნისკენ გაატარე; ხანჯალი სარაზავს გადასწევს და შენც გამოსწევ უჯრას, იქ ნახავ ფულს, დაკეტის დროს პირიქით მარცხნიდან მარჯვნისკენ გაატარე და ის დაჰკეტს... აი ეს კლიტე კი ჩვენი მთავარი სალაროსია... თუ ძლიერ არ გაგიჭირდება, ისე ნუ გახსნი; კლიტე იმავე უჯრაში ხატის უკან შეინახე, თუ მაინც და მაინც დაგჭირდეს, კლიტე აჩვენე იესეს, უთხარი აბა გავალოთქო და ის გაჩვენებს ადგილს.

— ბატონო, როგორ, დიდი ხნით მიბრძანდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი. იულონმა ველარ მოითმინა—მეფე რალაც განრისხებული ყოფილა ჩემზე.

— უი, თვალი კი დამიდგა, რას გვერჩის?—და ქმარს უფრო მიეკრა.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ღვთით ყველაფერი მოგვარდება... ოღონდ რაც უნდა უბედურება დაგვემართოს ჭკუით იყავი... ბავშვებს მოუარე... სამი გყავს... მეოთხესაც ღმერთი მოგვცემს... თუ ბედმა მიმტყუნა შენ მათ მამობაც უნდა გაუწიო და შვილები არ დაგივიწყებენ—სიბერეში ყავარჯენივით მხრებში ამოგიდგებიან...

ქალმა ქვითინი დაიწყო. იულონს სურდა ყოველი შემთხვევისთვის თავდარიგი დაეჭირა; თან ქალის თანაგრძნობით სიამოვნებდა; ამიტომ დაამთავრა:

— თუ დაქვრივდე...—ხმა აუძაგძაგდა—არ გიშლი ხელ მეორეთ გათხოვებას.

— უი რათ ამბობ, უი რათ ამბობ!

იულონმა დაწყებული წინადადება კოცნით დაამთავრა:

— ოღონდ ხეირიანი კაცი ამოირჩიე,—შენც მოგიაროს, ბავშებსაც კარგათ მოეპყრას და მამული არ გაუნიავოს.

— უი, ყური კი დამემსო, რა მემართება?! ნუ თუ ასეა ჩვენი საქმე? —და ქალი კისერზე ჩამოეკიდა ქმარს...

ქმარიც დიდხანს კოცნიდა ცოლს, გრძნობდა, რომ ახლა ის იყო ერთათ ერთი გულშემატკივარი მთელ ქვეყანაზე. როცა ქმარმა სთქვა: „ეხლა კი დროა, უნდა წავიდეთ“—ცოლი არ გაჯანჯლებულა, უსიტყვოთ ჩამოშორდა ქმარს და პატარა ბავშვივით მიჯდა ლოგინზე მოთენთილი, თვალ-ცრემლიანი, მწუხარე და დასუსტებული. იულონმა აიყვანა ოთახში ძიძის ხელში მყოფი პატარა შვილი, ჩაიკრა გულში და ძალდატანებული სითამამით გავიდა არჩილთან.

— მაშ წავიდეთ.

ცხენებზე შესხდენ. ჭიშკართან იულონმა კოშკზე მდგომი მზვერავი დაინახა და თავში სისხლი ეცა.

-- ეი, შენ, ერთი ჩამოდი აქ.

თოფიანმა დარაჯმა მოირბინა.

— შენ ეს ბატონები რომ მობრძანდებოდნენ, დაინახე?—ვითომ მშვიდათ დაეკითხა იულონი, მაგრამ ღელვა უფრო და უფრო ედებოდა სხეულს.

— კი ბატონო...

— მეტი არავინ.

— მეტი ვინ უნდა დამენახა?

— რაო? შე ძაღლის კნუტო, აი იქ ვინ იმალება ეხლა?—და იულონმა სტაცა დარაჯს კისერში ხელი და ცხენის სიმაღლეზე ასწია...—ახლაც ვერ ხედავ?

ეხლაც ვერ ხედავ? ბიჭს სახე დაუსისხლიანდა, თვალები უზომოთ გაეფართოვდა, პირი დააღო, ცოტა კიდევ და დაიხრჩობოდა. არჩილმა ერთი ვაი-ვაგლახით გააშვებინა ხელი და ცოცხალ მკვდარი კოშკის ლეზვ-წამოსული დარაჯი მიწას დაასკდა.

ხიდზე გავიდენ. არჩილმა დასტვინა და მალე გამოჩდენ ტყეში ჩასაფრებული მხლებლები.

. . . . . .

შესახვევში მგზავრებს სამიოდე ცხენოსანი დახვდათ.

— რა ქენით — დაეკითხა არჩილი.

— თავსლაფი დაგვასხეს...

— როგორ?

— ღამე იყო როცა მივედით... როგორც უთხარით მეფესთან უნდა წამოხვიდეთქო, იმავ წამს დაგვეთანხმა... გავიდა, ცოლს გამოვეთხოვებიო... უცადეთ, უცადეთ... მერე მოვიკითხეთ, მერე გავწყერით, ჩვენ თვითონ დაუწყეთ ძახილი, დავიწყეთ ძებნა, გადავჩხრიკეთ იქაურობა, მაგრამ ვერსად ვნახეთ, მხოლოთ მის ავათმყოფ ცოლს წავაწყდით. გვაგინა უშვერი სიტყვებით: „ყაჩაღებო, პატიოსან ხალხს სიკვდილის დროსაც კი არ შორდებით, კრულ იყავით თქვენც და თქვენი მეფე და ბატონიო“.

— ქართლისკენ არ გააგზავნეთ მდევარი?

— როგორ არა! მე თვით ვაჭენე ცხენი, სანამ არ დადგა, მაგრამ კვალს ვერ მიკაგენ; მერე ვიღასიც ცხენი დავიჭირე და ხომ უყურებთ ამით დავბრუნდი.

— რაღა ვქნათ ეხლა?

— შემოვერტყათ ამ მიდამოს და დავიწყოთ ძებნა.

— ა, ტყულა გავირჯებით... მარტო რომ იყოს, უსათუოდ ამდენხანსაც ნახავდით, მაგრამ ეტყობა გლეხები ეხმარებიან, და თუ მათ მოინდომეს, ამ უტეხ ტყეში მთელი წელიწადი ისე შეინახავს თავს, რომ საკუთარი ჩრდილიც კი ვერ დაინახავს და როცა მოესურვება ისე წავა, როგორც ხოხობი.

— ჰე, რისხვას ვერ გადავრჩებით.

იულონი თავიდანვე ფიქრობდა, რომ ეს უწვევი სტუმრები უბრალო საქმისთვის არ იყვნენ გარჯილი, რომ მას უეჭველია მეფის წინააღმდეგ რაიმე მოქმედებას აბრალებდენ; ეხლა სავსებით დარწმუნდა, რომ მას მეფის ღალატს აბრალებდენ და შეთქმულებას ეძებდენ.

იულონმა მოინდომა თავის მხლებლებს გამოლაპარაკებოდა საიდუმლოთ, მაგრამ შეატყო, რომ ხელს უშლიდენ.

იულონის ფიქრს მიხვდა არჩილი და ბოლოს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იულონ, ა, საცაა ქალაქში შევალთ...

— მერე?

— ჰო და როგორც მე გეცი პატივი და ამდენს ხანს იარაღით მოგიყვანე, ისე შენც მეცი პატივი და იარაღი მომეცი.

— როგორ, რატომ?

— რას იტყვიან მეფე და მსაჯულები, როცა დაიარაღებულს წარგადგენ? ეს ბებერი ქე გამპარვია და მადლობის მაგიერ, ვინ იცის, იქნებ მეც სამსაჯულოს გადამცენ, როგორც თქვენი თანამოაზრე.

იულონმა მიიხედა თავის მხლებლებისკენ, მაგრამ ისინი აღარ სჩანდენ.

— ჩემი კაცები სადღა არიან?..

— ჩამორჩენ... მათაც იარაღს ჩამოართმევენ და ისე გამოგყვებიან და თუ გინდა ისევ უკან გაგზავნე და იარაღსაც დაუბრუნებ.

— მომატყუე?

— რითი, რაში? მე რაც შემეძლო პირიქით გეხმარები ღმერთია, მოწამე.

— ეჰ,—ჩაიქნია ხელი იულონმა და თავისი იარაღი არჩილს გადასცა.

მწვავე ფიქრებში გაერთო იულონი და ხმა აღარ ამოუღია.

4

მეფე იჯდა დიდი მუხის ძირში; მსაჯულნი, კარის კაცნი და ცნობის მოყვარეობით მოზიდული ხალხი ეხვეოდა გარს; განმარტოებით, დაშორებული საერთო მუსაიფს და სიცილ-ხარხარს, იჯდა უიარაღო იულონი.

დარაჯები არ სჩანდენ, მაგრამ რომ ვიღაცა თვალს ადევნებდა, უეჭველი იყო, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი ვერ გაიქცეოდა და ვერც ზიანს მიაყენებდა ვისმეს.

მეფე მიუახლოვდა იულონს.

იულონი ფეხზე წამოხტა და დარცხვენილათ თავი დაღუნა.

— ჩემი თქვენდამი უკმაყოფილება ვერ დამიშლის ავასრულო ჩემი მოვალეობა: წერილობით ჩემი მეუღლე გადმოგცემდათ ჩემს სამძიმარს... ეხლა სიტყვიერათ უნდა ვსთქვა, რომ თქვენი ღრმად პატივსაცემი დედის გარდაცვალებამ დიდათ დამაღონა. განსვენებული ჩვენი ქვეყნის შვენება იყო, როგორც ძველი ქართველი ქალი, ოჯახის პატრონი და ოჯახისთვის მზრუნავი. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ; თქვენ კი იობის მოთმინება მოგცესთ ღმერთმა, რომ გადიტანოთ ასეთი დედის დაკარგვა...

იულონმა კიდევ უფრო მძიმეთ დახარა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს თვით მოეწონა თავისი საქციელი და საპასუხო თავის დაკვრის შემდეგ განშორდა იულონს.

კარის კაცები მლიქვნურად, მეფის გასაგონად ამბობდნენ:

— რა სულგრძელია, რა ლმობიერია, ნამდვილი მეფეა, შთამომავალი ბაგრატოვანთა...

. . . . . .

იულონმა ხალხში დაინახა სოფიო და რევაზი და თითით ანიშნა მისულიყვენ. მივიდენ.

— აქ რას შვებით?

— ცოტა რაცხა პარასკეობისთვის გასაყიდათ ჩამოვიტანეთ...

— ერთმანეთში როგორ ხართ?

— კარგათ ბატონო...

— მოეწყვეთ?

— თქვენის წყალობით...

— კიდევ ეარშიყებით ერთმანეთს თუ?

— ა, არა ბატონო.

— აბა... ?—ეშმაკურათ შეხედა ქალის მუცელს...

ორივემ თავი ჩაღუნა.

— ჯვარი არ დაგიწერიათ?

— არა ბატონო...

— ურჯულოები ხომ არა ხართ.. დღესვე დაიწერეთ ჯვარი, არ წაიწყმინდოთ სული—და სოფიოს იულონმა ჯიბიდან ამოღებული რამოდენიმე ვერცხლის ფული გადასცა: „ნახევარი შენ და ნახევარი შენს დას... ჯვარის დასაწერი ფული ჩემი იყოს... ისიც ხომ შენსავით ცოლობას უწევს ჩემს კაცს?

— კი...—დარცხვენით უპასუხა ქალმა.

— მადლი უთხარი ბატონს, მადლი წყალობისთვის.

იულონს კიდევ უნდოდა მათთან მუსაიფი, მაგრამ ერთი კარის კაცი მოვიდა და მიაყვირა:

— წადით, წადით აქედან სანამ ზურგი არ აგწვიათ.

. . . . . .

დიდი ხანია იულონს მზე მიადგა; რამდენჯერმე გადაჩოჩდა, გამაგრამ მეტი გაწევა აღარ შეიძლებოდა—იგი უნდა შეერთებოდა სხვებს და ეს კი არ სურდა.

ბოლოს ვერ მოითმინა და წამოიძახა:

— მეფეო, მოიღე მოწყალება, გამასამართლე! თუ დამნაშავე ვარ, დამსაჯე; თუ არა—დასაჯე ისინი, ვინც ოჯახის მყუდროება დამირღვია და ჩემი თავი ჩაგასმინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჰო მართალია, დავიწყოთ!—ბრძანა მეფემ.

— მოითმენს ცოტას, არა უშავს რა, ისე ნაზი არ ბრძანდება,—ჩაიბუტბუტა სახლთხუცესმა.

მეფე თავის ადგილზე შესწორდა, საქმის მოსასმენად დაემზადა, მდივანმა საწერ-კალამი მოიმარჯვა და ქაღალდი გაშალა. მეფის ირგვლივ შემოსხდენ კარის კაცები; სამღვდელოებამ თავისი ადგილი წესრიგზე დაიკავა და მთელმა ხალხმა ხმა გაკმინდა.

— აბა, მდივან-ბეგო, საქმე მოგვახსენე...—ბრძანა მეფემ.

მოხუცი მდივან-ბეგი ადგილზე შეშმაშურდა და უმწეოთ უპასუხა:

— მე არაფერი ვიცი, მწყალობელო მეფე.

უხერხულობა უფრო გაიზარდა, როცა მეფემ აქეთ-იქით იწყო ცქერა, თითქოს დამხმარეს ეძებსო.

— ვაი ჩვენი ცოდვა, კაცი დაუჭერიათ და არც კი იციან რისთვის...—ჩაიბუტბუტა ერთმა მოხუცმა დიდებულმა...

დიდებულებში ჩოჩქოლი ატყდა:

— თქვი, შე კაცო!—აქეზებდენ ერთს.

— რა ვთქვა, რომ არაფერი ვიცი!?.

— ამ დროს უნდა დახმარება: ენა გიჭრის და გარემოება იცი,—კრეს მუჯლუგუნი სპასალარს...

— შენ იკითხე, თვარა მე რა მენაღვლება!—ჩაიქნია ხელი ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ხან ერთს უფუჩუნებდა და ხან მეორეს.

ხალხში ჩოჩქოლი მატულობდა. იულონს იმედი სრულიად დაეკარგა—მან იგრძნო, რომ აქ სამართალის ძებნა ამაო იქნებოდა, რომ აქ შეკრებულიყვნენ მტრები, რათა თავიდან მოეშორებიათ ერა სასურველი პირი და ცდილობდა თავი მაგრად დაეჭირა. აქვე იდგენ იულონის ცოლის ნათესავები, მაგრამ დამფრთხალ ფინიასავით თავისთვის წკმუტუნებდენ და ხმას კი ვერ იღებდენ...

ამ დროს ადგა მოხუცი სახლთ-ხუცესი, ულვაშებზე ხელი გადისვა, ხმალ-ხანჯალი შეისწორა, თავი ჩაღუნა ცოტა არ იყოს დარცხვენილი, დაიწყო:

— ქრისტე! მწყალობელო მეფე, დედებულნო, ჯარის-კაცნო, ხალხნო და ჯამაათნო, ზევიდან ღმერთი გვიყურებს და ქვევით ჩვენი სინდისი! უკუღმართმა საქციელმა უკუღმართ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, მირონცხებული მეფე მსაჯული და პატრონი ქვეყნისა დღეს, ვით მდაბიო თქვენ მოგმართავსთ და სამართალს ეძებს... ხალხო! მეფის შელახული უფლების აღდგენაა საჭირო და ქვეყნის მტერის წინააღმდეგ ზომების მიღება. განა ამას მოელოდა ჩვენი ლმობიერი მეფე? განა იფიქრებდა, რომ რომელიმე ჩვენგანი გაბედავდა ღალატს იმ მეფისას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობით ხვდება მტერსაც და ოსმალთა გულიც კი მოინადირა თვისი კაცთ-მოყვარეობითა?! მხოლოდ შემთხვევამ ხელი შეგვიწყო და ბოროტი საქმე ცხად ჰყო, თორემ დღეს თუ არა ხვალ უნდა გაემარჯვნა სათნოების წილ მზაკვრობას, და სიმშვიდის წილ ცეცხლსა და ამბოხებას...

ჩვენმა მეფემ ბევრს თვისი მწყალობელი კალთა გადააფარა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტათ დავალებული არის იულონი იესეს ძე.

მცირე აზნაურს ციხე და მამული ლბოძა, სახელი მაგისი განითქვა და, რასაც არ მოელოდა მაგის მამა და ბაბუა, ისე აღმაღლა კეთილმა მირონცხებულმა.

სანამ ოჯახს უვლიდა დაქვრივებული დედა მაგისი, კიდევ შიშის ქვეშ იყო იულონი. კიდევ ჰქონდა რიდი ქვეყნისა და უფლისა ჩვენისა, მაგრამ რაკი უეცრათ გადაიცვალა ნეტარ-ხსენებული გაიანე, უმადურმა შვილმა დაივიწყა ანდერძი მშობელთა და გაჰყვა გზასა ბოროტისასა

მან, დიდებულნო, კარის კაცნო და ხალხო, გადუდგა სჯულს, თავის ქვეყანას და მოინდომა მეფის ტახტიდან ჩამოგდება, რომ განედიდებია თავი უმაღლეს მეფისა...

— წყეულიმც იყოს—დაიძახა აგიაშვილმა.

— წინათაც, დედის გადაცვალებამდისაც ცდილობდა გზა თვისი ბოროტათ ევლო, ძალა თვისი ბოროტათ მოეხმარა: წაართვა მან აგიაშვილსა ამოწყვეტილი გლეხი და მესხთა მამული სამკვიდრო.

— ვერ შევარჩენ, უკაცრავათ—წამოიძახა მესხმა...—და ეხლა კი მის მაგიერათ, რომ, როგორც შეჰფერის მგლოვიარე შვილს, დედის სულისთვის ელოცნა, დაიწყო წერილების გზავნა ოსეთს, ქართლს, რაჭას და სადაც კი მიწვდებოდა...

შეთქმულთა რიცხვი მრავალი უნდა იყოს, საუბედუროთ ჩვენ მხოლოთ გარდა ამისა კიდევ ერთს მივაკვლიეთ—წიგნობარს ოტიას. თუმც იგი უხელოა, მაგრამ მარჯვენა ხელია შეთქმულთა... იგი გაგვეპარა.

რათ უნდა გაპარულიყო, თუ დამნაშავეთ არ გრძნობდეს თავს?

— ჭეშმარიტათ ორივე ერთათ მოქმედებდენ—გაისმა დიდებულთა შორის—მოყვრებიც არიან.

— ... და ეხლაც, როცა ბნელი საქმენი განანათლა ჭეშმარიტების შუქმა, ფეხს კი არ დავარდნია მეფეს, მოტევება კი არ უთხოვნია მეფისათვის, არამედ ამაყად სდგას და სასაცილოდ იღებს სამართალს, თქვენ, დიდებულნო ხალხნო და მეფევ!.. მას იმედი აქვს თანაავაზაკთა დახმარებისა, მაგრამ ფიცხელი განკარგულებით უნდა იქნეს მოსპობილი სათავეშივე ქვეყანაზე მოვლენილი განსაცდელი: ვინ იცის, რავდენთ გულუბრყვილო ადამიანთ გაიტაცებენ ისინი და რავდენ უბედურებას მიაყენებდენ ისინი შვილთა ჩვენთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე არის დრო და სახსარი მოიპოვეთ საშვალება უზრუნველ-ყოთ მშვიდობა ქვეყნისა, თქვენი ოჯახებისა და მირონ-ცხებული ჩვენი მეფისა.

თუ დავახანეთ, მტერი შემოიკრეფს ძალას, ალსა და ცეცხლს მიეცემა ქვეყანა და ძმათა მკვლელ ომში გართულთ ამოოთ მოგვიხდება „თავში ცემა“.

მოხუცი დადუმდა. იგი ელოდა ხალხიდან გამოძახილს. ყველა დუმდა. ეს იყო ცუდი ნიშანი.

მაგრამ მათ და ბედათ ერთი ამბავი მოხდა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

ვილაც მორბოდა და ყვიროდა:

— მიშველე, მეფეო! მიშველე!—ვითომ აჩერებდენ, მაგრამ მაინც მოვარდა.

— რა დაგემართა?

— უბედურება და ღვთის რისხვა!

— ვინა ხარ?

— ნამახვანელი ტყაბლაძე, მეფეო.

— მერე?

— მერე, დათვის ტყავი და ნაღველი მომქონდა. აგერ ვილაც დიდი კაცი მევაჭრებოდა, ფასში ვერ შევრიგდით ის წავიდა. მე მისი კაცები მეცენ... ჩხუბში ნაღველი ქე დამექცა, ტყავი წამართვეს...

— ახლა მე რა ვქნა?—ულონოთ, უიმედოთ მიიხედ-მოიხედა მეფემ.

— ბრძანე ჩემი ტყავი დამიბრუნონ, ნაღველს შენი ჭირა წაუღია!—ჩემს ოჯახში წელიწადია მარილი აღარ ყოფილა!..—და გლეხი მუხლებზე ხელ-მეორეთ დაეცა—მოიღე მოწყალება.

— მდივან-ბეგი სადაა?—გაისმა სადღაც ხმა.

მეფეს გაუხარდა და უეცრად მიუბრუნდა გლეხს:

— აი, მდივან-ბეგს უბრძანებ...

— არ მინდა, არ მინდა, შენ ბრძანე გადაახდევინონ... აი, ბატონო, ის კაცი, მე რომ ტყავს მევაჭრებოდა... მაგის კაცებმა წამართვეს...

— ნუ აწუხებ მეფეს!.. შენი ტყავისთვის არ ცალია!.. ნუ იგდებ თავს!.. გასწი აქედან!—გაისმა კარის-კაცთა შორის და ჯიკავ-ჯიკავით მეფეს მოაშორეს ვითომც და აბეზარი მთხოვნელი.

წრიდან გამოგდებული გლეხი ერთ ჩამოკონკილ აზნაურს მიუჯდა გვერდში:

— ღმერთი არ უყურებს ამ ამბებს—შესჩივლა გლეხმა.

— რატომ შეხედავს, ძმაო, ტანათ ჩვენ არ ვარგვართ და პირათ, შეძლება ჩვენ არა გვაქვს და სიტყვა-პასუხი არ გვივარგა; რომ გადმოიხედოს, ვერ დაინახავს, სიბნელეში ვართ. რომ დაგვიგდოს ყური, რომ ვერ ვეტყვით, როგორც შე-

ჰფერის...—მწარე დაცინვით ამბობდა მოხუცი...—აი, აბა აანთე მკლავის სისხლი-თაფლის სანთელი, ჩაიცვი ფარჩა და ქინასუსი, შეგალობე უფალს ტკბილი მოქნილი ხმით—ნახე მაშინ თუ არ გისმინოს! თორემ, შე საცოდავო შენი სიტყვა ხომ, ჩემი არ იყოს, დათვის ღმუილსა ჰგავს და აბა დათვისთვის რომ უფალს ესმინა, შენ კი არ გააძრობდი ტყავს, დათვი გაგაძრობდა!..

გლეხი ბოროტის თვალით შესცქეროდა დამცინავ ადამიანს, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც ბოლმას გაემწარებია იგი და ჰკითხა:

— თქვენ რაღა უბედურება გეწვიათ?

მოხუცმა გაიცინა:

— სულ წინააღმდეგი იმის რაც შენ, შენ ტყავი წაგართვეს, მე ბეწვი, შენი ტყავი დათვის იყო, ჩემი ბეწვი კი შველის... შენ ფულს თხოვილობ, მე კი სისხლს.

— ვერ გავიგე.

— ტუტუცი ხარ და მიტომ, მაგრამ ვფიცავ ღმერს, ჩემს სისხლს ავიღებ.. ხომ უყურებ აი ამ ხანჯალს?

— გლეხს მეტი ხმა არ ამოუღია—ეშინოდა კიდევ ვერაფერს გავიგებო და მოხუცი გამლანძღავსო, მაგრამ მოხუცმა ვერ მოითმინა და დაათავა:

— შვილი გამიუპატიურეს, კაცო, შვილი... შეპირდა შეგირთაო... გაიტყუა, წამიბილწა და ხასათ დაიჯდინა... დავსდევ, მეფე არ დამიტოვებია და კათალიკოზი, მაგრამ ვერც ჯვარი დავაწერინე, ვერც საუდიერო გადავახდევინე და ვერც ქალი გამოვსტაცე ხელიდან... სასაცილოთ იღებენ ღმერთსაც და ადამიანსაც... ყაჩაღათ უნდა გადავარდე, მეტი არაფერი დამრჩენია!..

— რაღა დროს შენი ყაჩაღობაა!!—შენიშნა დათუნამ, რომელსაც ვერაფერი მოეგონა იულონის დასახსნელათ და დიდხანს უგულოთ უსმენდა მოხუცის მასლაათს, მაგრამ ეხლა რაღამაც გაჰკრა, თითქოს იაზრა მომავალიო და ჩაერია ლაპარაკში.

— არა, შვილო, არც ისე ბებერი ვარ, რომ გგონია, მარა ცხოვრებამ გამტეხა წელში... ბალღი რომ ვიყავი, დედოფლის კალთაში ვკოტრიალობდი და მერე ისე უკან-უკან წევედი, რომ ქართლიდან მოთრეული ვირის თავიც მეთავადება და ბუზათ არ მთვლის... ეჰ, ან კი ყაჩაღათ რათ წავალ, აგერ შევეკედლები ფიცის კაცს...

— ეს ფიცის კაცი რაღაა, მითხარი თუ ღმერთი გწამს?—სწრაფად შეეკითხა დათუნა.

— რავა არ იცი, შე კაცო, იმერელი არ ხარ?

— იმერელი კი ვარ, ბაბუა, მარა მე უფრო ქართლში ვიზდებოდი ჩემ ბატონთან ერთად და აქაური ბევრი არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი რომ ბაბუას ნუ მიძახი—არაფერი ბიძაშვილი არ ხარ ჩემი... მეორე ფიცის კაცი ქვია აი, აქედან დაწყებული ცხენის წყლამდე ყველას, ვინც კი ცხოვრობს... უხსოვარი დროიდან ოდიშიდან გვიფარავენ; ამიტომ იქაურ ბატონებს ნამდვილი მეფეების, ამისთანების კი არა, იქ რომ ზის—მოხუცმა ზიზღით მეფისკენ ხელი გააშვირა—სიგელი აქვთ ვინც მიეკედლება, თუნდაც ქრისტეს ფეხის მჭამელი იყოს, ვერავინ მოიკითხავს, ხელს ვერავინ ახლებს... ყველა ოხერი აქეთკენ მორბის... მართალი რომ თქვას კაცმა, ბევრი ქე იხოცება: ზოგს სვანი კლავს და ზოგს მეგრელი...

— რა ვიცი ეს თარეში ქე მოდის ოდიშიდან და ფიცის კაცი რას აკეთებს?

— შე ოჯახ-აშენებულო, ფიცის კაცმა კი არა წმინდა გიორგიმ ვერ დაგვიფარა და ისინი რომ არ იყვნენ, ვინ იცის რა დაგვემართებოდა?

სანამ მაბეზარა გლეხს დაამშვიდებდენ, სანამ ჩოჩქოლი დამშვიდდებოდა, დიდებულნი და ჯარის-კაცნი თითქოს იცავდენ მეფეს უსიამოვნებიდან და თან ერთმანეთს უფუჩუნებდენ, ანიშნებდენ—ცუდათ არის საქმე, ამ ბებერმა მრავალი ილაპარაკა, მარა სარწმუნო კი ვერაფერი სთქვაო, რამე უნდა ვახერხოთ იულონის წინააღმდეგო...

ბოლოს მეფემ ისევ მიაპყრა ყურადღება იულონს:

— ვინ რას იტყვის ამ საქმეზე...

სდუმდენ.

ყველაზე უფრო გასალახანებულმა წერეთელმა სტორტლა:

— მეფის ორგულს თვალების დათხრა!.. მეტს რას უნდა მოელოდეს?

ჭეშმარიტათ შვბრალების ღირსი არ არის!—დაადასტურა აღაშვილმა.

— ესაა თქვენი სამართალი?—დაცინვით წამოიძახა პირველი სიტყვები იულონმა.

— ესეც რომ სამართალზე ლაპარაკობს?—დაცინვით უპასუხა მესხმა.

— დავთხაროთ თვალი სამაგალითოდ, რომ მეორემ ველარ გაბედოს ისედაც აფორიაქებული ქვეყნის აღრევა—დაეთანხმა აბაშიძე.

— მამულიც ჩამოვართვათ.

— არა! მამულს რას ერჩით? მაგია დამნაშავე და არა მაგის შვილები...

— ... ცოცხალი იყოს და საჩვენებელი, თუ რა მოელის მეფის და ქვეყნის მოღალატეს...

— თვალები დასთხარეთ, დასთხარეთ თვალები!..

— რას ერჩით, კაცო, ვინაა მოწმე, რომ მართლა დამნაშავეა... იქნებ უდანაშაულოა... კაცის ცოდვაში ნუ ჩავიდგამთ ფეხს—მკრთალად აქა-იქ გაისმა. ხმა იგი საერთო სურვილის წინააღმდეგობისა ქრებოდა ღრიანცელში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თვალი დათხარეთ, ეს უკეთესია, ეს ეცოდინება ყველა მომავალ ბოროტ მოქმედს.

მეფე უძლურათ, თითქმის შეშინებული იცქირებოდა აქეთ-იქით. თითონაც არ სურდა ასეთი სიმკაცრე. დანაშაულობაში არ იყო დარწმუნებული. მიმართა სახლთ-ხუცესს:

— რა ვქნა?

— ბრძანე ხმა ღვთისა და ხმა ერისა-თქო და დაეთანხმე. მეფეს ორი რამ მოეწონა: ერთი რომ საქმე როგორმე ბოლოვდებოდა, მეორე ლამაზათ, ბრძნულათ შეეძლო თავისი აზრი გამოეთქვა და თან ცხვირს უკვე სცემდა შემწვარი მწვადის სუნი და ამიტომ დინჯათ სთქვა

— ხმა ერისა და ხმა ღვთისაო, იყოს ნება ღვთისა!..

— ღმერთმა შეარცხვინა თქვენი სამართალიც და თქვენი კაცობაც! — დაუმატა იულონმა გულ-გრილათ, როგორც დიაკონი ამბობს „ამინ“-ო.

— აბა ჯალათო — საჩქაროთ! მიმართა სპასალარმა იქვე მდგომს, რომ მეფეს ბრძანება არ შეეცვალა, ან ხალხს სხვა სურვილი არ გამოეთქვა.

. . . . . .

— რას ერჩიან, მამა, იულონს? — დაეკითხა არჩილს შვილი.

— ჩვენც მაგი მოგველის, შვილი... დიდებულებს არ უნდათ მეტოქეთა რიცხვი მატულობდეს... ხელსაც მოითბობენ... ეჰ!

. . . . . .

აუტანელმა ტკივილმა ისევ ამოაღებინა ენა.

— ვიტყვი, ვიტყვი ყოველიფერს, ოღონდ ნუ მტანჯავთ-დაილრიალა.

ჯალათი წუთით შეჩერდა.

— ვღალატობდი ამ უნიათს... არა ქვეყანას... ნუ შემრევთ მოღალატეებში... არაფერი მომისწრია ოღონდ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ისროდა სიტყვებს იულონი.

მეფე შეჩერდა.

— კაის არაფერს იტყვის.

— შეურაცხყოფას მოგაყენებს მურტალი ყაზახი.

— წავიდეთ, მეფეო, ჩქარა.

— ნუ იკადრებ მაგის თავის გაყადრებას...

მეფეს შემოეხვივნენ დიდებულნი და ვითომ დიდის პატივისცემით ნამდვილათ კი ოდნავის ძალდატანებით მოაშორეს იმ ადგილს.

— რა ვაჟკაცი დაილუპა! — თქვა ერთმა მოქალაქემ.

— მაგასაც ეყოლება არა ერთი მოკლული.

— ვა, ასე თუ ერთმანეთი ამოჟლიტა ამ ხალხმა ჩვენ ვინღა დაგვიცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამბობენ, თათარი ციხის ძირშიაო.

— მეგრელები ცხენის წყალში გამოვიდენო.

— აღარ იქნება ერთი მშვიდობა, სიწყნარე ნეტავი? ნუთუ სრულიად მოგვიძულა ღმერთმა?..

ორი მსახური მივიდა იულონთან და შორი ახლოს მისი იარაღი დააწყო:

— აი თქვენი იარაღი, აღარ დაიკარგოს, ჩვენი ბრალი არ იქნეს.

— თქვენი დედა... თქვე ურჯულოებო, კრულ იყოს თქვენი მეფეც, თქვენი კაცობაც—იწყევლებოდა, იგინებოდა და ღრიალებდა თვალდათხრილი.

მერე დადუმდა.

ხალხი მიიფანტ-მოიფანტა.

— წყალი, ვინ ხარ მადლიერი.

— ახლავე, ბატონო.

ეს იყო იგივე სოფიო, რომელიც ქმართან ერთად მის გვერდში იდგა და ყველაფერს უყურა.

— ვინ ხარ შენ?

პასუხი არავინ გასცა.

— შენც გაიქეცი? ქრისტიანი კაცი აღარავინაა?

— რა ვქნათ, რა ვქნათ, შენი ჭირიმე?.. რატომ არ გაგვიწყდება მიწა...— ღრიალებდენ და ყვიროდენ სირბილით მოსული ძიძი-შვილები.—კაია-კაი უპასუხა გონება დაკარგულმა იულონმა.

— დაგვიჭირეს, თვარა შენთან გავწყდებოდით, ღმერთია მოწამე—იმართლებდენ თავს ახალგაზდა ბიჭები, რომელთაც მართლაც ღრმად უყვარდათ იულონი.

სოფიოც მალე დაბრუნდა, წყალი დაალევინა, თვალი მობანა.

— ვინ ხარ?

— ჩვენ ვართ, ბატონო, თამაზა და სოფიო...

— წამიყვანეთ სახლში.

სოფიომ ურემი მოიყვანა.

დაიწყო ჩვეულებრივი ვაჭრობა.

— რას ამბობ, ძმაო, იქ ურემი კი არა, ჯორი ვერ ავა.

— მესხების კარამდის მაინც მიგვიყვანე და მერე ჩვენ წავიყვანთ...

— ორი უზალთუნი მომეცით.

— ღმერთი არ გწამს, ორი ფეხის ნაბიჯია?

— ორი ფეხის ნაბიჯი კი არა ხვალ დაუქმებამდის, სახლში ვერ მივალ...

— ქრისტიანი არ ხარ? კაცი კვდება და შენ გამდიდრება გინდა...

— ე, ჩემო ძმაო, ჩემთვის ქრისტიანი ვინ გამოდგა, რომ მე სხვას ვენაცვალო?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი, ჯანი გავარდნია.

. . . . . .

მესხების კარებთან მეურმე შეჩერდა...

შეეხვეწენ... შეაშინეს და წინ წინ გაიგდეს მეურმე...

იწყევლებოდა მეურმე...

ვინ დაუჯერებდა?

იფიცებოდა, ხარებს მეტი აღარ შეუძლია, საურმე გზა აღარ არისო.

საიდანღაც გამოჩნდა აქამდის მიმალული თედო და ის ყველაზე თავგამოდებით ერეკებოდა ხარებს...

უეცრათ ურმის ღერძი გატყდა.

— ასე დაგექცათ ოჯახი — დაიწყევლა კიდევ მეურმემ.

იულონი გამოერკვა ბურანიდან... მიხვდა რაც მოხდა.

— ცხენი...

მოართვეს ცხენი. ძლივს შეჯდა. უნაგირზე ვერ მაგრდებოდა.

— ფეხები გაუკრათ უნაგირ-ქვეშ, — რჩევის კილოთი ფუჩუნით წარმოსთქვა ერთმა.

— ვერ გასძლებს... ვერ უყურებ წელში როგორ იკეცება?..

ისევ ჩამოსვეს.

— რა ვქნათ?

— რავა ბატივით იქცევით?.. მომეცი ერთი წალდი და სოფიომ თავის ქმარს წელიდან ამოაძრო წალდი.

გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ ორი მომსხო სარი და რამდენიმე ღვლეჭი მოიტანა.

შეკრეს, საკაცეზედ ხის ფოთლები დააყარეს; თედომ ჩოხა გადააფარა და დაწოლილს იულონს ნაბადი დაახურა.

ერთმანეთს ეცვლებოდენ; ასე ვაი ვაგლახით სახლში მეორე დღეს მიიტანეს...

ავათმყოფმა ჯერ მოიხედა. ბავშვების ნახვა მოისურვა, ჩაიხუტა. ცოლს ეალერსებოდა. მაგრამ ბრაზი ჰკლავდა, რომ მტერთ დაჩაგრეს, ტკივილები აწუხებდა, სინდისი ჰქეჯნიდა, უცრუვდებოდა იმედი, რომ შთამომავალს უზრუნველყოფილს სტოვებდა და სევდა ღრნიდა, რომ დიდი საქმისთვის ვერაფერი მოიმოქმედა.

ოჯახს დღითი-დღე ეტყობოდა, რომ უფროსების გამოცდილი და გამჭრიახი თვალი აღარ ტრიალებდა. ცრემლ-მორეული თინათინი ხან საქათმურს ეცემოდა, ხან სამზარეულოში უეცრათ შევიდოდა, ხან საქალებოს, ხან თავლას ესტუმრებოდა, რომ გადაერჩინა კვერცხები დალაყებას, ორიოდე ადლი ხამი მეტი მოექსოვათ მოახლეებს, მაგრამ დოვლათი დნებოდა უმწეო ქალის თვალსა და ხელ შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს უმალავდენ იულონს, მაგრამ ატყობდა მაინც, ვერ დაუმალეს, რომ დაიკარგა ვერცხლით მოჭედილი უნაგირი, რომ მოხარკეთ აღარ ინდომეს ჩალის მოზიდვა, და ავათმყოფობას ხელი შეუწყო მწუხარებამ.

. . . . . .

მუდამ გულ-მოსული გადია, რომელსაც ძლიერ სწყუროდა დაემსახურებია სახელი და პატივი განსვენებული წინა-მოადგილისა, ხშირათ ბატონების გასაგონათაც კი წამოიკაპასებდა, როცა დაკარგულზე შეიქნებოდა რჩევა და გამოკითხვა:

— უგვარო ცხენსო ნუ აჭმევ ქერსო!—მაგის ცოლის მშიერი დედულეთი თლათ თუ არ წაგვიღებს, ისიც კარგია,—და თინათინი ითმენდა, რადგან თვითონ ხედავდა თუ როგორ მიათრევდენ რასაც კი დაიხელთებდენ მისი ძმა და ბიძა, დედა და ბიძაშვილი და თქმით კი, ერიდებოდა რამე ეთქვა.

. . . . . .

ძიძი-შვილები იულონის წინაშე თავს დამნაშავეთ გრძნობდენ, და ორივე თუ არა, ერთი მაინც განუწყვეტლივ თან ახლდა.

ერთხელ იულონმა ინატრა:

— ერთი ჩემი კოშკი მაჩვენეთო.

— მობრძანდი, ბატონო...

როცა ავიდენ კოშკზე, იულონი დაჯდა ქვაზე და უნებურათ მოაგონდა აქედან და აქ ნანახი და ნაგრძნობი სურათი.

— დათუნა, ხომ არავინ არის აქ?

— არა, ბატონო.

— ხომ იცი, ვინ დამლუპა?

— კი, ბატონო.

— ხომ იცი, რომ შენ ჩემი ძიძი-შვილი ხარ და ჩემ მაგიერ, სანამ შვილები წამომეზდებიან, შენ უნდა იძიო შური ..

— კი, შენი ჭირიმე, თუკი ნებას მომცემ.

— წაიღე ჩემი თოფი და ტამბაჩა, ოქროსაც მოგცემ საკმაოს... მოჰკალი ნამალევათ, მერე გადადი ოსეთში, მიეკედლე ისეთ ბატონს, რომ დაგიფაროს... ნურც ისეთ დაძაბუნებულს აირჩევ, რომ შენვე გაგიხდეს მოსავლელათ და ნურც ისე ძლიერს, რომ დაგჩაგროს და დაგიმონოს... გავა ორი-სამი წელი და დაბრუნდი ქართლში და თავი შეაფარე ზაზა ციციშვილს ან ქუცნა ამირაჯიბს; იქიდან გაიგებ ჩემი ოჯახის ამბავსაც, და ვინ იცის იქნებ ღმერთმა მოიღოს წყალობა და ჩემს შვილს, შენს ნაზარდს ისევ შეხვდე. შენ ამოგირჩიე, რადგან ცოლ-შვილი არ გყავს... ვიცი დიდს მსხვერპლსა გთხოვ, მაგრამ ნუ ჩამატან საფლავში ბოღმას... მეგობრულათ შემომეპარა სახლში, ვენდე, გამიტყუა და ყასბებს მიმცა ხელში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თითონ მინდოდა, ბატონო, ღმერთია მოწამე... მან შემარცხვინა კაცი... გლეხი ვართ მე და ჩემი ძმა, მაგრამ ვიცით ძმობა...

— გმადლობ... ღმერთმა გადაგიხადოს... მაგიერობას კი ვერ გიზამს ფული, მაგრამ იმდენს კი მოგცემ, რომ სადაც უნდა იყო, თავი ირჩინო... არ დაგავიწყდეს, როცა ჩემი რომელიმე ვაჟი წამოიზდება, ეცადე იარაღი დაუბრუნო...

— კი, ბატონო.

— მაშ ნუ იყოვნებ—ეხლავე წადი, დიდი ხნის სიცოცხლე არ მაქვს და მინდა მოვესწრო...

ორი კვირის შემდეგ ლოგინში მწოლარე იულონი სიამოვნების ცრემლებს ღვრიდა: უკანასკნელი მოწმე მისი „ბუშობისა“ მოჰკლეს და განთავისუფლდენ შვილები შესაძლებლობისაგან—„ნაბიჭვრიშვილებათ“ მონათლულიყვნენ... შურის ძიების გრძნობა კი არჩილისადმი გულში არ ჰქონია, რადგან კარგათ იცოდა, რომ არჩილს სრულიადაც არ უფიქრნია მისი დაღუპვა, პირიქით, შეიძლება, ცოტათი კიდევაც დაეხმარა.

ცარიელ ოთახში სასთუნალთან დათუნა უჯდა და უამბობდა საჩქაროთ, რომ არავის მოესწრო:

— წუხელის მოვკალით ის და მისი შვილიც, სარჩო-საბადებელი ბევრი წამოვიღეთ... თქვენი რჩევა, ბატონო, არ გამოდგა, ქუთაისში რომ ჩავედი, ერთი მოხუცი შემხვდა, დიდი მტრობა ჰქონდა არჩილთან, ის შევიერთე და ისე დავეცით...

— გიცნო მოხუცმა?

— ვერა ბატონო.

— როცა მე პირველათ გავეცანი, დიდ ქალბატონზე მგლოვიარეთ ვიყავი, შავი მეცვა და თმა წვერ-ულვაში გაბურძგნული მქონდა, ეხლა თმა გავიკრიჭე, წვერი მოვიპარსე, ახალი ჩოხა ჩავიცვი. მოხუცმა ერთი კი მითხრა, საცხა მინახავხარო; ისე კი დამიჯერა, რომ კახეთიდან მოსული თავადიშვილი ვიყავი. როცა ციხეს დავეცით, მოხუცი სიხარულიდგან გადირია მგონი: ავიდა კოშკის წვერზე და საკუთარი ქალიშვილის ნიფხავი ჩამოკიდა და ჰყვიროდა: ვინც შემარცხვენს, მას შევარცხვენ, ვინც დამწიხლავს, მას დავწიხლავო.

— აწ განუსვენე, უფალო, ჩემს სულს! დაკმაყოფილებით თქვა იულონმა.—შენ წამოიღე რამ ნადავლი?

— ცოტა ფული იყო, მეტი არაფერი.

— მართალი თქვი.

— იარაღი...

— გეველრები დააბი ქვა იმ იარაღს და გადაყარე წყალში, არავინ ნახოს.

— ბატონი ბრძანდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგიერათ ყველაფერი რაც გაგატანე, ღმერთმა მოგახმაროს, ეს ბეჭედიც შენ გქონდეს, მხოლოდ ლეკური და თოფი ჩემ შვილს არ დაუკარგო.

— დავკიდე, ბატონო, თავის ადგილას.

— ვინ მოხუცი დაგეხმარა, ვერ გავიგე?

— არჩილს ერთი გადაკიდებული მოსისხლე ბებერი ჰყავდა. იმ უბედურების დღეს გავიცანი ქუთაისში, თურმე ქალი გაუპატიურებია მისი და დაუგდია, მერე იმ საწყალ მოხუცს რამდენი არ უთრევია, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებია.

. . . . . .

თითქოს იულონმა ყოველივე მიწიერი შეასრულაო, მოდუნდა, მოეშვა, ლოგინს ველარ შორდებოდა, საჭმლის ჭამა მიატოვა, კითხვებზე პასუხს ალარ იძლეოდა, თუმცა ეტყობოდა ჩირქიანი თვალები საშინლათ სტკიოდა... და მოკვდა.

ცოლი გადარეულს დაემსგავსა.

გლეხობა დორბლს ჰყრიდა.

აზნაურნი მოთქვამდენ, გრძნობდენ რა მეთაური დაეკარგათ...

ეპილოგი

გავიდენ წელნი.

შინაურმა და გარეულმა ქურდებმა გააღატაკა გლეხობა.

აზნაურნი აჯანყდენ.

მეზობლებმა ჯერ გააოხრეს, მოითარეშეს და ბოლოს მთლად მიითვისეს ციხე-სახლ-კარი...

თვით ცოლი, ერთგული ცოლი, პირველათ ძალით გატაცებული, ხასათ დაიჯდინა თედომ...

ბავშვები დარჩენ ძიძასთან, რომ დავაჟკაცებისას გაუთავებელი საჩივარი, ჩხუბი და ალიაქოთი აეტეხათ მამულ-დედულის, ციხე-სახლ-კარის დასაბრუნებლათ...

იულონის გულის ოდნავ დამამშვიდებელი იმედიც არ გამართლდა: მასთან ერთად საუკუნო დუმილს არ მიეცა უკანასკვნელი მოწმე ოჯახის სახელის გატეხისა, უჩირქოთ შეურაცხყოფას აშორებული ვერ განაგრძო გვარმა არსებობა.

მართალია თანადამხდური, სანდო, მაგრამ გულუბრყვილო მემატიანე, რომლის თხზულება დაიკარგა, სწერდა: „ჟამსა მას საშინელსა გავრცელდა მტრობა, შური დიდებულთა შორის. მსხვერპლად ანგარებისა გახდა თვით ფრიად პატიოსანის იულონის დედა, წარწყმინდა იგი დიდებულმან არჩილ, რომელი თვით იქმნა წარწყმენდილ ხელითა მისისავე ერთგულისა ყმისათა... ხოლო იულონი დაბეზღებითა მეფისა წინაშე არა ქმნულისა ღალატისათვის იქმნა თვალ-დამწვარ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთმა ულრმესმა, პირუთვნელმა და უმახვილ-გონიერესმა მემატიანემ შეაფარდა წინამორბედი და შემდეგ მომხდარი საქმენი და ციხიდან გამოგდებულნი „ნაბიჭვრიშვილების“ მეტ-სახელით მონათლა, და ეხლა ნამდვილი მათი გვარი მგოსანთ გარდა არავინ იცის. ნათესავ მოყვრებისაგან ათვალწუნებულნი, ხალხისგან სასაცილოთ აღებულნი, ვერ გაუმაგრდენ ყოველის მხრით მოზვავებულ მტერს, და უკვე შვილის-შვილები ამპარტავანი წინაპრისა, რომელიც გვარის სახელისთვის დაიღუპა, იძულებულნი შეიქმნენ სრულიად და სამუდამოთ დაეტოვებინათ ის არემარე... მათი შთამომავალნი ელაც სცხოვრებენ ერთ მივარდნილ სოფელში, მაგრამ მკაცრმა მემატიანემ—ერმა აქაც შეუნარჩუნა მათ სამარცხვინო გვარი—„ნაბიჭვრიშვილი“.

რუსთა სასტიკ ხელმწიფეობის ჟამს ეცადენ გვარი გამოეცვალათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ვეჭვობ, ლმობიერმა რესპუბლიკამ ხმა ერისა სავსებით წარხოცოს, თუნდაც გვარი გადაარქვან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული[1]

(ქართული არაკი)

მეხუთე კარი

1

უცნაურად მოეჩვენა ნადირა მეფეს ირემას დაკარგვა. რამდენიმე კვირის ძებნის შემდეგ სულ გამოიგლოვეს ირემა...

ერთმაც ვერა თქვა, თუ ირემამ პირი საით ქმნა, თუმცა ის ყველას თვალწინ ედგა, ყველგან ის ტრიალებდა, რადგანაც რიგის მიმცემი ის იყო...

„ასე უცნაურად და უკვალოდ დაკარგვა ქათმისაც არ შეიძლება, და ირემას რაღა მოუვიდაო?!.“ ჰკვირობდნენ პირველ დროს, და ერთი მეორეზე უცნაურად აზავებდნენ იმის დაკარგვას...

ზოგი ამბობდა ირემა ალებმა მოიტაცეს და ნახეს, თუ როგორ მიარბენინებდნენ, მაგრამ ალები დღისით არავის იტაცებენ და ამისთვის ჩქარა უარ-ჰყვეს ეს ხმა. ზოგი კიდევ—დედა-მიწამ პირი ქმნა, ირემა შიგ ჩავარდა, და შემდეგ ისევ პირი შეიკრაო... როცა ჰკითხავდნენ: სად... როდის. . ვინ ნახა?!. ვერას ამბობდნენ...

და კიდევ ბევრ სხვა რამე უცნაურს ამბობდნენ...

ასე იყო, თუ ისე, ირემა ისე მიიმალა, რომ იმისი მნახველი არავინ გამოჩნდა...

ნამდვილად კი ასე მოხდა: ირემა ეთერის ახლოს იდგა და მხლებლებს განკარგულებას აძლევდა სუფრის შესახებ. იმან ვერც კი შეჰნიშნა, თუ გადიამ ზარი როგო მოუტანა ეთერს. ვერც ის შეჰნიშნა, თუ ეთერმა როგორ მიიბრუნა პირი ჩამამავალ მზისკენ, და როცა ეთერი უეცრივ ამღერდა და ზარიც აახმაურა, აი, მაშინ ირემას ის ღამე ჩაბარუხის პირას წარმოუდგა თვალწინ თავისი მაშინდელის სიძლიერით, კინალამ დამბლად ჩავარდა უეცრობით, ფერ მიხდილი მაშინვე მაშინდებურად არჩია მოშორება და სწრაფად კანკალით გაურბინა ყველას თვალწინ...

[1] იხილე „ცისარტყელა“ № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირემას ასეთ საქციელს ყველა ყურადღების მიაქცევდა სხვა დროს, მაგრამ ეხლა ყველა შებოჭილი იყო უცნაურ ორხმოვანობით...

ამისთვის იყო, რომ ყველას ვინც კი იცნობდა იმას და ვის წინაც ასე უცნაურის სისწრაფით გაიარა, მეხსიერებაში მხოლოდ მარტო იმის სახე აღებეჭდა და მეტი არაფერი... თითქოს ყველას წინ იდგა... ყველა ერთსა და იმას გაიძახოდა: „ამ წამს აქ იყო... თვალ-წინ მედგა“!.. როცა ის მოიკითხა მეფე ნადირამ.

ირემა კი მაშინვე თავის სახლში შევიდა, შვილდ-ისარი აიღო და ირმის სიმკვირცხლით ტყეს მოედო.

ტყუილად კი არ ერქვა ირემა. უწინ სახელს არქმევდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი რაიმე განსაკუთრებულ თვისებას გამოიჩენდა... ეს საყოველთაო სახელი იყო.. შინაურები, რასაკვირველია, თავის სახელს უწოდებდნენ შვილებს, მაგრამ ბოლოს ის სახელი შეჰრჩებოდა, რომელსაც მეზობლები თვისებაზე დამყარებულ სახელს უწოდებდნენ. ირემასაც დედამ დედის-ნუგეში უწოდა, მაგრამ დედის-ნუგეშობა იმას არას დროს არ გამოუჩენია. მეზობლები მხოლოდ მაშინ შეურიგდებოდნენ მშობლების სახელწოდებას, თუ მართლა სახელწოდებულნი გაამართლებდნენ შინაარს... მანამდის კი ბალღო... გოგო... ბიჭო...-ს უწოდებდნენ...

როცა ბალღი, ბიჭი და გოგო განსაკუთრებულ თვისებას არ იჩენდნენ და არც მშობლების სახელ-წოდებას ამართლებდნენ, რჩებოდნენ სიკვდილამდის მეზობლებში „ბალღის, გოგოს და ბიჭის“ სახელით...

ირემამ წამოიძახა მაშინ: „ამ სახლს უბედურება მოელისო“ და გადასწყვიტა აღარ დაბრუნებულიყო. მოედო ტყეს და ველურად ცხოვრობდა.

პანტა მაჟალო შემოსული იყო, და ამისთვის ადვილი იყო იმისთვის საზრდოს შოვნა ტყეში. მწყემსებს პირველ ხანში ერიდებოდა კარგად იცდა, მეფე ნადირა მოაძებნინებდა, და მძებნელები კი პირველად მწყემსებს შეეკითხებოდნენ... ამისთვის იყო, ასე უგზო-უკვალოდ დადიოდა ირემა, და ხან აღმა იზამდა პირს, და ხან დაღმა. ცდილობდა კი მეფის სასახლეს რაც შეიძლებოდა დაჰშორებოდა, რადგანაც ის წყეული ხმა არ შორდებოდა, რომელიც იმის აზრით უბედურებას უქადოდა მთელ სამეფოს... ხშირად.. ხშირად ისე მკაფიოდ შემოესმოდა, როცა იძინებდა, რომ ძილი უკრთოდა და ტანის თრთოლვა უვარდებოდა. ან კიდევ ჭამის დროს... თუ იმისი გონება რითიმე გართული არ იყო, ის ხმა ყოველთვის სდევნიდა...

მეექვსე დღე იქნებოდა, რაც ის გამოიქცა, დაღალული შუადღის დროს ერთ დიდ მუხის ძირას წამოწვა და თვალის მოტყუებისთვის მოემზადა...

ამ დროს შემოესმა თავზარ-დამცემი ნადირის ღრიალი, რამაც რამდენჯერმე ჩაიმუხლა და ბოლოს ოდნავ ხრიალად და კვნესად ღა მოისმოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირემა ფეხზე წამოიჭრა, შვილდ-ისარი მოიმარჯვა და ხმაზე გაეშურა. შორიდან ჩქარა დაინახა ერთ განმარტოებით პატარა ველის შუა მდგომ პანტის ქვეშ რაღაც მოძრაობდა. ირემა მაშინვე ფარულად ტყე-ტყე მიეპარა. ისრის სროლაზე რომ მივიდა და დააპირა სროლა, ამ დროს წამოდგა ვინმე ჭაბუკი, ხელის თითები დაიზილა, თითქოს დაჭკვრუნჩხოდეს, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, დაინახა იქვე ახლოს ლოდი... თითქოს ამას ეძებდაო, მაშინვე იქით წავიდა. მშვიდათ აიღო ლოდი, მიიტანა პანტის ქვეშ და იქ მდგომს შიგ თავში დააბალა... ქვეშ მდგომმა ფეხები მაღლა აიშვირა, დაჭიმა, რამდენჯერმე ჰაერში გაასავსავა და შემდეგ მოლეშით გვერდზე დაეშო...

2

ირემა გაფაციცებით თვალს ადევნებდა ამ სურათ და გონს ვერ მოდიოდა, თუ რა მოხდა, ვიდრე ფეხები არ დაინახა. მაშინ კი მიჰხვდა, რომ იმ ვიღაც ჭაბუკმა უიარაღოდ დაადუნა დათვი და ეხლა თავში ლოდის დარტყმით მოჰკლა... განცვიფრებული ირემა მივიდა ჭაბუკთან, რომელიც დათვის მოკვლის უმალ ჩაჯდა იმის ლეშის გვერდით და ხარბად პანტის ჭამა დაიწყო ..

— უგულო ადამიანი ჰყოფილხარ, უგულო!.. დაიწყო ირემამ მისვლისათანავე.

— ძალიან გემრიელი პანტაა; თუ გშიან, დაჯექი და შეექეცი... მეტათ ვერ გაგიმასპინძლდები...

ირემამ თვალები დააჭყიტა. იმის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ჭაბუკი ასე გულ-გრილად შეჰხვდა და თავის გმირობაზე არა სთქვა-რა... მაინც ჩაჯდა იმის გვერდით.—მართლადაც უხვად იყო გაშლილი მწიფე პანტა. ჭამა დაუწყო, და ჭაბუკს თვალს არ აშორებდა, რომელიც შეუყენებლივ პანტას შეექცეოდა და ირემას სრულებით არ ამჩნევდა ..

— უგულო ჰყოფილხარ, ძმობილო, უგულო! . ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა ისევ ირემამ და შემდეგ შეეკითხა:

— შენი სახელი?!

— ჩემი სახელი... ცოტა სიჩუმის შემდეგ სთქვა ჭაბუკმა,—ჩემი სახელი აკი იცი, რაღას მეკითხები?!.

— როგორ?!. რო ვიცოდე, ხომ აღარა გკითხავდი...

— ორჯერ დამიძახე „უგულო"-ვო და კიდევ მეკითხები...

— განა უგულო გქვიან?!.

— ჰო!.. უპასუხა ჭაბუკმა და ეხლა-ღა შეჰხედა ირემას...

ირემა ლამაზი, წარმოსადეგი, მოხდენილი ვაჟკაცი იყო, და ჰაბუკს მოწონა... თითქოს უნახავს კიდევაც სადმეო, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ირემამ...

— ნუ თუ მართლა უგულო გქვიან?!

— ჰო, რისთვის გაიკვირვე ეგრე?!. თუ კი შენ პირველ შეხვედრაზედვე უგულო მიწოდე, რატომ სხვები კი მაგასვე არ მიწოდებდნენ!..

— შენი სახელი?!. ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ჰაბუკი...

— ჩემი სახელი... დაიბნა ირემა... ჩემი სახელის თქმა არ მინდოდა, მაგრამ შენ გეტყვი—გადაჭრით უთხრა ცოტა ყოყმანის შემდეგ ირემამ: ირემა მქვიან!..

— ირემა?!. სიცრუეს ამბობ, თორემ დათვის ჩხავილზედ აქ კი არ გაჰჩნდებოდი, ცხრა მთას იქით გადიკარგებოდი...

— ხა... ხა... ხა... ხა!.. მადიანად გადიხარხარა ირემამ...

— შენ ან ლომა გერქმევა, და ან კიდევ ვეფხვა!..

— უჰ, რა კარგი რამ მოიგონე!.. დღეის შემდეგ ლომა მქვიან... წარმოიდგინე, ვფიქრობდი სახელის გამოცვლას და, თუ რა სახელი დავირქვა, იმაზე კი არ მიფიქრია...

— ცხოვრებამ ბევრი რამ უცნაურობა იცის... რამ გაიძულა სახელის გამოცვლა?!.

— ირემა სიმარდისთვის მქვიან... მართალს გეუბნები... ვამაყობ კიდევაც ჩემი სახელით, მაგრამ დღეს იძულებული ვარ სახელი გამოვიცვალო... გამოქცეული ვარ და ვიმალები. არ მინდა ნაცნობებს შევხვდე... ჯერ დათვს მოვუაროთ და შემდეგ ყველაფერს გიამბობ ..

— დათვს რა მოვლა უნდა?—შეეკითხა ჰაბუკი.

— გატყობ, ჩემო კარგო, მონადირე არა ხარ, თორემ მაგას არა მკითხავდი.

— მართალს ამბობ, ჩემ დღეში არ მინადირია...

— ჰო და ეხლა მე მოვუვლი ამ დათვს, და მწვადებს ავაშიშხინებ, მაშინ ჩემ თავ-გადასავალს გიამბობ; მანამდისინ კი შენ მიამბე ე დათვი უიარაღომ როგორ მოჰკალი, ან როგორ შეგეფეთა?..

ამ სიტყვის უმალ ამოიღო დანა და დათვს გატყავება დაუწყო.

— სულ უბრალოდ!.. დაიწყო ჰაბუკმა: თან პანტას შეექცეოდა... როგორც ჰხედავ, გზად ამ დაბერტყილ პანტის ქვეშ მოველ. გამიხარდა... მშიოდა კიდევაც. მაშინვე ჩავცუცქდი და ხარბად პანტის ჭამა დავიწყე... მესმის რალაც ღრიღინი, ტოტების ლაწუნი და ფოთლების შრიალი... სწრაფად წამოვდექ და ახედვა ზევით ვერ მოვასწარი, რომ ჩემ წინ ზღართანი გასძვრა დათვს... ჯერ ვერც კი ვიცანი თუ დათვი იყო, ისე ბურთივით დაეცა ჩემ წინ. კარგია კიდევ თავზე არ დამეცა... როცა თავი და ფეხები გამოეკვეთა ამ ბურთს, მაშინ მივხვდი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი იყო... შენ ამბობ: უიარაღომაო“, მაგრამ უიარაღო არა ვარ. ღვთისგან ბოძებული იარაღი თან დამაქვს...

ირემამ შეწყვიტა დათვის გატყავება და ხარბად დაეწაფა თვალით და გონებით ჭაბუკს.

— თავი, ხელი და ფეხი იმისთვის გვაქვს ბოძებული, რომ გაჭირვებაში გამოვიყენოთ... გაჭირვებაშიც ამით ვსარგებლობთ... არ ვიცი, დათვი რას აპირობდა, როცა თავი და ფეხები გამოაჩინა, გაქცევას, თუ ჩემთან შებრძოლებას, მე კი სწრაფად ზურგზე მოვექეცი, იმავე სისწრაფით ფეხები ბარძაყებ შუა გავუტარე, ხელები კი იღლიების შუა... გავჩაჩხე. უთუოდ ვერ მოისაზრა, თუ რა მინდოდა, თორემ ფეხებს გაიბორძიკებდა და მაშინ, შეიძლება, ისე ადვილად პირქვე ველარ დამემხო... ასე იყო, თუ ისე პირქვე საჩქაროდ დავამხე, მაგრამ, აი, ამის შემდეგ დაიწყო ძლიერი ბრძოლა... დათვი ცდილობდა მძლავრად და მერე რა მძლავრად ფეხები ისევ თავის დონეზე მოეყვანა!.. მეც ჩემი ძალით ამის წინააღმდეგ, მაგრამ ხელ-ფეხი მიბუჟდებოდა... თავისუფალი ერთი ხელი მაინც მინდოდა მქონოდა და, აი, ამას ვცდილობდი. როგორც იყო მარჯვენა თათი თავზე გადავუტარე, მარცხენა ხელი მარცხენა იღლიის ქვეშიდგან ამოვაცურე და მარჯვენა თათის თავს მაგრად ჩავჭიდე ეხლა ერთი ხელით წინა ფეხები მეჭირა და მეორე მარჯვენა კი თავისუფალი მქონდა დათვს კი თავიც ისე ჰქონდა გაშეშებული, რომ კბილებს ვერ მიიშველიებდა.

რაკი მარჯვენა ხელი გავინთავისუფლე, სწრაფად მომაგონდა, თუ ამისთანა შემთხვევაში, გინდაც დათვს ქვეშ ედო, მონადირეები...

— სანაშენო მოუნახე?!. ჰკითხა ირემამ და მთლად სმენად გადიქცა.

— ჰო! უპასუხა ჭაბუკმა... მართლაც ხვადი გამოდგა და ..

— ხვადი რომ არ გამომდგარიყო?! გააწყვეტინა ირემამ ისევ სიტყვა.

— ხვადი რომ არ გამომდგარიყო, მაშინ რა გაეწყობოდა, ყანყრატოს მივმართავდი და, სანამ არ გავგუდავდი, ხელს არ გავუშვებდი. მაგრამ ღვთის მადლით, ხვადი გამოდგა და ამისთვის სულ ჩქარა დავიმორჩილე. სანაშენოს ხელი მოვუჭირე თუ არა, მაშინვე დაიღრიალა, მერე კრუტუნი მუხლობრივ დაიწყო და ხმაც ჩქარა გაკმინდა. შევატყე, რო გონება დაკარგა. მაშინვე თავი გავინთავისუფლე და ვაპირებდი სადმე მიმალვას, რომ არ ვენახე, გონს რო მოვიდოდა. პანტაზე ასვლაც კი დავაპირე, დარწმუნებული ვიყავი, ძებნას არ დამიწყებდა და გაიქცეოდა ისე, რო თავის დღეში ამ პანტას აღარ მოეკარებოდა, მაგრამ აქვე ლოდი დავინახე და გადავწყვიტე კიდევაც ამის მოკვლა.

— ამ დროს გიცქეროდი და ვნახე, ლოდი როგორ დაარტყი.

— ჰნახე და მეც აღარას გეტყვი. მაგრამ ეგ ისევ გაუტყავებელია, და მგონი შენი მწვადები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირემა მოგიკვდეს თუ ეხლავე არ ავაშიშხინო... შენმა ნაამბობმა ისე გამიტაცა, რომ დამავიწყა...

— მე კი უფრო მომამშია და ამისთვის ისევ პანტას მივმართავ...

— არა... არა... აკი გეუბნები, ეხლავე იქნება მეთქი!.. წამოიძახა ირემამ და აჩქარებით დათვის გატყავება დაიწყო.

3

გარდა შვილდ-ისრისა, ირემას ყოველივე იარაღი, რაც კი მაშინ მოიპოვებოდა, ყველაფერი ტანზე ასხმული ჰქონდა მეფის კარზედაც კი. განა მარტო ირემას?!. ყველას. თან ჰქონდა სათული, წალდული და სხვა...

ამისთვის გაუკვირდა ირემას, რომ ჭაბუკს, როგორც იმან უწოდა, „უგულოს“ უბრალო ხელის დანაც არ ჰქონდა თან. როცა გაიგო, რო ტალკვესიც არა აქვს, მაშინ კი პირი დააღო განცვიფრებისგან. „ტყეს როგორ მოედო ასე უიარაღოთო“, ფიქრობდა ირემა და თან ხარბად შეექცეოდა დათვის სუკის მწვადებს.

ირემას სასახელოდ მართლაც ჩქარა გაატყავა დათვი, აკაფა სათულით, პანტის ტოტებზე ჩამოჰკიდა, ამოაჭრა სუკები და ცეცხლიც ჩქარა გააჩინა... მართალია ისაც, რომ ჭაბუკიც მიეშველა შეშის მოტანაში და ჭამაში ხომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

როცა კარგად მოინაყრეს, ირემამ დაიწყო „რასაც დაგპირდი, ავასრულებ. ეხლა შემიძლიან გიამბო რამ მაიძულა ტყეში გამოჭრა, ან სახელის გამოცვლა რამ მაიძულა. დღეის შემდეგ „ლომა“ მქვიან. ჩემზე ბევრით ახალგაზდა ხარ, მაგრამ გული როგორღაც შემომივარდა და მინდა გიამბო ყველაფერი. და უამბო თავის თავგადასავალი დაწყობილი სეფე-წულის გამგზავრებიდან კაკია-ბატონისკენ და თავის ჭაბუკთან შეხვედრამდის... ჭაბუკი გულმოდგინედ უსმენდა და ცდილობდა მღელვარება დაემალა. ნამეტნავად როცა ირემამ უამბო „ჩაბარუხის“ ამბავი. ირემას რო ცოტა დაკვირვების უნარი გამოეჩინა, უეჭველად შეჰნიშნავდა, რომ ჭაბუკი აწითლდა, მერე დაცინვის ღიმად გაეპო ტუჩები, როცა თავის თავზე სთქვა: „თმა კალხზე ამიდგა და გამოვიქეცი“ და...

— ლომა ლომობს, მაგრამ ალებთან კი ირმად იქცევა ხოლმე?!. წამოიძახა თავის და უნებურად ჭაბუკმა

ამ წამოძახილმაც კი ვერ გამოარკვია ირემა. ის გულმოდგინედ უამბობდა და ასე დააბოლოვა: „ეხლა შენი ჯერია. უნდა შენც მიამბო შენი თავგადასავალი“...

ჭაბუკი ჩაფიქრდა. სახე მოექუშა... მწარედ ამოიხვნეშა და წარმოსთქვა:

— რა გიამბო, ჩემო ირემავ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირემას ნულარ მეძახი, ლომა დამიძახე!..

— კარგი... რა უნდა გიამბო, ჩემო ლომავ, როცა ჩემ ცხოვრებაში ისეთი არა ყოფილა რა, რაც მაგრე მდიდარი ყოფილიყოს, როგორც შენი... მე არც მეფის კარზე ვყოფილვარ, და არც ბატონისა?.. ერთი ობოლი... ობლობაში აღზდილი... კარგი არა მინახავს რა... მხოლოდ ერთი ის იყო კარგი, რო თავისუფალი ვიყავი.

— როგორ?..

— ვინც მე ამიყვანა შეგირდათ ხელოსანი არის. ხელოსანი კი...

— ჰო, ხელოსანი თავისუფალია მეფის კარზედაც კი!.. წამოიძახა ირემამ, მაგრამ რაში ადგებათ ეგ თავისუფლება, როცა უნდა მეფეს გააძევებს თავის სამეფოდან, თუ ისე არ მოიქცა ხელოსანი, როგორც იმას უნდა?!.

— ისაც კარგია, ჩემო ლომავ, რო ძალად ვერას წაართმევს და ვერც არას გააკეთებინებს, როგორც ყმებს...

— ეგ კი მართალია!...

— ჰო და ამით ვიყავი ბედნიერი!.. იმითაც ვიყავი ბედნიერი, რო ჩემი მამობილი ძალიან ლმობიერად მექცეოდა... მე კი ის თითქმის ცალიერზედ დავსვი და, აი, ჩემი თავგადასავალი სხვა არაფერი...

— როგორ?..

— სულ უბრალოდ... ჩემ ცხოვრებაში ალი ჩაერია... ქალის სახით მომევლინა... შემიყვარდა... როცა ვსთქვი: ეხლა კი ჩემია მეთქი, სწორედ მაშინ წამივიდა ხელიდგან და მიმემალა...

— მერე შენი მამობილი რა შუაშია?!.

— იმის ქონება სულ იმას გავატანე...

— უგულოვ, მართლა უგულო ჰყოფილხარ!.. ალებთან საქმის დაჭერა, მერე ლმობიერ მამობილის ქონების ასე გათავაზება, სწორედ უგულოს შეუძლიან!..

— მე აკი ამისთვის გამოვცილდი მამობილს და ტყეში დავეხეტები, ჯერ ერთი ვიპოვო ის ალი, და შემდეგ მამობილს დავუბრუნო თავისი ასკეცად...

ირემამ გაკვირვებით თვალები მიაპყრო ჭაბუკს და ასე გაშტერებით შეჰსცქეროდა...

ჭაბუკმა შეასწრო თვალი იმის გაკვირვებას და შეეკითხა:

— რატომ ეგრე გაკვირვებით შემომცქერი?!.

— როგორ გაკვირვებით არ შემოგხედო, როდესაც ალის ძებნას შესდგომიხარ! ალს როგორ იპოვი?!.

— ამ ტყემ მასწავლა, როგორც ვიპოვი და, უფრო უკეთესი, როგორც დავიმორჩილებ... მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ერთი ეს მითხარი: სეფე-წული ჭკვიანია?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა გითხრა?!. გაკვირვებით დაეკითხა ირემა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო: სეფეწული გიბრძანებს, შენ უნდა შეასრულო ბრძანება. ჭკვიანურია ეს ბრძანება, თუ არა, ამის გამხილველი არავინ არის... მგონი ჭკვიანი არ უნდა იყოს, რომ კაციასთან წავიდა და ისე ფარულად იმისი ქალი მოიყვანა-როცა შეეძლო დაებარებინა, და მაშინვე კაცია თავის ქალით იმის წინ გაჩნდე, ბოდა...

— კაციას ქალი გზაში როგორ ექცეოდა?!.

— აკი გითხარ, ყურადღებას სრულებით არ აქცევდა. ესაც თავის ბრალია, რადგანაც იცრუა და უთხრა მეფის კარის მხლებელი ვარო და მეც ამიკრძალა სეფეწული დამეძახა... არც კაციამ და არც იმისმა ქალმა არ იცოდა, თუ ის სეფეწული იყო... როცა მე გამოვიქეცი, მაშინაც არ იცოდნენ...

ჭაბუკს მწარედ მოეკუმშა გული, და კვნესა დაუწყო... „განა იმისი მთვარისადმი ვედრება, რომ“... გაიფიქრა, მაგრამ სასწრაფოდ შეჭმუხვნილი შუბლი მაგრა ხელის გასმა-გამოსმით შეისწორა და შესწყვიტა ფიქრი...

— ღონიერია სეფეწული?..

— ღონისა რა გითხრა?!. არსად გამომიცდია და კაი ცხენოსნობა რომ იცის, ეს კი უტყუარია. ამაში ბადალი არა ჰყავს...

— როგორ?..

— როგორ და ისე ის რო ცხენს გააჭენებს, იმის გვერდით მიყოლას ვერავინ შესძლებს ხოლმე. .

— იქნება ეგ იმის ცხენის ბრალია?!. უთუოდ ის ყველაზე უკეთეს ცხენზე ჯდება.

— ეგაც მართალია. აი, რაც მართალია, მართალია!.. ის ყოველთვის საუკეთესო ცხენზედ ჯდება. იმის ცხენები რაშებსა ჰგვანან. რატომ აქნობამდის არ მომივიდა თავში, რომ იმ ცხენზედ მეც ისე თავისუფლად ვიჯდებოდი, როგორც ის... უგულობასთან ერთად, ჩემო უგულოვ, ჭკვიანიც ჰყოფილხარ... ღმერთმანი, ძალიან მომწონხარ და მოდი, დავძმობილდეთ!..

— ნუ ივიწყებ, ჩემო ლომავ, შენ ალებს გაურბიხარ და მე კი ვეძებ...

ირემა ცოტათი შეფიქრიანდა. მერე კი გულიანად გადიხარხარა...

— შენთან ერთად ალებიც ვერას დამაკლებენ... ხარხარითვე დაუმატა და შემდეგ დამშვიდებულმა განაგრძო.

— არა, ჩემო ძმობილო, რაც უნდა სთქვა, ეხლა ბედმა ჩვენ ერთმანეთს შეგვყარა და ველარა გაგვაშორებს...

— ჩემთვის უკეთესი. ამ ტყეში უგზო-უკვალოდ დავეხეტები. შენ კი, გეტყობა, კარგად იცი გზა და კვალი, როგორც მონადირემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირემა სიხარულით ფეხზე წამოდგა, ამოიღო დანა, რომლითაც დათვი გაეტყავა, და მაშინვე მარცხენა მაჯაში წვერი იტაკა, მერე ჭაბუკის მარცენა ხელი აიღო, იმასაც დანის წვერი უტაკა. როდესაც ორივეს სისხლის წვეთები გამოუჩნდათ, ირემამ თავისი მარცხენა ხელი ჭაბუკის ხელს დაადო ისე კი, რომ ორივეს სისხლის წვეთი ერთმანეთს შეუერთდა. ორივემ მძლავრად მარჯვენა ხელი მარცხენა მაჯას მოუჭირეს და მარცხენეები ერთი-ერთმანეთს მიაწებეს. ცოტა ხნის შემდეგ გააშორეს ხელები და ერთი-ერთმანეთი გადაჰკოცნეს...

სისხლი რაკი შეურიეს, თითქოს ერთი მშობლისანი იყვნენო. ეს უკვე ძმობის აღთქმა იყო, და კოცნა კი უბრალო ძმური ალერსი...

— ძმაო უგულოვ, ეხლა ჩვენ...

— ირემავ...

— ძმაო, აკი გთხოვე ლომა დამიძახე მეთქი!..

— აქ ჩემ ჩვენ მარტონი ვართ და ყურს არავინ გვიგდებს! . მაშ რად უნდა შევიცვალოთ სახელები. შენ ირემა გქვიან და მე კიდევ მახარე...

— მახარე?!. ოჰ, რა სამართლიანად დაურქმევიათ ეგ სახელი?!.

— არა მგონია, ჯერ ჩემგან გახარებული არავინ მინახავს...

— თუ არ გინახავს, აი, ეხლა შენ თვალ-წინ სდგას. შენი შეხვედრა ჩემთვის სიხარულია. შენამდის კი დაკარგული მეგონა ჩემი თავი...

— დიდი გასახარი არ არის ჩემთან შეხვედრა, რადგანაც ამ ტყეში უგზოუკვალოდ, როგორც გითხარ, დავეხეტები. თუ ამ ტყიდგან გასვლის იმედს ჩემზედ ამყარებ, სიმართლის გამომჟღავნება სჯობია, იმედი ნუ გაქვს...

— ჩემო მახარე, —მოელვარე თვალებით შესძახა ირემამ, მაგას რას მეუბნები?!. კარგად ვხედავ, რომ ამ ტყისა არა იცი რა, თორემ უიარაღო როგორ შემოხვიდოდი. აი, სწორედ ამისთვის მინდა ამ ტყიდან გაგიყვანო უვნებლად თავის დროზე და მეც არა მევნოს რა. ჯერ კი აქ, ამ პანტის ძირას ქოხი გავიკეთოთ, ბინა დავიდოთ და შემდეგ ღვინობისთვის გასულს ქვევით მწყემსებს მივეკედლოთ ბარში.

4

პანტის ქვეშ მართლაც ჩქარა კარგი შესაფერი ქოხი გაიკეთეს და შეუშფოთებლივ სცხოვრობდნენ... მახარემ თავისთვისაც გაიკეთა შვილდ-ისრი და ორივემ ჩქარა ნადირობა დაიწყეს...

აღმოსავლეთით ველები და ბოკერები ხშირი ჰქონდა ამ ტყეს. ამისთვის იყო, რო მწყემსები აქა-იქა იყვნენ გაბნეულნი თავიანთ ბინებით. ირემა კი ჯერ-ჯერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უფრთხოდა ბინებს და ცდილობდა სულ დასავლეთით ევლო, სადაც ტყე უფრო ხშირი იყო. ბინაც აკი იქ დაიდო, სადაც ეგულებოდა, მწყემსები არ მოვიდოდნენ. რაკი საქონლისა და მწყემსების ფეხი აქ არ ჰხვდებოდა, ნადირიც უფრო ჰხვდებოდათ... უმიზეზოთ არ ჰკლავდნენ ნადირს. თუ კი პანტაზე ჩამოკიდებული ეგულებოდათ რომელიმე ნადირის ხორცი, სტკბებოდნენ ტყეში ხეტიალით და შეფეთებულ ირემს სიამოვნებით შეჰსცქეროდნენ. მერე ამინდიც ხელს უწყობდა მშვენიერი თბილი მზე, რომელიც კი არ სწვავდა, სხეულს ულიტინებდა, იმის სხივები შიგ შედიოდნენ და სამოქმედოდ იწვევდნენ. აკი ესენიც მუდამ მოძრაობაში იყვნენ. ერთხელ ბინას ძალიან დაჰშორდნენ. ისე გაიტაცა მოძრაობის სურვილმა ორივე, რომ ვერც კი გაიგეს რა შორს წავიდნენ. როცა შიმშილმი თავისი სიტყვა სთქვა, მაშინვე გამოტრიალდნენ. ბინისკენ წასვლა დააპირეს, რადგანაც ბინაზე მშვენიერი ირმის ხორცი ჰქონდათ. სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრეს მშვენივრად დამკვრახებულ კრიკინას *)...

— კრიკინით ცოტა კუჭი მოვიმაგროთ, თორემ ძალიან მოგვშივა, სანამ ბინამდის მივალთ! — წამოიძახა მახარემ და კრიკინისკენ გაეშურა.

— ძალიან კარგი იქმნება!.. უპასუხა ირემამ და ისაც იქითვე გაეშურა.

ჩქარა ორივემ ხარბათ დაუწყო ჭამა. როცა ოდნავ კუჭი მოიმაგრეს, ბაასიც კი გააბა ირემამ...

— ახ, რა კარგია ეხლა სოფელში!.. გაცხარებული რთველია.

მეფე და ერი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყველა მოძრაობს, სიხარულით მუშაობს და....

... ახლა მეფე — დედოფალს რა ყოფა ექნებათ?!.

— აკი ამბობდი, მეფეს ცოლი აღარა ჰყავსო!..

— ეხლა მეფედ უთუოდ ნადირა იქნება. დიდი მეფე სულ იმას ეხვეწებოდა, ჩქარა იქორწინეო, რო მეფობა გადმოგილოცო და დავისვენოო... რასაკვირველია დიდი მეფეც იღებს მონაწილეობას, მაგრამ ნადირამ მართლა ის ალებიანი შეირთო. ძალიან მხიარულებაში იქმნებიან...

მახარეს ხმა აღარ ამოუღია. წარმოედგინა ეთერი დღისით, ამ მზის ნაზ სხივებში გახვეული, და ტანში ჟრუანტელმა დაურბინა, მერე ტვინში შეუთამაშა და შუბლი შეუნესტიანდა... წამს გაშტერებული იდგა და აღარა ეყურებოდა რა, თუმცა ირემას ლაპარაკი არ შეუწყვეტია.

— წავიდეთ, ძმობილო, ეხლა კი დროა!.. კარგა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა და ბინისკენ გაემართა.

---

*) ზოგ ადგილას ტყის ვენახს „ბაბილოსაც“ ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირემაც იმის ფეხს აჰყვა. მიდიოდნენ ორივენი გაჩუმებულები და ერთმანეთის ფიქრს არ არღვევდნენ.

მახარე ჯერაც ვერ გამორკვეულიყო, თუ რისთვის დაეხეტება ასე ნადირივით. წამს თვალწინ წარბოუდგა იმედის გაცრუება, რამაც ტყეში გამოაგდო, მაგრამ ხომ იცოდა, რომ ეთერი სხვას ეტრფოდა და ენეტარებოდა. რამდენჯერ გაუგონია იმის მუდარა მთვარისადმი, როდესაც ის თავის გულს უგზავნიდა სეფეწულს... ხომ ეს კარგად იცოდა?.. „მაშ... ფიქრობდა მახარე... რითაც მინდოდა დამეტყვევებინა, ვერ გამიმართლდა... მართალია, ეთერი ერთ ღამეს ჩემი მეგონა, მაგრამ, როგორცა ჰჩანს, მხოლოდ თვალთმაქცობა იყო იმის მხრივ... იმას დატყუება სდომებია, რომ თავის საწადლისთვის მიეღწია. და აკი კიდევაც დამტყუვნა...

„რითი მოაჯადოვა ეთერი სეფეწულმა?! ხომ არაკი ენახა?!. სახელმა... ირემა ამბობს: „ცხენოსნობა კარგი იცისო, ნადირობაო“... ნუ თუ, მარტო ამან?!. ქალის გული გამოუცნობია!.. თუ მართლა ნადირობა და ცხენოსნობა მომგებია, უეჭველათ ამ ზამთარს მეჯოგეებთან*) დავრჩები და შევისწავლი ცხენოსნობას... მაგრამ...

— ეი, ძმობილო, საითლა მისდიხარ, ვერ ჰხედავ ჩვენ ბინას?!. უეცრივ მხარზე ხელი წაავლო ირემამ და შეაყენა მახარე, რომელიც გართული ფიქრებით განაგრძობდა წინსვლას...

მახარემ მიიხედ-მოიხედა, ირემას დააშტერდა და წამოიძახა:

— ირემავ, უეჭველად ძალის მოპოვება უნდა, რომ უფლებაც ხელში გქონდეს. უამისოდ ვერას გაჰხდები...

— რეებს ჰბოდავ, ძმობილო?!. გაკვირვებით შეეკითხა ირემა.

— მართლა და რეებს ვბოდავ?!. სიცილით წამოიძახა მახარემ, როდესაც გონს მოვიდა და დაუმატა:

— უთუოდ სიმშილმა გამაბრუა და ბოდვა დამაწყებინა...

— ეხლავე კუჭს მოვიმაგრებთ...

(დასასრული იქნება შემდეგ ნომერში)

*) მეჯოგეებს განსაკუთრებით ცხენების მწყემსებს ეძახიან არაგვის ხეობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ახოგბაძე

სოფლად

პიესა 2 მოქმედებად

ახლო წარსულიდან

მოგმქმედნი პირნი

ზურაბ გობეჩიძე—ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, სოფლად მომუშავე ინტელიგენტი.

თედო თავაძე—ზურაბის მეგობარი

ვარდო ნუკრაძე—მასწავლებელი

ღენტორ ჯაფარიძე—შეძლებული მემამულე

გიგო საყვარელიძე—სტუდენტი

(გლეხკაცობა, ქალები და სოფლის ბიჭები. აგრეთვე საზაფხულოდ სოფლად ჩამოსული მოსწავლე ახალგაზრდობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

(სცენა წარმოადგენს ზემო იმერეთის ერთ-ერთს სოფელს. სცენის სიღრმეში—მთის ფერდობი, რომლის დასწრივაც მდინარე ჩამოდის. გამოდმა—ტრიალი მინდორი, რომელსაც საზღვრავს ბატარა ველე ზედ მოშენებული ბატარა წისქვილით. ბირდაბირ მუხნარი, რომლის ტოტებს შორის ნათლად მოსჩანს სოფლის ეკლესიის გუმბათი. ველის ბირად სოფელელ ბიჭებს გაუჩადებიათ ხმელი წნელისაგან ტეტნლი, რომლის ადიც კარგა მაღლა სწვდება და რომელსაც ბიჭები კარს ეკვლებიან და ერთმანეთს აქეზებენ გადასახტომად. ეკლესიის მახლობლად, მუხრანში, რამოდენიმე გლეხს მოუკალათია და ჩიბუხს ეწევა. სცენის ორთავე მხრიდან ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან გლეხები სიმღერით, დაირისა და „გარმოშკი"-ს დაკვრით. შემოდის აგრეთვე დენტორი, შემდეგ ვარდო, რომელსაც თან ახლავს სოფლად ჩამოსული მოსწავლე ახალგაზდობა. ელიობის დამის თევაა, საერთო მხიარულებაა).

I

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ აბაა, ყმაწვილებო, რაკი დავგროვდით, ბარემ დროს ნუ ვკარგავთ. ფერხული გავაჩაღოთ და ჩვენებურად მოვილხინოთ...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲚᲔᲮᲘ (დიმიდით) აბა, ერთი ეგ შენი ბუზიკა ააწრიპინე, ჩემო ეფროსინე!

ᲒᲚᲔᲮ. ᲥᲐᲚᲘ მეხი კი დავაყარე შენცა და შენს საწრიპინებელს... ენას კბილები დააჭირე და ისე მელაპარაკე...

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲚᲔᲮᲘ ჰო, კარგია ახლა, შე მამა-ცხონებულო! წერეთლიანთ სახლიდან ხომ არ ბრძანდები, რომ ხუმრობა ვერ შემოგბედო... სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი მეზობელი ხარ. (ისევ დიმიდით) აბა, ეფროსინე ჩემო, ააცმაურე ეგ შენი საწრიპინებელი!.. ბიჭო, ივანიკა, ჩქარა გააცურე დაირა.

(ამ დაბარაკის დროს დამაზი წრე კეთდება. ერთგან დაჯეგულებენ კიდევაც. სიმღერის დროს დაიგუგუნებს დაირა და „გარმოშკა". წრიდან გამოხტება უმაწვილი მოდეკურე, კიდევ ჩამოუვლის წრეს. საერთო მხიარულების დროს დენტორი მიუახლოვდება ვარდოს, რომელიც მარტო ზის ხის ძირს, წრეზე კარგა მოშორებით)

ᲓᲔᲜᲢᲝᲠᲘ რას უნდა მივაწერო, ვარდო, შენი ასე განმარტოებით ყოფნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდო არასფერს... ისე რაღაც შეუძლოდ ვგრძნობ თავს, არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ სულმა წამძლია: ამაღამ მგონი ზურაბიც გვეწვევა და, ხომ იცი...

ლენტარ (შემკრთალი) ზურაბი გვეწვევა?!..

ვარდო დიახ! რა იყო, ლენტარ, ასე რატომ შეკრთი ზურაბის ხსენებაზე?

ლენტარ არაფერი, ისე... (ბუზს) ვარდო, ძალიან გაინტერესებს ზურაბის ნახვა და მისი სიტვყის მოსმენა?

ვარდო რატომ მეკითხები?

ლენტარ ამას შემდეგ გეტყვი... ჯერ კი ჩემს კითხვაზე მიპასუხე.

ვარდო უცნაური კითხვაა, მაგრამ, რაკი გსურს, ბატონი ბრძანდები, გიპასუხებ. ზურაბ ერთი იმ რჩეულთაგანია, რომლის შესახებაც ორი აზრის ქონა ყოვლად შეუძლებელია. ის განხორციელებული მოქმედებაა... მისი სიტყვა ყოველთვის საქმეს შეეფერება და საქმე—სიტყვას. ზურა მთელის თავის არსებით იმ ახალს ქართველის ტიპს ეკუთვნის, რომელიც თუ გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მის განთიადმე მაინც შემოსძახებს გულში ნადებს ზრახვებს... ასეთი ადამიანი ყველასათვის საინტერესოა.

ლენტარ ყოჩაღ, ვარდო! რაღაც უხილავ ძალას შენთვის მაღალ ფარდოვან სიტყვების თავისუფლად ხმარებაც უსწავლებია!.. რას უნდა მივაწეროთ ასეთი ცვლილება? იქნებ ზურაბის ზედგავლენას?

ვარდო (წყენით) თუნდაც ასე იყოს, რა არის მერე აქ სამარცხვინო! რაც კარგია ყოველთვის მიმზიდველია... მაისის ვარდი ყოველთვის სანატრელია...

ლენტარ ვარდს ეკალიც თან ახლავს... ფრთხილად, ვინძლო არ გაიკაწრო!

ვარდო ვითომდა რა მერე? ზურაბ და ძმანი მისნი თავიანთ გულის ნადებს ხშირად სიცოცხლესაც კი სწირავენ... მე კი შენის აზრით უბრალო გაკაწვრისაც უნდა მეშინოდეს?!

ლენტარ „სადაც არა სჯობს—გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“, ხომ გაგიგონია უკვდავ რუსთველის ბრძნული სიტყვები... შენ ქალი ხარ და შენი დანიშნულება, მოკლედ მოგიჭრი,—ოჯახია... ზურაბ თუ იბრძვის სათანადოთ კბილებიც აქვს გაალმასებული; შენ კი სუსტი არსება ხარ, საკმარისია ცხოვრების სინამდვილემ ერთხელ შეგახოს თავისი მსახვრალი ხელი, რომ სამუდამოდ გაგიტყდეს გული და მეტ ბარგად იქცე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდო სცდები ღენტორ! კატა სუსტია, მაგრამ თავისი ბასრი ბრჭყლებით ხშირად თავზარს სცემს.

ღენტორ (გაწეწვეტინებს) მხოლოდ თაგვთა ხროვას, ვარდო!.. ვეფხვი რომ გეთქვა, კიდევ მესმის...

ვარდო მაგალითი ყოფილა: პატარა კოღოს ნადირთა მეფე ლომიც კი დაუმარცხებია... მე კი ადამიანი ვარ, ჭკუა მაქვს და გონება...

ღენტორ უხეირო მაგალითია. კოღო მზაკვრულად შეუძვრა ლომს ძილის დროს ცხვირში და ისე დაიმორჩილა იგი. ადამიანს არ შეშვენის კოღო-ბუზობა... მაგრამ თავი დავანებოთ ამას. მე მინდა ისევ ჩემს კითხვას დაუბრუნდე. შენი პასუხი მოვისმინე, ეხლა ჩემი ჯერია და შენს კითხვაზე უნდა გიპასუხო. (ქალს თვალებში ჩააცქერდება. პაუზა. დასტურის კილოთი) შენ გიყვარს ზურა!..

ვარდო (წამოხტება, გაწითლდება, აირევა) ეგ რა სთქვი, ღენტორ!? იქნებ სმენამ მიღალატა... გაიმეორე...

ღენტორ (ისევ ისე მტკიცედ) შენ გიყვარს ზურა!

ვარდო მე, მე მიყვარს ზურა?.. მაშ კარგი, რახან ასეა, შემიძლია დავაკმაყოფილო შენი ცნობის მოყვარეობა: შენ მართალი ხარ, მე მიყვარს ზურა მთელის ჩემის არსებით, მიყვარს ისე, როგორც კი შეიძლება მოწაფეს უყვარდეს გულკეთილი მასწავლებელი... ბევრი რამ, რაც ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო წინად, ეხლა, ზურას მოსვლის შემდეგ, ნათელი და გარკვეული შეიქნა ჩემთვის...

ღენტორ კმარა... გმადლობ გულახდილ პასუხისათვის. (ნადვლიანად) ეხ, ვარდო! ვარდო! რომ იცოდე რა გლოვის ზარად მესობა გულში შენი სიტყვები...

ვარდო (შემკრთალი) რატომ?

ღენტორ რატომ?.. ერთი რამ კიდევ უნდა გკითხო: ნუ თუ არას დროს არ ჩაუფიქრებიხარ... როგორ გითხრა... აი, თუნდაც ჩვენს განწყობილებას?

ვარდო რა განწყობილებას, ღენტორ!? მე ყოველთვის პატივს გცემდი, როგორც ჩვენი სოფლის ღირსეულს ადამიანს, თუმცა შენს შეხედულებას ცხოვრებაზე არას დროს არ ვიზიარებდი სავსებით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც...

ღენტორ (მწარედ) რაც ზურაბი გაჩნდა ჩვენს სოფელში, არა?

ვარდო დიახ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღენტორ ნუ თუ პატივისცემის გრძნობის გარდა, სხვა რამ გრძნობას, სხვა რამ აზრს, უნებლიედ მაინც, არ გაუვლია შენს გულში? არც ერთხელ არ შეგიწუხებია შენი თავი უბრალო კითხვით: რა სწადიან შენგან ღენტორს, რატომ გდევს ლანდივით მარად?..

ვარდო (ერთბაშად მიმხვდარი) ღენტორ, გთხოვთ დაჩუმდე...

ღენტორ რატომ? განა სულ ერთი არ არის შენთვის დღეს მოისმენ ჩემგან აღსარებას, თუ ხვალ?.. ოდესმე ხომ უნდა გითხრა... გასკდა გული, ადამიანო, მეტი აღარ შემიძლიან...

II

თედო (დიდინით მოდის პირდაპირ ვარდო და ღენტორისაკენ. შორიდანვე ქუდს მოიხდის და მდაბალად თავს უკრავს ორივეს) „ღენტორ, ფეოდალ მაღალო, ამ სოფლის მეფეთ-მეფეო, ბოგანო ასოთ ამწყობმა სალამი დაგიყეფეო“!.. გამარჯობა, ხალხო, თქვენი!

ღენტორ ყეფა და ღრენა რომ შენი ხელობაა—არ ახალია, ძველია. საქმიანი რამ რომ გეთქვა, კიდევ მესმის.

თედო (მხიარულად) მე და საქმე მტრები ვართ, ღენტორ!

ვარდო ადამიანო, ძალად რად იმცირებ თავს?

თედო „ვინც დამდაბლდეს – ის ამაღლდეს“—ამბობს მგონი სამღვთო წერილი, რომელიღაც მოციქულის პირით... დღეს ისეთს მხიარულს გუნებაზე ვარ, რომ არაფერი ჭკვიანური არ არსებობს ეხლა ჩემთვის...

ღენტორ ასეთი გუნება მხოლოდ უსაქმობის ნაყოფია!

თედო (ნიშნის მოგებით) შენ ხომ საქმე გაქვს აჩენილი... ჰო, მართლა, ბოდიშს ვიხდი, მგონი ხელი შეგიშალე ჩემის აქ მოსვლით.

ვარდო (მკაცრად) რას ამბობ, თედო?!

თედო არაფერს ისეთს, რომ აღელვებად ღირდეს... ღენტორს ჰკითხე და ის მოგახსენებს პასუხს.

ღენტორ როგორ გავიგო შენი სიტყვები? აშკარად სთქვი რისიც თქმა გინდა. სიტყვას ბანზე ნუ აგდებ...

თედო სიტყვას თუ ბანზე ვაგდებ შენ კიდევ კიბე მიადგი და ჩამოიტანე... რაკი ანდაზა გაგონილი გაქვს, პასუხიც გეცოდინება, ალბად.

ღენტორ როდემდის უნდა ილაყბო ასე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ვიდრე მზე აღმოსავლეთით ამოდის და დასავლეთით ჩადის... ხაქმიანი და ჭკვიანური ლაპარაკი ტფილისში მოიძულდა, ძმავ! სოფელში დასასვენებლად ჩამოვედი...

ვარდო (სიცილით) და შენი დაცინვის საგნად ჩვენა გხვდი, არა?

თედო სულაც არა! მე და ღენტორი ერთმანეთს დიამეტრალურად ვეწინააღმდეგებით და სწორედ ეს არის მიზეზი ჩვენის კინკლაობის. მაგალითად, რაც მე მიყვარს და სიამოვნების ნერწყვსა მგვრის—ღენტორს სძულს და ცუდს გუნებაზე აყენებს... ქვეყანა ჭრელია, ვის რა მოსწონს... ხომ გაგიგონია: კაცია და გუნებაო.

ვარდო მაინც რაში გამოიხატება შენი და ღენტორის სხვა და სხვაობა?

თედო ყველაფერში და... არაფერში.

ვარდო (იცინის) არ მესმის...

თედო ჩვენ ორივენი ამ სოფლის მკვიდრნი ვართ. ღენტორი შეძლებული მემამულეა, მის სახლში, რომ იტყვიან, ღვთის თვალი ტრიალებს და დიდიდამ პატარამდე ყველა კმაყოფილია თავის ბედით—გარეგნულად მაინც... ჩემს გაპარტახებულს სახლში კი ყველას თავ პირი ჩამოსტირის, იქ სიხარული აღკრძალული ხილია... აუტანელი შრომა და ამ შრომის გვირგვინი—ნახევრად გამძღარი კუჭი, აი, ის ძვირფასი სამკაული, რომლითაც ყოველ დღე ვირთვებით. ღენტორის ჯიბეში მუდმივ ჩხრიალებს ბაჯაღლა ოქრო, ანუ, როგორც ხუმრობით უწოდებენ, ქანქარი—ეს უძლიერესი იარაღი ჩვენის კეთილ დღეობის; ჩემსაში კი თვეში ერთხელ თუ აჩხრიალდება და ისიც თვალის მოსატყუებლად მხოლოდ. ჯერ არ მახსოვს, რომ თვიდამ თვემდე აღებულს ჯამაგირს ჩემს ჯიბეში ღამე გაეთენებინოს. ერთს რამეში კი უეჭველად ვგევართ ერთმანეთს: ორივე სიკვდილის შვილები ვართ... მაგრამ, დახე ბედის მუხანათობას, სიკვდილის შემდეგაც კი არ მოიშლება ჩვენი სხვა და სხვაობა. როგორც წესია, რასაკვირველია, ღენტორს საფლავზე ძვირფასს მარმარილოს ძეგლს აუგებენ, ხოლო მე უხეიროდ გათლილს უბრალო ხის ჯვარს წამომისკუპებენ. ამინ და კირიალეისონ!..

ღენტორ მეტად ბლაგვად და უხეიროდ ოხუნჯობ!

თედო ჩემს ოხუნჯობაში საფასურს არავინ გახდევინებს. თუ არ მოგწონს ყურს რად მიგდებ. „Не любо, не слушай!“ ხომ გაიგონია რუსეთში განსწავლულს რუსული ანდაზა.

ღენტორ შენი ფილოსოფია მეტად მდარე ღირსებისაა, ჩემო თედო. შენ მხოლოდ შური გალაპარაკებს ასე ღვარძლიანად ჩემს წინააღმდეგ და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

•რაფერი. კარგათ გიცნობთ ყველას ვინცა ხართ და რაცა ხართ— „ენა-ტარტალა, საქმე—არტალა“. აი თქვენი დანიშნულება. რაც არ-სებობს—არ მოგწონთ, გინდათ ძირ-ბუდიანად ამოაგდოთ ეს ქვეყანა, ხოლო სანაცვლოდ ცალიერს ფრაზებს გვაწვდით მხოლოდ...

თედო თუნდაც ასე იყოს, რა მერე?.. „დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო საქმე“—მგონი ასე, თუ დაახლოვებით ასე, ღაღადებს რომელიღაც მოციქული. დიახ, ჩვენ სიტყვის მსახურნი ვართ, ვინაიდან ღრმადა გვრწამს, რომ ჩვენგან გატყორცნილი სიტყვა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... შენ ვერც კი მიხვდები რა ბედნიერებას განვიცდი მე, როდესაც სტამბაში სხარტულად დაწერილს წერილს ვაწყობ გაზეთისათვის. უსულო ლითონისაგან ჩამოსხმულს ერთმანეთში უაზროდ არეულს ასოებს თავს ვუყრი და ცოცხალს სიტყვას ვქმნი. სიტყვათ გროვისაგან წინადადებას, ხოლო ამ უკანასკნელთაგან ხორც შესხმულს აზრს, რომელიც ხვალ ასში ერთს მაინც ჩასწვდება გულში და სამოქმედოთ აამოძრავებს... ის ერთი შემდეგ ასსა და ათასს მიმდევარს წარმოშობს, ხოლო ეს კი უკვე ისეთი ძალაა, რომლის წინაშედაც ჩვენისთანა კაცუნები უნებურად ქედს მოიხრიან. მე სრულიად კმაყოფილი ვარ მით, რომ ბედმა ასოთ-ამწყობობა მარგუნა წილად და, ასე თუ ისე, მონაწილედ გამხადა იმ დიად ტაძრის აგებაში, რომელსაც შრომის საფუძველზე დამკვიდრებული მომავალი თავისუფალი ცხოვრება ჰქვიან... ჩემს მდგომარეობას მე არ გავცვლი არას დროს შენს მეშჩანურს, კმაყოფილებით სავსე ცხოვრებაზე... მაგრამ ჩვენ არც საქმეს გაურბივართ: ზურაბ გობეჩიძე—აი, ჩვენი საქმიანობის ერთი ნიმუშთაგანი...

ვარდო ვაშა, ვაშა, თედო! სრულს ჭეშმარიტებას ამბობ! იწვნიე თუ არა, ღენტორ?!

ღენტორ ყოველს ნაცარქექიას თავისი თავი დევათ ჰყავს წარმოდგენილი. შენც ასე გემართება, თედო. პრტყელ-პარტყელ სიტყვებს ისვრი და გგონია შენის პირით თვით შეუმცდარი რომის პაპი ღაღადებდეს. მაგრამ მარტო ფრაზებით ფონს ვერ გახვალ, მეტად ღრმაა და შეიძლება დაიხრჩო კიდეც. ვიდრე პეტრე მოვიდოდა პავლეს ტყავი გააძვრესო, —თქვენც ასე გემართებათ: ვიდრე თქვენი სიტყვა ხალხს ჩასწვდება და სამოქმედოთ აამოძრავებს, მანამ თვით ჩვენი ხალხი, უკვე გადაგვარების გზაზე შემდგარი, შეიძლება გადაშენდეს კიდეც... საჭიროა საქმე, ცოცხალი საქმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო (გაწყვეტინებს) და ამ ცოცხალ საქმის ცხოვრებაში გამტარებლად შენ და შენისთანები, მაშინ აშენდება საქართველო, არა?! მე კარგათ ვიცი თქვენი საქმიანობის ნამდვილი ფასი და ღირებულება! დილიდან საღამომდე ცხონებულ ლუარსაბივით ერთი გვერდიდან მეორეზე გადაგორება და პირადი ბედნიერების ძიება—აი, თქვენი საქმე და საქმიანობა. ხუთი წელიწადია, რაც რუსეთიდან დაბრუნდი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში შენს სოფელში შენ იმდენიც არ გაგიკეთებია, რამდენიც ზურამ ერთის თვის განმავლობაში გააკეთა. შენ ვერც კი ამჩნევ თუ როგორ ჩამოქვეითდი და ყელამდე ჩაეფლე იმ მყრალ მორევში, რომელსაც ყოველ დღიური ვიწრო ინტერესებით ცხოვრება ჰქვიან. შენი და შენისთანების იდეალი დღეს მხოლოდ ერთს რამეში გამოიხატება—პირად სურვილების დაკმაყოფილებაში. ამ სურვილებს თქვენ მზად ხართ წარბშეუხრელად შესწიროთ მსხვერპლად ყოველივე ის, რითაც ოდესღაც სამართლიანად მოგქონდათ თავი და ამაყობდით კიდეც...

ლენტოარ (სიშინლად ადგილებული) შენ სცრუობ, თედო! ეს ყოვლად შეუწყნარებელი ცილის წამებაა... შენ უკვე პირად ნიადაგზე გადაგაქვს კამათი, ეს კი იმის მომასწავებელია, რომ საფანელი შემოგაკლდა...

თედო ბოდიშს ვიხდი! უკანასკნელი სიტყვები პირადათ შენს შესახებ არ უნდა მეთქვა, თუმცა ჩემი აზრის ცხადსაყოფად, როგორც შესაძლებელ ფაქტზე, შემეძლო მიმეთითებინა. ერთს რამეს კი მაინც გეტყვი: ჯერ პირადი ბედნიერება, მერე საზოგადოებისადმი სამსახური—აი თქვენი ლოზუნგი!..

ლენტოარ (გესლიანად) თქვენი კი?

თედო ჩვენი?.. შეაბრუნე ეგ დებულება და ჩვენს ლოზუნგსაც მიიღებ!..

III

(შორიდან ზურა გამოჩნდება, რომელსაც სოფლის ბიჭები ყივილ-ხივილით ხვდებიან. გლეხობაც სიამოვნებით აძლევს სალამს).

ვარდო აჰა, მგონი ზურაბიც მოდის! („ვინც მოვიდა-გაუმარჯოს“ ისმის ხალხში. ამ არა ჩვეულებრივის შეხვედრით ზურა შესამჩნევად აღელდება და ცოტათი შეკრთება).

ზურაბ (ხალხს) გამარჯობა! გამარჯობა თქვენი! (დაინახავს ვარდოს და დანარჩენთ) აა, თქვენც აქა ხართ! სალამი ბატონებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდო სალამი ბატონო ზურაბ!

თედო სალამი კი არა ზურნა არ ნებავს! სად დაიკარგე ამოდენა ხანი? ცოტას გასწყდა მე და ღენტორი კინაღამ შევებით ერთმანეთს...

ზურაბ (დიმილით) დარწმუნებული ვარ თქვენი ბრძოლის საგანი ისევ ძველი თემა იქნებოდა—რა უფრო ადრე გაჩნდა: ქათამი თუ კვერცხი.

ვარდო არა, დღეს ძველს ჩვეულებას უღალატეს და საზოგადო საქმეზე ჰკამათობდნენ.

თედო მოგეცა ლხენა, სულ ბდღვირი ავადინე ჩვენს ღენტორს...

ღენტორი ზოგი რამ შენს თავსაც ჰკითხე!

ვარდო რაზედ ილაპარაკებთ ამალამ, ზურაბ?

ზურაბ ჩემი საუბრის თემა ჩვეულებრივად უცვლელია—თავისუფლება და ტერიტორიის დაცვა. ამ რყევისა და ნგრევის ხანაში ისე არაფერი მაინტერესებს, როგორც ეს საკითხი.

პირ. გლეხი (მიუახლოვდება ზურაბს) აი, ზურაბ, შენთვის საგანგებოდ ეს ადგილი ამოვირჩიეთ. ამ მაღლობიდან უფრო მარჯვედ შეიძლებ ლაპარაკს და ხალხსაც გაუადვილდება შენი მოსმენა!

ზურაბ კარგი, ძალიან კარგი ადგილი აგირჩევიათ. აბა, ჩემო პავლე, გადასძახე ხალხს თავი მოიყარონ. დროა დავიწყოთ...

პირ. გლეხი (ხმა მაღლა) მოდით, აქეთ მოდით, ხალხო!.. (ხალხი თან და თან გროვდება და ირგვლივ ეხვევა მაღლობზე შემდგარ ზურაბს).

ზურაბ (კმაყოფილებით გარდახედავს მოზღვავებულს ხალხს და ნელის, მკაფიო ხმით იწყებს ლაპარაკს). 116 წლის წინად ჩვენ ვიყავით თავისუფალი ხალხი, გვქონდა საკუთარი სახელმწიფო და ჩვენი ქვეყნის სრულ უფლებიან გამგე-პატრონად ჩვენვე ვითვლებოდით. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში მეტად გაჭირდა ჩვენი ქვეყნის საქმე: აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებდნენ სპარსნი და ლეკნი, ხოლო დასავლეთს—ოსმალეთი. ამას კიდევ ზედ ერთოდა ჩვენსავე მმართველ წრეებში გამეფებული პირად ინტერესებზე აგებული ქიშპი და უთანხმოება. ასეთს პირობებში მყოფს ქართველობას ან ხელი უნდა აეღო დამოუკიდებლად არსებობაზე და სპარსეთ—ოსმალეთის მონა-მოხარკეთ გამხდარიყო და ან ხელი უნდა გაეწვდინა ერთმორწმუნე რუსეთისათვის, რომელიც ამ დროს უდიდეს სახელმწიფოდ ითვლებოდა ევროპაში და ყველაზედ უფრო ახლო მოსაზღვრე იყო ჩვენი. საამისოდ ნიადაგი უკვე შემზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული იყო, რადგან ჯერ კიდევ შორეულს წარსულში არსებობდა. საქართველოსა და რუსეთს შორის ერთგვარი პოლიტიკური ხასიათის მიწერ-მოწერა და ოფიციალი დამოკიდებულება. რუსეთს ჩვენ შევეკარით განსაზღვრულის ტრაკტატით, ანუ პირობით, რომლის ძალითაც ჩვენ ი'ევ სუვერენულ ე. ი. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვრჩებოდით, მხოლოდ ზოგიერთს საკითხებში, როგორიც არის, მაგალითად ომისა და ზავის საკითხი, რესეთთან შეთანხმებით უნდა გვემოქმედნა. თავის მხრივ რუსეთიც, სხვა მრავალ სიკეთის გარდა, პირობას გვიდებდა, რომ დაგვიცავდა ჩვენ და ჩვენს სახელმწიფოებრივ საზღვრებს გარეშე მტრისაგან, რისთვისაც ჰკისრულობდა მუდმივად ჰყოლოდა ჩვენში საკმაო სამხედრო ძალა... როგორც ხედავთ, პირობა ჩინებულად იყო დაწერილი, საჭირო იყო მხოლოდ მისი პირნათლად შესრულება, განაღდება... მაგრამ მოვსტყუვდით—ერთმორწმუნე რუსეთი ბევრად უფრო ვერაგი, უპირო და ულმობელი აღმოჩნდა, ვიდრე ის მტრები, რომელნიც ათასი წლობით გარს გვეხვივნენ ჩვენ და მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ამ ხელშეკრულობით რუსეთმა ჩინებულად ისარგებლა: ჩვენის შემწეობით მან თითქმის უსისხლოდ გაიკაფა გზა აზიისაკენ, რომლის შესახებაც ის ოცნებობდა ორი საუკუნის განმავლობაში... ამ ამბით თავზარ დაცემული მაჰმადიანობა ჩვენზე ილესავდა კბილებს, რადგან ჩვენ ვიყავით მიზეზი რუსეთის მოწვევისა და მათ მახლობლად მათი დაუძინებელი მტერის— რუსეთის—დამკვიდრებისა. ოღონდ უარჰყავით რუსეთთან კავშირი—გვეუბნებოდნენ ჩვენ სპარსნი და ოსმალნი—და პირობას გაძლევთ ამიერიდან ხელს ავიღებთ ყოველგვარს შუღლზე თქვენდამი, პირიქით, დაგიბრუნებთ წართმეულს მიწა-წყალს და ზარალს ერთი-ათად გინაზღაურებთო... მაგრამ რაინდობას შეჩვეულ ქართველობისათვის არც ისე ადვილი იყო ღალატის ჩადენა და ერთხელ მიცემულ სიტყვის გატეხა. და, აკი, ამ რაინდულს გრძნობას მსხვერპლად შეეწირა ჩვენი დამოუკიდებლობაც!.. აღა-მაჰმად-ხანისა და ოსმალთ ურდოებისაგან აოხრებული საქართველო იმ დაჭრილს არწივს ჰგავდა, რომელსაც ფრთის გაქნევაც კი არ შეეძლო, რომ გათამამებულ ყვავ-ყორანთა გუნდი მოეგერებინა როგორმე. და ასეთს მდგომარეობაში მყოფს საქართველოს არ იკითხავთ, ძმებო, თუ რა ჭირისუფლებას უწევდა მის მცველად ახლად მოვლენილი მოკავშირე რუსეთი? არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, რომ ჩვენსა და მეზობელ სახელმწიფოს შორის შუღლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოეგდო, რასაც ხშირად ომიც კი მოჰყვებოდა ხოლმე და ბოგორც კი ჩაგვითრევდი ჩვენი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ ატეხილს ომში, თვითონ მზაკვრულად განზე გაგვიდგებოდა და ზორიდან აუშფოთველად უყურებდა საშინელს სურათს საქართველოს აოხრებისას... და როდესაც დარწმუნდა, რომ საქართველო საკმაოდ იყო აოხრებული, ყოვლად უდიერად ერთის კალმის გაკვრით მოსპო ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და რუსეთის უბრალო გუბერნიათ გვაქცია!.. თავისუფლების ნაცვლად მონობა გვარგუნა წილად, დაივიწყა საქვეყნოდ დადებული აღთქმა და ფიცი და 116 წლის განმავლობაში მხოლოდ ძალმომრეობაზე აგებულს პოლიტიკას აწარმოებდა ჩვენში... დაუსრულებელ ომებისაგან ილაჯ გაწყვეტილი ქართველობა თანდათან ჰკარგავდა თავის ეროვნულს სახეს, ეროვნულს თვით შეგნებას და, ვინ იცის, სანამდის მივიდოდა საქმე, რომ ეს უმაგალითო ომი არ ატეხილიყო... ვისაც ცოტათ მაინც შესწევს წინად განჭვრეტის გრძნობა, მისთვის ცხადია, რომ თანამედროვე ომი არ ამოიწურება მხოლოდ და მარტო ერთა შეიარაღებულ შეტაკებით. პირიქით, როგორც წარსულ ომებს, ამ ომსაც მოჰყვება თან ღრმა სოციალ-პოლიტიკური ცვლილება, რომელიც შეიძლება დაგვირგვინდეს რევოლიუციით და თანამედროვე საზოგადოებრივ წესწყობილების დანგრევით... რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, ამხანაგებო, და რევოლიუცია იქ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში. ამიტომაც ჩვენ გვმართებს ფხიზლად ვიყოთ, ბეჯითად ვადევნოთ თვალყური რუსეთის დღევანდელს პოლიტიკურს მდგომარეობას და ანგარიში გაუწიოთ ჩვენს მდგომარეობაში მყოფ მცირე ერთა საზოგადოებრივ აზრს. დღეს პოლონეთი თითქმის განთავისუფლდა რუსეთის მონობისაგან, ფინლიანდია საქვეყნოდ აცხადებს თავის დამოუკიდებლობას, ყოველივე ეს არაფრად ეჭაშნიკება კაცი-ჭამია რუსეთს, მაგრამ ჩვენ ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს. პირიქით, ეროვნული თავისუფლების გაჭედვაში პოლონეთს ჩვენ მხარი უნდა დიუჭიროთ და ხმა მაღლა, საქვეყნოდ მოვსთხოვოთ რუსეთს 116 წლის წინად გაცემულ თამასუქის განაღდება და ჩვენი უფლების აღდგენა... ხალხო, ხომ გაიგეთ რასაც გეუბნებით?..

ხალხი გავიგეთ, გავიგეთ, შენი ჭრიმე!..

ზურაბ ჰო—და, თუ გაიგეთ მაშ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ისეთს არასფერს მოვითხოვთ, რაც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, სამართლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას. ბევრს ჩემი აზრები სისულელედ მოეჩვენება, რადგან ვერ
რმოუდგენიათ ურუსეთოდ ჩვენი არსებობა, ბევრნი შავრაზმელობასაც
გვიკიჟინებენ, მაგრამ, ამხანაგებო, ყური არ ათხოვოთ ასეთს უსაფუძ-
ვლო ბრალდებას. და, აი რატომ: ჩვენ სოციალისტები ვართ და ვამ-
ბობთ: სოციალიზმი მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს და
გატარდეს ცხოვრებაში, როდესაც მოისპობა დიდი ერის მიერ მცირე
ერთა ეროვნული ჩაგვრა. ეროვნულად თავისუფალ ხალხს უფრო ად-
ვილად შეუძლიან აწარმოვოს ბრძოლა სოციალიზმის დამკვიდრებისა-
თვის, ვიდრე იმ ერს, რომელიც მონობას განიცდის, რადგან ამ უკა-
ნასკნელის ენერგია უნებურად იხარჯება ეროვნულ ბრძოლის საწარ-
მოებლად. და ვინც გულწრფელად ეტრფის სოციალიზმს, მას არ შეუ-
ძლიან მხარი არ დაუჭიროს ერთა განთავისუფლების პრინციპს. ჩვენ,
ქართველები, ამ გზას უნდა დავადგეთ... თუ ჩვენ გვსურს სხვა გა-
ნათლებულ ერთა შორის ცოცხალ ერად ვიხსენებოდეთ, თუ ჩვენ
გვწადიან შევქნათ საკუთარი კულტურული ღირებულებანი, თუ ჩვენ
მართლაც გვინდა ძმობა-ერთობის, სოციალიზმის დამყარება, მაშინ,
ცხადია, ჯერ უნდა განვთავისუფლდეთ რუსეთის მონობისაგან და შემ-
დეგ შეუდგეთ იმ დიად ტაძრის აგებას, რომელსაც სოციალიზმი
ჰქვიან... გაიგეთ თუ არა, ხალხო, რასაც გეუბნებით?

ხალხი გავიგეთ, გავიგეთ შენი ჭირიმე!..

ზურაბ ჰო, და, თუ გაიგეთ მაშ ისიც უნდა იცოდეთ, რომ არც ერთს ერს
უსისხლოდ არ მოუპოვებია თავისუფლება. ეს სისხლი არც ჩვენ აგვ-
ცდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს... თუ რუსეთის იმპერია-
ლიზმისათვის ჩვენ ასი ათასზე მეტი მსხვერპლი გავიღეთ, ნუ თუ სა-
კუთარ თავისუფლებისათვის ვერ შევძლებთ მსხვერპლის გაღებას!?
ხალხო! რას იტყვით ამის შესახებ?..

ხალხი კი შენი ჭირიმე, თუ საჭირო იქნება ყველა ვიბრძოლებთ და მხარში
ამოგიდგებით!..

ზურაბ თქვენი პასუხი, ხალხო, ერთხელ კიდევ ამართლებს სახელოვან მგოს-
ნის სიტყვებს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვი-
ძებს“-ო. აი, ამ გაღვიძების, გამოფხიზლების ჟამი დადგა უკვე და მიუ-
ხედავად იმისა, რომ არ ვიცით, თუ რას გვიმზადებს იგი, ჩვენ მაინც
ვსთქვათ: „გაუმარჯოს ჩვენს ეროვნულს თავისუფლებას, გაუმარჯოს
თავისუფალ ერთა მეგობრულს კავშირს, გაუმარჯოს საქართველოს!..

ხალხი გაუმარჯოს საქართველოს! საქართველოს გაუმარჯოს!.. (საერთო ხანგრძლივი ტაშის ცემა. საერთო ითრთოვნებაა. მთელი ამ მოხოლოგის დროს ვარდო მოშორებით სდგას, მაგრამ ზურაბის სიტყვები არა ჩვეულებრივად აღელვებენ მას და ეს მღელვარება სახეზე ნათლად აღებეჭდება. ეს გარემოება არ გაშოეპარება დენტორს, რომელიც ვარდოს სახის მოძრაობას თვალს ადევნებს. ზურაბი სტოვებს მოშაღლებულს ადგილს და ავანსცენისაკენ მიდის. ვარდო წინ შემოეგებება და გზას გადაუკრის. ხალხი თან და თან იშლება და სცენა ცალიერდება).

ვარდო ულრმესად გმადლობთ, ზურაბ, არა ჩვეულებრივ წუთების განცდისათვის. დღეს თქვენ შეუდარებელი იყავით.

ზურაბ მადლობა მე... არ ვიცი რისთვის?

ვარდო იმისთვის, რომ თქვენ თქვენის ცეცხლეულის სიტყვით შეგიძლიათ ჩასწვდეთ ადამიანს გულის სიღრმეში და ცხოველ მყოფელ სხივად ეუფლოთ მას... ეს რჩეულთ ხვედრია და მიხარიან, რომ ერთი ამ რჩეულთაგანი თქვენა ხართ...

ზურაბ (მიუახლოვდება ვარდოს და თვალებში ჩაცქერდება, ვარდოს ითრთოვნება უნებურად ზურაბსაც გადაეცემა). როგორ გიკრთის, ვარდო, თვალები! რა მძლავრი ცეცხლი სჩანს მათს გამომეტყველებაში...

ვარდო ეს ცეცხლი თქვენ დაანთეთ, ზურაბ... თქვენ გაჰკარით ტალკვესი ჩემს მიძინებულს გრძნობას და მეტყველ სიმად აქციეთ იგი...

ზურაბ თქვენ აჭარბებთ, ვარდო, ჩემი სიტყვის მნიშვნელობას! ოხ, რა ბედნიერად ჩავსთვლიდი თავს, რომ ჩემს მსმენელთაგან ასში ერთს მაინც გაუღვიძებდე რწმენას ჩემ მიერ გამოთქმულ აზრებისადმი... თქვენ სასურველი გამონაკლისი ხართ მხოლოდ...

ვარდო მე ვამბობ იმას, რასაც განვიცდი... სხვებთან მე საქმე არა მაქვს... მე ვიცი, რომ ჩემი ნების ყოფა თქვენის ზედგავლენით ამოძრავდა. მადლობის ნიშნად მიიღეთ ჩემგან ეს მცირე ნობათი. (ქისას გაუწვდის) ჩემის ხელით ამოვქარგე ზედ ორი სურათი.

ზურაბ (გახარებული და თან გაკვირვებული) არ ვიცი რას უნდა მივაწერო ასთი ყურადღება... ვარდო, თქვენ არა ჩვეულებრივი ადამიანი ხართ. (ქისას დააკვირდება) რა საუცხოოდ არის მოქარგული წმინდა გიორგის სურათი...

ვარდო ეს ხომ ჩვენი, ქართველების, სიმბოლოა. მინდა ასე გამარჯვებული თქვენც ჰყოფილიყოთ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ (ქისას შეაბრუნებს) ქალის სახე... თმა გაშლილი, დაღონებული, ხევდით სავსე სახე... რას ნიშნავს, ვარდო, ეს?

ვარდო სევდის სამოსელში გახვეულს ჩვენს ქვეყანას, როგორც ამას თქვენ ერთს ლექსში ამბობთ...

ზურაბ ვარდო, თქვენ თითქოს გინდათ გამაკვირვოთ თქვენის სულის მშვენიერებით... რა უცხო რამა ხართ, ვარდო... მე არ ვარ ჩვეული ბედნიერ წუთების განცდას, ეხლა კი უმაღლეს ბედნიერებას განვიცდი... (წინ წაიწევს და ოჯიეე ხელებს დაუჭერს) ულრმესად გმადლობთ, ვარდო! (ვარდოს ხელები აუთრთოლდება. ზურაბი ინსტიკტიურად მიხვდება ნამდვილს მიზეზს ქალის აღელვებისას და ერთბაშად გაუშვებს ხელს. სახეზე გაკვირვების ნიშანი აღებეჭდება, რომელსაც მსწრაფად შესცვლის მწარე დიმილი. თავისთვის). მე და სიყვარული? არა, ეს შეუძლებელია!.. (გადახედავს ვარდოს, რომელიც ისევ სდგას ხელებ გაშვერილი, თითქოს მოელის მისგან სასურველს პასუხსაო. საბოლოოდ დარწმუნებული თავის დასკვნაში დაიხევა უკან) ნუ თუ?.. (ისევ მიუახლოვდება ქალს და მტკიცედ) მშვიდობით, ვარდო!.. (ნელა შებრუნდება და გავა).

ლენტორ (მთელს ამ სცენას თვალს აღევნებს სცენის სიღრმიდან. ზურაბის გასვლისთანავე წამოვა და ვარდოს წინ დადგება) ვარდო! ვარდო! გონს მოდი რა გემართება!..

ვარდო (ჯერ კიდევ გონს ვერ მოსული) ზურაბ! ზურაბ!...

ლენტორ დამშვიდდი, ვარდო, ზურაბი წავიდა უკვე!

ვარდო (ისევ ისე) მშვიდობით, ვარდო!.. მშვიდობით და არა ნახვამდის... რა საშინელი რამ არის სიცოცხლე... ბედნიერება გწყეროდეს და...

ლენტორ ვერ მისწვდე, არა ვარდო!? შეიძლება ბედნიერების აჩრდილი მარად თან სდევდეს ადამიანს და ვერ შენიშნოს...

ვარდო (გონს მოსული) აა, ეს შენა ხარ, ლენტორ!

ლენტორ მე ვარ, ჩემო ყველავ, შენი აჩრდილი...

ვარდო (ტრემლ-ნარევ დიმილით) რომელიც შეიძლება მარად თან გდევდეს, მაგრამ კი ვერ შენიშნო... (ხელს გაუწვდის ლენტორს) რომ იცოდე რა საშინელს ტანჯვას განვიცდი ეხლა. . აქ (გულზე უჩვენებს) თითქოს მომწყდა რაღაცა...

ლენტორ დამშვიდდი, ვარდო!.. აკი შენ თვითონ ამბობდი. „ცხოვრება ბრძოლაა“-ო და პირველმა მარცხმა არ უნდა შეგაშინოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდო (თან და თან ტირილი აუვარდება და ლენტორს გულზე მიეყრდნობა) ლენტორ! ლენტორ! მე... მე... მი... (სიტყვებს ვერ ამოდოვებს).

ლენტორ შენ გიყვარს და შენ არ უყვარხარ, არა? არა, ვარდო, გეფიცები ღმერთს, რომ შენზედაც არიან შეყვარებულნი... მხოლოდ შენსავით სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან... იმედს არ ჰკარგავენ!

ვარდო იმედს ლენტორ?

ლენტორ დიახ, იმედს, ვარდო!.. (კულისებში ისმის მიმავალ გლესების სიმღერა. ფარდა ნელა ეშვება).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

(იგივე სტენა. აგვისტოს უკანასკნელი რიცხვებია. ჩამავალი მზის სხივები ჯერ კიდევ ალერსება მთის მწვერვალებს. ერთგან მუხის ძირას დაგებულია პატარა ხალიჩა, რომელსაც გარს უსხედან ვარდო, ლენტორ, თედო, გიგო და რამოდენიმე მოსწავლე ახალგაზდობა. ფარდის ახდის დროს გიგო გიტარაზე უკრავს და მღერის. შექეიფიანებულია. დანარჩენნი დვინოსა და ხილეულობას შეექცევიან. სტენის სიდრმეში ბურთობაა. მობურთავენი ხან გამოჩნდებიან, ხან მიეფარებიან კულისებში. ხშირად ისმის ბურთობის დროს ჩვეულებრივი ყიჟინა და სტვენა).

გიგო (გაათავებს სიმღერას) თქვენი არ ვიცი, ყმაწვილებო, და მე კი, ყოველთვის როდესაც აგვისტოს უკანასკნელი რიცხვები დგება და ჩემი რუსეთისაკენ გამგზავრების დრო ახლოვდება, გული რაღაც არა ჩვეულებრივად მეთანაღრება. ვერ ვურიგდები (ხელს გაიშვერს) ამ მომჯადოებელ ბუნების მიტოვებას... მაინც რა კეკლუცი, რა ლამაზი რამ არის ჩვენი ქვეყანა...

თედო „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი პურადი, გულადი“ არა?! ეხ, გულადობისა და პურადობის რა მოგახსენო: დღეს რომ ცოცხალი იყოს ჩვენი მგოსანი ამას, ალბად, არც იტყოდა, რადგან პური ჩვენი არსებისა კარგა ხანია, რაც გამოგველია, ხოლო რაც შეეხება ჩვენს გულადობას, მოგეცა ლხენა სხვის სასარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ჩვენ მისი გამოჩენა ვიცოდეთ! ერთს რამეში კი მართალი ხარ, გიგო! მეტად მიმზიდველი, ლამაზია ჩვენი ქვეყანა და სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ ბოლო ხანებში ასე მომრავლდნენ ჩვენი პატარძლის ხელის მაძიებელნი...

ვარდო (მოუთმენლად) თედო, თედო! ნება მომეცი დავამთავრო შენი სიტყვა. მე მინდა დავასკვნა შენი აზრი.

თედო რაღა ნებართვა გინდა, აიღე და დაამთავრე.

ვარდო ყმაწვილებო! მე მინდა გითხრათ, რომ ამ ჟამად ჩვენი პატარძლის გულის მოგება არც ისე ადვილია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. წარსულში გულუბრყვილოს, შემცდარსა და მოტყუებულს დღეს გონების თვალი სულ სხვანაირად უჭრის და ფხიზელი ჭკუა ბეჯითად ხელმძღვანელობს მის სურვილებსა და ნების ყოფას... ხანგრძლივს მონობას ჯერაც ვერ ჩაუკლავს მის გულში ტრფობის ალი თავისუფლებისადმი: ის მოუთმენლად ელის მხოლოდ იმ სანატრელს წამს, როდესაც ველად გაჭრილი გმირი ტარიელი კვლავ მონახავს მას და გამოიხსნის ქაჯთა ტყვეობიდან... რა საუცხოვო, ზღაპრული სანახავი იქნება მაშინ იგი... ნეტავი მას, ვინც თავისუფლების გვირგვინით შემკულს იხილავს ჩვენს პატარძალს... ყმაწვილებო! გაუმარჯოს ჩვენს პატარძალს და მისთვის ხელს, მისთვის ველად გაჭრილს ტარიელს...

ყველანი გაუმარჯოს ნესტანს, გაუმარჯოს ტარიელს! შენც გაგიმარჯოს ჩვენო ვარდო!

ღენტორ (აქამდე გაუჩებული) ლამაზად შეწყობილი ზღაპარია, მაგრამ სინამდვილესთან კი არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთი იდილიურ სამოსელში გახვეული აზრი მხოლოდ მცონარე ქართველს ინტელიგენტს თუ დაებადება!.. რით ვერ გაიგეთ, რომ ძველი ზღაპრული ტარიელი სასტიკად დამარცხდა და დიდი ხანია, რაც ფარ-ხმალი დაჰყარა...

თედო ბარემ ისიც დაუმატე, რომ არარაობად იქცა... რა ვქნა, ღენტორ, არ მინდა გაწყენინო, მაგრამ შენ ისე ღვარძლიანად ლაპარაკობ ამ დიდ საკითხის შესახებ, რომ არ შემიძლიან პასუხი არ გაგცე... ადამიანი სრულიად მოწყვეტილი უნდა იყოს თანამედროვე ცხოვრებას, არ უნდა იცნობდეს საკუთარი ერის მაჯის ცემას, რომ შენსავით ზერელეთ ბჭობდეს და ჰკამათობდეს. ორში ერთი: ან ძალად იბრმავებ თვალებს და არ გინდა დაინახო რაც სინამდვილეში ხდება და ან გეშინიან ამ სინამდვილის, შენ შენს ურწმუნობაში იქამდის მიდიხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არაფრით არ განირჩევი იმ ქართველ გადაგვარებულ იეზუიტ-
გენტისაგან, რომელსაც მცნება ქართველი და საქართველო იმდენად
აინტერესებს, რამდენადაც მე შარშანდელი თოვლის მოსვლა.

ლენტოარ სრულიადაც არა... მე ჩემი შეხედულება მაქვს ქართველ ერის ცხოვ-
რებაზე და კარგა ხანია საკუთარი აზრი შევიმუშავე მის შესახებ... მე
მხოლოდ არ მრწამს თქვენი იდეალის განხორციელება, თქვენი საქმია-
ნობა და იჭვის თვალით ვუყურებ ყოველივე იმას, რასაც თქვენ მზა-
და ხართ თავი შესწიროთ... ჩემი რა ბრალია, რომ ისტორიის გაკვე-
თილები თქვენთვის არ არსებობენ...

თედო მაგალითად.

ლენტოარ შორს წასვლა არ დამჭირდება, ახლო წარსულზე მიგითითებ: მოიგო-
ნეთ 1906 წელი. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად დამარცხდით, ჭკუა
მაინც ვერ ისწავლეთ და ვერც ეხლა, ამ საშინელ ქარტეხილის დროს
ისწავლით მგონი...

თედო ყოჩაღ, ლენტოარ! საბუთიც ასეთი უნდა! მაგრამ თუ შენი ნაქები და-
კვირვება ამაზე უფრო შორს ვერ მიდის—ვერ მოგილოცავ! დავმარ-
ცხდით ჩვენ კი არა, დამარცხდა ტაკტიკა მხოლოდ... მაგრამ ნუ და-
გავიწყდება, რომ 1906 წელი—ბრძოლის ერთი ეპიზოდია მხოლოდ.
მოძრაობის მაცოცხლებელი მთავარი აზრი, იდეა—ისევ ხელშეუხებე-
ლი, ცოცხალი დარჩა და იცოცხლებს უკუნისამდე. შენი სულთათანა
ნაადრევია... შენ კარზე მომდგარს ახალ ცხოვრების გან-თიადსაც ვერ
ამჩნევ, მაშინ როდესაც სხვები ამ განთიადზე საზეიმო ფერხულს აწ-
ყობენ უკვე და მზის ამოსვლას მოელიან მხოლოდ... ჩვენ გვწამს გა-
ნახლება და განვახლდებით კიდეც...

ყველანი ვაშა! ვაშა! შენი სადღეგრძელო იყოს, თედო!

ბიბო რა უცნაური ხალხი ვართ ქართველები. საკმარისია ორმა ქართველმა
ერთათ მოიყაროს თავი, რომ პარტიაზე და მიმართულებაზე დაიწყონ
ლაპარაკი... თითქოს პარტიის გარდა სხვა არაფერი იყოს ამ ქვეყნად!
წადით, დაიკარგეთ იქით! ჯანდაბას თქვენი თავი და თქვენი პარტი-
ებიც!..

ვარდო რა იყო, გიგო, რას შემოგვწყერი?

ბიბო იმას ჩემო გაზაფხულის ყვავილო, რომ მაგითი ლაყბობის გამო თავი
ამტკივდა... დღევანდელი ჩვენი შეყრილობას მიზანი მხიარულად დროს
გატარება იყო, მგონი, და არა განყენებულ საგნებზე საუბარი. რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთშიაც მეყოფა მაგაზე თავის მტვრევა, ეხლა კი სიმღერა და—მხიარულება ყმაწვილებო! Къ дьяволу всѣ ваши споры! გაუმარჯოს ყოვლად მოწყალე ბახუს და მის ერთგულს მხევალს გიგოს!..

ყველანი იცოცხლე, იცოცხლე გიგო!

გიგო ღენტორ! თედოს სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ... წელან შენ კი არ გედავებოდა—პატარა რეპეტიციას აკეთებდა. აი, ტფილისში ჩავა და იქ დასჭირდება... მაგ ლაყბობას ისე ვერ მოიშლის, როგორც მე წითელ ნუნუას ტრფობას.

თედო (მხიარულად გიგოს) ძალიან გაწუხებენ?

გიგო შემაწუხებენ—გავაფრენ! მე შენ გეტყვი და გული არ დამწყდეს... ერთს რამეში მართალი ხარ, ღენტორ. გადავგვარდით. სად, როდის გინახავს, რომ ქართველი სუფრას მოჯდომოდეს და მრავალ-ჟამიერი არ ეთქვას. ჩვენ მრავალ-ჟამიერს ცხრა მთას იქით ციმბირშიაც კი მღერიან „მალ-ჟრალი"-ო და ჩვენ კი დღევანდელი ჩვენი ქეიფი ისე დავამთავრეთ, რომ ერთხელაც არ გვიმღერია... აბა, მაგარი ბანი! (მღერის მრავალ-ჟამიერს, სხვებიც ეხმარებიან. ამ დროს კულისებიდან ზურაბიც გამოჩნდება და მათკენ გამოსწევს. მისი მოსვლა საერთო სიხარულს იწვევს).

ზურაბ კამპანიას გაუმარჯოს!

ყველანი შენც გაგიმარჯოს, ზურაბ!

გიგო აბა, ზურაბ, შემოგვიერთდი! გვიამბე როგორ გაჩნდი?

ზურაბ ბათომისაკენ მივეშურებოდი, მაგრამ როდესაც მატარებელი თქვენს სადგურს მიუახლოვდა მომაგონდით ყველანი და საშინლად მომწყურდა თქვენი ნახვა. როგორც ხედავთ ნატვრა ავისრულე. ხვალ ისევ გავემგზავრები ბათომისაკენ. (ვარდოს გადახედავს, რომელიც ძალზე ჭდევს და სცდილობს როგორმე თავი შეიკავოს).

ღენტორ განა ღირდა ერთის დღით ჩამოსვლა! შენ ყველასათვის მეტად სასურველი სტუმარი ხარ და ასე ადვილად ვერ შეგელევით. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი ტყვე უნდა იქნე.

ზურაბ დიდის სიამოვნებით, მაგრამ რა ვქნა, რომ გარემოება ხელს არ მიწყობს. ხვალ უეჭველად უნდა წავიდე... ესეც რომ არ იყოს, თქვენი კრებულიც იშლება მგონი ხვალიდან, რადგან აგვისტო იწურება.

ვარდო (წყენით) და ჩვენთან მარტო აბა რა გაგაჩერებთ, არა ზურაბ?

ზურაბ მერწმუნეთ ჩემთვის მეტად სასიამოვნოა თქვენთან ყოფნა, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს დაკისრებული, რომ აუცილებლად მოითხოვს პირადს დასწრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბო ხალხნო! რას ეპატიჟებით! სურს—დარჩება, არა—წავა! მისი ნებისა და ქეიფის საქმეა. მაგრამ დღეს ხომ ჩვენთან არის და ერთი კარგათ მოულხინოთ. სიტყვა შენ გეკუთვნის ზურაბ!

ზურაბ სიტყვის რა მოგახსენოთ და ახალს ამბავს კი სიამოვნებით გაუწყებთ: წარსულს კვირას ტფილისში დავესწარი სალიტერატურო დილას. სხვათა შორის მოვისმინე ჩვენში კარგად ცნობილ კრიტიკოსის სიტყვა, რომელიც დაახლოვებით ასე დააბოლოვა მან: „ამ ჟამად ქართველობას ორი საბოლოო მიზანი უნდა ჰქონდეს:—პირველი—ეროვნული თავისუფლება, მეორე—ტერიტორიის დაცვა... დედა შეერთოს ცოლად, ვინც მშობელ მიწის ერთს მტკაველს მაინც გაჰყიდის უცხო ხალხზე“-ო. და, იცით რა მოხდა? მაყურებელი საზოგადოება ფეხზე წამოიჭრა და ლექტორს ნამდვილი ოვაცია გაუმართა. რასაკვირველია, ლექტორის მიერ წარმოთქმული სიტყვები როდი გამოიწვევდნენ ასეთს მხურვალე ტაშის ცემას, რომ იქ გატარებულს აზრს თვით ხალხში არ ჰქონდეს ნიადაგი შემზადებული... ამ ნიადაგზე მომუშავენი, როგორც სჩანს, მარტონი არა ვყოფილვართ და მის აუცილებლობას საყოველთაოდ განიცდიან უკვე. ეს გარემოება კი მომასწავებელია იმის, რომ აღმოსავლეთით მალე აღმოხდება მზე და ნათელი დღე დაგვიდგება...

ბიბო შენს სიტყვას კარგი სიმღერა შეჰფერის (ვარდოს წინ დაიჩოქებს და ისე გაუწვდის გიტარას) ყვავილო აღმოსავლეთისავ! გააპე ეგ შენი ბაგე ლალი და მათგან გადმონადენ ჰანგთა ბგერით დაატკბე ჩვენი ყურთა სმენა!

თედო და სხვები გთხოვთ, გთხოვთ ვარდო!

ვარდო კარგი, თანახმა ვარ, მხოლოთ ერთის პირობით: აი, იქ განმარტოებით დავჯდები ხის ძირას და ისე ვიმღერებ.

თედო იყოს ნება შენი, ასულო იეფთაისა!..

ვარდო (აიდებს გიტარას ჩამოჯდება ხის ძირას და მღერის).

უცხო სევდის სამოსელში მე გავხვიე შენი სახე
მოციმციმე, სხივთა მფენი
და მოვქარგე ზედ ოცნებით ჩვენი ქვეყნის სივაგლახე,
მწარ ბედისგან მონაძღვენი...

—

წარსულ დროთ სვლა—უამური, აწმყო—სევდით განაწონი,
გარს ჩამქრალი ქვეყნის კერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელ ერის მწარე მოთქმა, მწარე კვნესა დასალონი,
წინ—საეჭვო ბედის წერა...

—

ოცნებით ქმნილს შენს სახეზე, როს ვქარგავდი ბედშავ ერის
მწარე ამბავს, მწარე ხანას,
სული ჩემი სევდით ძრწოდა, სევდით სავსე გიგალობდა
გულის მომწყვლელს სულთათანას.

ვარდო (სიმღერის შემდეგ ერთხანად გარინდებული ზის. ყურადღებას არ აქცევს მეგობრების ტაშსა და ვაშას ძახილს. შემდეგ ადგება და მიუბრუნდება ზურაბს)— ეს ლექსი თქვენ გეკუთვნით ზურაბ! ხშირად ჩაუფიქრებივარ მის შინაარს, მაგრამ ეხლა, სიმღერის დროს უეცრად გამიელვა თავში ერთმა აზრმა, რომელიც მინდა გაგიზიაროთ ყველას... ჭიქა მომაწოდე, გიგო! (გიგო ჭიქას აწვდის) მეგობრებო! მე წარმოდგენილი მაქვს ის ზეშთაგონებით სავსე წუთები, როდესაც ზურაბი ამ ლექს სთხზავდა... შემოდგომის ბნელი ღამე, ცაზედ არც მთვარე, არც ერთი ვარსკვლავი... მთელს მიდამოს შავი ძაძა ჰხურავს... შემოდგომის ბნელს ღამეში მგოსნის სულიც უნებლიედ ეხვევა წყვდიად ღამის წამოსასხამში და მთელი მისი არსება თან და თან იმსჭვალება იჭვთა ისრებით... დაბეჩავებულ ერის შვილს მხოლოდ ერთი სატრფო ჰყავს, სატრფო—სამშობლო და მისი აზრიც მხოლოდ ამ საგნის გარშემო ტრიალებს... ის ნათლად ჰხედავს საყვარელ სატრფოს ტანჯულს სახეს, რომელზედაც აღბეჭდილია წარსულისა და დღევანდელ გარდამავალ ხანის დღეთა სვლის მთელი ტრაღედია!.. ოცნებით ქმნილ სატრფოს სახის ცხად საყოფად მგოსანი ხელს ჰკიდებს კალამს და ხორც სხმულ, ქვეყნად მავალ მიწიერ არსების სახეზე აღბეჭდავს განცდილს სურათს... ეს მიწიერი არსება ქალია, რომელიც შემოდგომის ბნელს ღამეში მგოსნის სულს უეცრად ეუფლა და სატრფო—სამშობლოსთან ერთად განსახიერდა მის სევდით მოცულს ლექსში. მაგრამ სად, რომელ ზღაპრულ მხარეს ჰპოვა მგოსანმა ამ მიწიერ ქალის სახე? თანამედროვე საქართველოში ის ვერ იპოვიდა ასეთს ქალს, რადგან დღეს ქართველი ქალი ყოვლად უსახო ქმნილებაა და, მაშასადამე, მგოსნის სევდით განაწონი ფიქრიც ვერ შეჩერდებოდა მაზე. . სჩანს ასეთი ქალი მან მხოლოდ ოცნების სამთავროში ჰპოვა და საკუთარ ფანტაზიის ძალით რეალ ქმნილებად წარმოგვიდგინა იგი. . ჩემის მხრივ გულწრფელად ვუსურვებ თქვენს მუზას, ზურაბ, თვით სინამდვილეში, ჩვენს ყოველ დღიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეთა სვლაში ეპოვოს ისეთი ქალი, რომელიც ღირსი იქნებოდეს, რომ მაზედ აღიბეჭდოს სატრფო—სამშობლოს სევდიანი სახე...

თედო ბიჭოს! ვარდოს დამიხედეთ! რა ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა! ღენტორ, რას იტყვი, ვარდოსთანა ქალებს რა ადგილი აქვთ ცხოვრებაში მიჩენილი?

ღენტორ შენ ხუმრობ, მაგრამ მე მაინც გიპასუხებ: ოჯახი და საკუთარი კერა!..

თედო მე კი, სულო ცოდვილო, მგონია, რომ მათი ადგილი მხოლოდ ციხეშია. ჩვენს უცნაურობით სავსე მხარეში ასეთი ბოლო ჩვეულებრივი მოვლენაა. იცოცხლე, ვარდო! ოხ, ჰგრძნობს ჩემი წაწყმედილი სული, რომ ჩემთან ერთად მალე მოგიხდება შორეულ ციმბირისაკენ გამგზავრება...

ღენტორ საციმბიროთ შენთვის უკვე გაჭედილია ბორკილები... ვარდოს იქ რა უნდა?

თედო ვარდოს მხურვალე ნერვებისათვის საჭიროა ცივი ჰავა... ბევრი მხურვალე გოგრა გაუყინავს იქაურს ჰავას... რას იტყვი, ღენტორ, ჩემთვის ხომ არ შეგშურდებოდა ციმბირი?

ღენტორ რომ შემეძლოს ხვალვე აგაბარგებდი აქედან და იქ გადაგასახლებდი. შენი ჭკუის ხალხსაც თან გამოგაყოლებდი სიამოვნებით...

თედო რა კი ასეა, მაშ იცოდე: მათს რიცხვში ვარდოც მოჰყებოდა თან, რადგან ჩვენ ერთის ხიდამა ვართ გამოჭრილი. (ამ ლაპარაკის დროს სცენის სიღრმეში გამოჩნდებიან შობურთაგენი, რომელნიც სიმღერა გუგუნით ეწევიან ბურთს ლელოსაკენ. გიგო გაიწევს მათკენ და ხმა მაღლა დაჰკივლებს).

გიგო „გავარდა ბურთი, გაშპა გურული“!—აბა ვის გინდათ ბურთაობა მომყევით! (გადის).

თედო რაღა მარტო მიდიხარ, ჩვენც ვიბურთავებთ! (გადის, სხვებიც მიჰყვებიან. სცენაზე რჩებიან ვარდო და ზურაბი. მათი დიალოგის დროს ხან გამოშვებით გამოჩნდება ღენტორი, რომელიც შეუმჩნევლად ადევნებს თვალ-ყურს შემდეგს სცენას).

ზურაბ (მიუახლოვდება ვარდოს. თვალებში შეჰყურებს) ძლივს მარტონი დავრჩით!.. თქვენთან ბევრი რამ მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ თქვენი ლამაზი სიტყვის პასუხად მადლობა მოგახსენოთ... ნუ მიწყენთ, ვარდო, მაგრამ გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ დღემდე ქართველ ქალში მე მხოლოდ ისეთს არსებას ვხედავდი, რომელსაც ვიწრო ოჯახურ ინტერესებისა და შაბლონურ ქველ-მოქმედების გარდა სხვა არაფერი იზიდავს ამ ქვეყნად... მაერამ დღეს დავრწმუნდი, რომ...

ეროვნული

ვარდო (გაწყვეტინებს) ქართველ ქალშიაც ღვივის საყოველთაო, საზოგადო-ბრივი ზრახვები და ვიწრო, ეგოისტურ „მე“-ს გარდა სხვა რამეც აინ-ტერესებს, არა?!..

ზურაბ დიახ, ვარდო! და ეს ისეთი სასიამოვნო ამბავია ჩემთვის, რომ მეტის სიხარულით მზად ვარ ცას ვეწიო!

ვარდო მაგრამ ასეთი ადამიანი ცხოვრების გზაზე რომ შეგხვედროდათ, თქვენ არ გაუწვდიდით ხელს...

ზურაბ (გაწყვეტინებს) ღვთის გულისათვის, ვარდო, ნურას ამბობთ ეხლა ამ საგნის შესახებ... სხვა, უფრო მოხერხებულს დროს გაუზიაროთ ერთ-მანეთს ჩვენი გულის ნადები...

ვარდო ვისი გერიდებათ? ან რატომ გინდათ საშემდეგოთ გადასდოთ ჩვენი საუბარი?.. მე არ ვიცი როდის გნახავთ კიდევ... მიიღეთ თუ არა ჩე-მი წერილი?

ზურაბ მივიღე... გამოგიტყდებით ძალიან ჩამაფიქრა...

ვარდო მაგრამ პასუხის ღირსად მაინც არ გამხადეთ... თქვენ, ალბად, გეუ-ცხოვათ, რომ პირველმა მე შემოგბედეთ და გაბედულად გითხარით, *თუ რა ხართ თქვენ ჩემთვის... (მწარე დიმილით)* თქმა არ უნდა, *გაგი-კვირდებოდათ ახალგაზდა ქალისაგან ასეთი კადნიერება... ვინ იცის,* შეიძლება ჟინიან ბავშვის უბრალო ცელქობათ ჩასთვალეთ ჩემი ალსა-რება და ამიტომაც არ გამეცით პასუხი...

ზურაბ თქვენ სცდებით, ვარდო! ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს ტყუილი, დღეს კი ჩემდა უნებურად, ვიცრუე... მე პირდაპირ თქვენთან მოვე-შურებოდი, ჩემი მგზავრობაც აქ უნდა შეწყვეტილიყო.

ვარდო (სულს ძლივს იდებს) განაგრძეთ... მე ყურს გიგდებთ...

ზურაბ მე მივიღე თქვენი წერილი; იგი არც ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, განსაკუთრებით იმ დღის შემდეგ, როდესაც ქისა მივიღე თქვენგან საჩუქრად... მაშინ ბევრი რამ ამოვიკითხე თქვენს თვალებში... თქვე-ნი წერილი მხოლოდ დადასტურება იყო ჩემში აღძრულ იჭვების... ამ იჭვებმა ბევრი რამ ახალი წარმოშვეს ჩემში, ბევრს რამეზე დამა-ფიქრეს უნებურად...

ვარდო ღვთის გულისათვის ზურაბ ოღონდ სრული სიმართლე მითხარით, ნუ-რას დამიმალავთ!

ზურაბ თქვენა მწერთ: როგორც ქალი უნებურად ვგრძნობ, რომ სრულიად უმნიშვნელო არსება არ უნდა ვიყო თქვენთვის. მართალი ხართ, ვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო! იქ სიტყვა მეტი იყო, სადაც გრძნობა მეტყველებდა... მერწმუ-
ნეთ, მე ანგარიშს ვუწევდი თქვენს გრძნობას და, რაღა დაგიმალოთ,
მეც თქვენის ცეცხლით ვიწვებოდი... ეს უცნაური გრძნობა მეც მეუ-
ფლა და მისი სასწაულთ მომქმედი ძალა მეც განვიცადე... მაგრამ

ვარდო (ძალზე აღელვებული) მაგრამ რა ზურაბ?

ზურაბ მაგრამ... ხანგრძლივი არ იყო ჩემზე მისი ჯადოსნური ზედგავლენა...
მე მოვიხმე მთელი ჩემი ზნეობრივი ძალა, ცივი გონება და მათის შემ-
წეობით შევეცადე აბიბოქრებულ ცეცხლის შენელებას... მიზანს ნა-
ხევრად მივახწიე...

ვარდო (მწარედ) ბედნიერო! ამაყობთ კიდეც, რომ შესძელით ცეცხლის ჩაქ-
რობა?! სხვები ცეცხლს განგებ აღვივებენ, თქვენ კი ძალათ ჩააქრეთ
იგი, რატომ ზურაბ!..

ზურაბ ცეცხლი ჩავაქრე, ვარდო, მაგრამ კერა არ გამიცივებია... ასე მოვი-
ქეცი იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემეძლო მოქცევა... მარტო გუ-
ლის თქმას ვერ ავყვებოდი, საჭირო იყო გონებისთვისაც დამეგდო
ყური...

ვარდო და ცივმა გონებამ გიკარნახათ...

ზურაბ ისე მოვქცეულიყავი, როგორც ეხლა ვიქცევი... დამიგდეთ ყური,
ვარდო. ბავშვი არა ხართ და ადვილად მიხვდებით რითი ვხელმძღვა-
ნელობ, როდესაც ასე დაჟინებით ვიღებ ხელს პირად ბედნიერებაზე...
თქვენც კარგათ იცით, რომ მე არ ვეკუთვნი ჩემს თავს... მაპატიეთ,
რომ ჩემს თავზე მევე ვლაპარაკობ ასე, მაგრამ გარემოება მაიძულებს
ამას... არ ვიცი დიდია თუ პატარა ის მიზანი, რომელსაც ვემსახურე-
ბი, მაგრამ დღეს-დღეობით კი მთელი ჩემი არსება ამ მიზანს ეკუთვნის
მხოლოდ. როდესაც პირველად ვიგრძენი ჩემს გულში თქვენდამი ამო-
ძრავებული თბილი ნეტარი გრძნობა — შიშმა შემიპყრო, ვარდო... ამი-
ერიდან ჩემი გული ორად უნდა გაყოფილიყო, ორ ღმერთისათვის
უნდა მეცა თაყვანი და ამ ორში ერთ-ერთისათვის უპირატესობა უნ-
და მიმენიჭებინა...

ვარდო და განა, ზურაბ, მე გთხოვდით, რომ თქვენს წმინდათა-წმინდაზე აგე-
ღოთ ხელი და ჩემთვის გენაცვლებინათ იგი? ასეთს მსხვერპლს ვერც
ერთი ქალი ვერ მოგთხოვდათ, ზურაბ!..

ზურაბ სამწუხაროდ ეს ასე იქნებოდა, რადგან სიყვარული შეუბრალებელი
ჯალათია, რომელიც მსხვერპლით საზრდოობს მხოლოდ... სადაც სი-
ყვარულია — იქ მონობაა და სადაც ეს უკანასკნელი არსებობს — იქ პი-

როვნების თავისუფლებასაც ფრთები აქვს შეკვეცილი. სიყვარულში ერთი მხარე უეჭველად მსხვერპლად უნდა შეეწიროს მეორის ნების ყოფას და სურვილებს. წინააღმდეგს შემთხვევაში ჰარმონია დაირღვევა და ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდება იქ, სადაც თითქოს ბედნიერებას უნდა ჰქონდეს ადგილი... თანამედროვე ოჯახი ჭაობია, სადაც პიროვნება უნებლიედ იფლება ყოველ დღიურ წვრილმან ინტერესებში და შეუმჩნევლად ჰკარგავს თავის ნამდვილს სახეს. საბუთი? ასი და ათასი, მიმოიხედეთ ირგვლივ და თქვენ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში. განა არ გიკვირთ, რომ ახალგაზდა, მოძრავი, მოქმედებას მოწყურებული პიროვნება, როგორც კი შემოდგამს ცხოვრებაში ფეხს, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ერთბაშად ჰქრება ცხოვრების ზედა პირისაგან და მის დღეთა სვლაში ყოვლად უმნიშვნელო მაჩანჩალა ხდება? რა ჰქვიან იმ ვეშაპს, რომელიც ასეთს სასწაულს ახდენს და ასე ჰბორკავს ადამიანის ნებას, შემოქმედებას?—ოჯახი!.. ოჯახია ის ვეშაპი, რომელიც პიროვნებისაგან მძლავრად მოითხოვს თუ მთელი ძალის არა ორი მესამედის დახარჯვას მაინც... მთლიანი პიროვნება ვერ შეურიგდება საკუთარ „მე"-ს დანაწილებას, ორად გაყოფას. ის ან გაჰქრება სრულიად და უბრძოლველად დამორჩილდება ცხოვრებას და ან სათავეში მოექცევა მას... მე არ მინდა ვისიმე მონად გავხდე, არც ის მინდა, რომ მონად გავიხადო ვინმე... მე მწყურიან სხვა გვარი მოქმედება, მწყურიან ხალხში მუშაობა და ეს წყურვილი იმდენად მძლავრია ჩემში, რომ სხვა ყოველივე ვიწრო პირადული არ არსებობს ჩემთვის...

ვარდო გმადლობთ ზურაბ! სხვა გვარ პასუხს მე არც მოველოდი თქვენგან... თქვენ მამაკაცი ხართ და ამიტომაც შესძელით ასე ადვილად საკუთარ გრძნობის წინააღმდეგ გალაშქრება... (ტრემდ მორეული) მაგრამ რა უნდა ვქნა მე? მე არ შემიძლიან ასე ადვილად დაგივიწყოთ...

ზურაბ თქვენ სცდებით, ვარდო! მე სრულებით არ ვცდილვარ თქვენს დავიწყებას... პირიქით, მე გადავშალე ჩემი ცხოვრების წიგნი და წარუშლელის ასოებით აღვბეჭდე იქ ჩემი სიყვარულის თქვენდამი მოთხრობა... (მიუახლოვდება ვარდოს და ორივე ხელებს დაუჭერს) როდესაც გამიჭირდება ცხოვრებაში მე მივმართავ ამ წიგნს, გადავშლი, სათითაოდ გადავფურცლავ, გადავიკითხავ ყოველივე სტრიქონს და იქ ვიპოვნი იმ ძალას, რომელიც კვლავ შემაძლებინებს გარემოების წინააღმდეგ გამკლავებას... ნუ დაეცემით სულით... გამაგრდით... ცხოვრება მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო პირად ბედნიერების სურვილით არ განისაზღვრება... ასეთი დიდია...

ვარდო (ურუდ) არ ვიცი რა მემართება... მუხლთ მეკეცება... ღმერთო ჩემო... ეს ხომ სისუსტის ნიშანია! მე არ მინდა ასე დაუძლურებულ, სუსტ არსებათ მიხილოთ, ზურაბ! წადით, დამტოვეთ მარტო... ცოტა ხნის შემდეგ შეგიძლიათ ისევ მინახულოთ...

ზურაბ თქვენი სურვილი კანონია ჩემთვის... (დიდხანს უყურებს თვალებში, შემდეგ ვარდოს ხელს ნელა მიიტანს ტუჩთან და გრძნობით დაეკოცნება. ორივეს ურყოლა აიტანს და გარინდებული დგანან. პირველად გოხს ზურაბი მოვა და გაეშვებინება ქალს). მივდივარ, მაგრამ ჩემი გრძნობა და გონება თქვენთან რჩება, ვარდო!.. რაღაც წინად გრძნობა თითქოს მეუბნება, რომ ჩვენ სამუდამოთ ვშორდებით ერთმანეთს... მაგრამ ეხ, სულ ერთია! გამაგრდით, ვარდო! ეხლა კი მშვიდობით! (მიდის).

ვარდო მშვი... დობით... ზურაბ! (თვალთაგან ცრემლები ჩამოსცვივა, რომელიც შემდეგ ტირილათ შეეცვლება. ზურაბის გასვლისთანავე ლენტორი წამოვა წინ ავანსცენისაკენ და ვარდოს პირდაპირ დადგება. აცრემლებულ ქალს ხელს გაუწვდის და ნელა მიიკრავს გულთან. ქალიც ნებდება და პირველ ხანებში ქვითინებს ლენტორის მკერდზე თავდაყრდობილი).

ლენტორ კმარა, ვარდო! დაწყნარდი! გეყოფა ტირილი!

ვარდო შენ, შენ ხარ ლენტორ!? ეხლაც ისე, როგორც მაშინ...

ლენტორ მე ვარ, ვარდო, შენი აჩრდილი, შენგან უარყოფილი, მაგრამ მაინც შენი ერთგული თანამგზავრი... კმარა ცრემლები... დაკარგულს ბედნიერებაზე ტირილი რას გარგებს... (ვარდოს ტირილი სიცილათ შეეცვლება, ლენტორი ვერ მიხვდება ამ ცვლილების მიზეზს) აი, ასე, გაიღიმე, გაიცინე და მომავალ ცხოვრებასაც ღიმილით შეეგებე...

ვარდო ცრემლ ნარევ ღიმილით არა?! ვაი ასეთს ღიმილს!.. არა, ლენტორ, შენ ვერ გაიგებ ჩემს ეხლანდელს მდგომარეობას...

ლენტორ სცდები! მე ყველაფერი კარგათ მესმის... მე ვიცი, რომ ზურაბსა და შენს შორის ყოველივე გათავდა უკვე... ეხლა ის წარსულს ეკუთვნის და შენი ცრემლები ამ წარსულზე უნაყოფო გლოვა არის მხოლოდ... ნურც ასე გაეტაცებინები წუთიერ უბედურების გრძნობას... წარსულის ნანგრევებზე მომავალი შეექნათ.

ვარდო შენთან ერთად, ლენტორ!..

ლენტორ დიახ, ჩემთან ერთად, ვარდო! ზურაბმა თავის ვიწრო, ეგოისტურ „მე"-ს ანაცვალა შენი წმინდა სიყვარული. მე კი დიდი ხანია მსხვერპლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევეწირე ამ გრძნობას და მთელის ჩემის არსებით მზად ვარ, გემსახურო მხოლოდ შენ... რაც ვერ გაიმეტა ზურაბმა შენთვის გულწრფელად მოგიძღვნი მე და ჩემს შენდამი სიყვარულს შეუძლებელს შევაძლებინებ... ოღონდ მომენდე, ვარდო!..

ვარდო მოგენდო შენ... შენთან ერთად ვიყო!..

ლენტორ შენთვის გავაჩაღებ ნამდვილს ოჯახურს კერას, მოგივლი როგორც თვალის ჩინს და ცხოვრების სიმძიმეს არც კი გაგრძნობინებ—მის ზედა პირზე გატარებ მარად...

ვარდო (ტონს მოსული) და ამ ბედნიერებას შენ მომანიჭებ მე?

ლენტორ დიახ, ჩემო ვარდო! გავბედავ და გეტყვი თამამად: სიტყვა ჩემი მუდამ შეეფერება საქმეს. მე სინამდვილის შვილი ვარ და გპირდები მხოლოდ იმას, რის შესრულებაც შესაძლოდ მიმაჩნია...

ვარდო და სანაცვლოდ ითხოვ ჩემგან...

ლენტორ მხოლოდ მეგობრულს გრძნობაზე აგებულს კავშირს, ვარდო...

ვარდო არა, ლენტორ!.. შენ რომ ანგარიშს უწევდე შენს თავს, მაშინ მიხვდებოდი, რომ ჩვენი კავშირი ყოვლად შეუძლებელია, რადგან ჩვენ მიერ არჩეული გზები მეტად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან... შენ გინდა ოჯახის კერას მიმაკრა და ჩემი სულიერი მოთხოვნილებანი ამ ვიწრო მცნებით შემოფარგლო, მაშინ როდესაც, ლენტორ, სხვა რამ მწადია მე, სხვა რამ სწყურია ჩემს სულს, სხვა გზას ვეძებ მე...

ლენტორ და შენ დარწმუნებული ხარ, რომ გზა იგი მიგიყვანს შენ იმ აღთქმულ მხარის სამთავროში, სადაც ჰპოებ ბედნიერებას?

ვარდო დიახ, ლენტორ!

ლენტორ მაშ იცოდე,—გზა იგი მეტად ეკლიანი და ბნელით მოცულია... და მის გაშუქებას ვერ შესძლებენ ვერც ზურაბები და ვერც ძმანი-მისნი. მერწმუნე, ზურაბი თვალის მომჭრელი ფეიერვერკია მხოლოდ—მას შეუძლიან ერთის წუთით წითელ ზოლად გაევლოს ბნელით მოცულს ცას და შემდეგ ისევ გაჰქრეს ღამის წყვდიადში ამ სოფლის დროებით სტუმარს საკუთარს თავზედაც გმართებს ფიქრი...

ვარდო (გატაცებით) და მეც ვფიქრობ, ლენტორ, რომ სხვანი ზურაბისანი ჩვენში აღვივებენ ნათელს გრძნობებს წინსვლისას, შემოქმედებისას, ბრძოლისას... და მეც მწყურიან განვიცადო ყოველივე ეს და, თუ საჭირო იქნება, დაე სიცოცხლე ჩემი მსხვერპლად შეეწიროს ამ ბრწყინვალე განცდებს... ამ გზაზედ შემდგარს ამიერიდან არც მე მაინტერესებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი ბედნიერება და ჩვენი კავშირიც, ღენტორ, შეუძლებელი ხდება...

ღენტორ ნუ აჩქარდები, ვარდო, საკუთარის ხელით ნუ სჭრი იმ ტოტს, რომელზედაც შენ თვითონ ზიხარ!

ვარდო გამიგონია, კარგი მებაღე გამხმარს ტოტს ყოველთვის დროზე სჭრის, რომ თვით ხე გადაარჩინოს ხმობას... მეც ამ მებაღეს უნდა წავბაძო... ჩემს ძველს მეგობარს მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა: შენ მართალი ხარ—პირ დათ მე და ზურაბი გავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით... თან და თან იზრდება მათი რაზმი და მსურველს ყოველთვის შეეძლება მივიდეს მათთან და მხარში ამოუდგეს...

ღენტორ (გრძნობით) მაშ წინ, ვარდო! შენი აჩრდილი არც ეხლა გიღალატებს და მარად თან გდევდეს იქნება! და როდესაც დადგება ჟამი, აჩრდილი იგი ჩემის სახით კვლავ წარსდგება შენს წინაშე და სიტყვა მომეცი, ვარდო, რომ ნაცად მეგობრის ხელი მაშინ მაინც არ დარჩება ჰაერში დაკიდებული...

ვარდო ისევ მომავლის იმედი ღენტორ?!.

ღენტორ დიახ, იმედი, ვარდო!.. (ამ სცენის დასასრულს კულისებში რაღაც გაუგებარი ხმაურობა იწყება, რომელიც თან და თან ძლიერდება. სცენაზე გამოჩნდება რამოდენიმე გლეხი, რომელნიც გარბიან და იძახიან: „არიქა, ჩქარა, ბრიგანდისტი დაიჭირეს ჩაფრებმა“. ვიღაცის ხმა აშკარად არღვევს ყველს—ზურაბი დაიჭირეს, ზურაბი!—გიგო, თედო და დანარჩენი შემორბიან გაფიფრებულნი, არ იციან რაშია საქმე. შემოდის პირველი გლეხი).

პირ. გლეხი დავიღუპეთ, თედო, წყეულმა ჩაფრებმა დაიჭირეს ..

ვარდო (მოუთმენლად) ვინ, ვინ დაიჭირეს?

პირ. გლეხი ვინა და ჩვენი ზურა...

ვარდო და თედო რას ამბობ, პავლე, ხომ არ გაგიჟდი!

პირ. გლეხი გავგიჟდი რომელია! საქმე ასე იყო: ეკლესიას გასცილდა თუ არა ზურა, წინ შეეჩეხა სადგურიდან მომავალს პრისტავს, რომელსაც ოციოდე ჩაფარი ახლდა თან. შეჩვენებულმა დაინახა თუ არა ზურა, მაშინვე უბრძანა დაეჭირათ იგი, საწყალს ზურას უნდოდა უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ გვიანლა იყო—ჩაფრებმა თოფი მიუღირეს და ზურაც დანებდა.

თედო (ძალზე შეწუხებული) მაინც ჩაუვარდა მაგ ძაღლებს ხელში! მორჩა და გათავდა—კატორღა არ აცდება, თუ არ ვუშველეთ რამე!

ვარდო მაშ, ზურა დაიჭირეს, არა! ზურა! რა მალე გაუმართლდა წინადგრძნობა!.. ულმობელს სინამდვილეს შეშურდა მისი ლამაზი სიცოცხლე... მე, მე ვარ დამნაშავე მის დაპატიმრებაში... მე ვაიძულე აქედან წასვლა... მე რომ არ მეთქვა, ის აქ იქნებოდა ჩვენთან, ვინმე გააფრთხილებდა და ასე ადვილად არ ჩაუვარდებოდა ხელში ჯალათებს... მეც შენთან მოვალ, ძვირფასო ზურაბ, და გავინაწილებ შენს ხვედრს... (სწრაფად წაიწევს წინ, მაგრამ დონე უდალატებს, შედგება; გულზე ხელს იტაცებს და ერთბაშად გაერთხობა ხოლზე).

ლენტარ ვარდო! ვარდო! არიქა წყალი! მოკვდა მგონი! ვაი ჩემს თავს! (წელს აბკურებს. მაჯას უშინჯავს, თავს გულზე დაადებს) ღმერთო ჩემო, ცოცხალია, მგონი! ცოცხალი!..

თედო ოხ, ძაღლებო, ძაღლებო! როდემდის უნდა ითარეშოთ ასე ჩვენს არეზე?!.

ფ ა რ დ ა

ბ ა ქ ო

1916 წელი—ბაილოვის ციხე

სარედაქტიო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
ვარ. რუხაძე
არ. რუხაძე
ობოლი მუშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1919 წ. დეკემბრიდან გამოდის ყოველ-თვიური სამსატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოცემა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისიისა.

ყოველგვარ პირობების გასაგებად მსურველებმა უნდა მიმართონ ამავე კომისიას,—თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 200.